ეროვნული
ბიბლიოთეკა

F 106
1883

ქართული ბიბლიოთეკა

1883

F 359

№ III მარტი.

ქუთაისი
თ. პეტრე გ. ბულუჩაძის სტამბა.
1883

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено Цензурою, Тифлисъ 9 Мая 1883 года.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭრაანჭია ქალები

კომედია ერთს მოქმედებად მოლიერისა

ნათარგმნი ფრაცუზულიდან

ილენე ლორთქიფანიძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრანჭია ქალები. (LES PRECIEUSES RIDICULES)

მოლიერის კომედია ერთს მოქმედებად.

მოქმედნი პირნი:

ლაგრანჟ. } ყმაწვილი კაცები.
დიუკრუაზი }
გორჟიბუს—მოქალაქე.
მადლონა—ამისი ქალი. } პრანჭია ქალები.
კაცო—გორჟიბუსის დის წული. }
მაროცცა—ამათი მოახლე.
ალმანზორ—ქალების მსახური.
მარკიზ დემასკარილლ—ლაგრანჟის მოსამსახურე.
ვიკონტ დე-ჟოდლე—დიუკრუაზის მოსამსახურე.
ორი ცახცრეკანის მაცარებელი
ორი მეზობლის ქალი.
სკრიპკის დამკვრელნი და ქუჩის ბიჭები.

სცენა არის პარიჟში 1659 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲠᲐᲜᲩᲘᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲛᲝᲚᲘᲔᲠᲘᲡᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ I.

ᲚᲐᲒᲠᲐᲜᲟᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲣᲒᲠᲣᲐᲖᲘ.

ᲓᲘᲣᲒ. ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲚᲐᲒᲠᲐᲜᲟ!

ᲚᲐᲒᲠ. რა გნებავ?

ᲓᲘᲣᲒ. ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲮᲔᲓᲔᲗ, ᲗᲣ ᲙᲘ ᲒᲐᲘᲪᲘᲜᲔᲑᲗ.

ᲚᲐᲒᲠ. რა არის მერე?

ᲓᲘᲣᲒ. ᲘᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ, რა ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲗ, ᲰᲐ! ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲐᲠᲗ?

ᲚᲐᲒᲠ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲐ ᲮᲐᲠᲗ, ᲘᲚᲔ ᲛᲔ ᲕᲐᲠ, რა ᲕᲘᲜ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲗ?

ᲓᲘᲣᲒ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ!

ᲚᲐᲒᲠ. ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲓᲐᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲨᲕᲔᲡ ᲘᲧᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲛᲐ ᲒᲝᲛᲑᲘᲝ ᲥᲐᲚᲔᲑᲛᲐ. ᲕᲔᲠᲐ ᲜᲐᲮᲔᲗ, რᲐ ᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲛᲘᲒᲕᲘᲚᲔᲡ, ᲡᲣᲚ ᲐᲠᲐᲤᲠᲐᲓ ᲩᲐᲒᲕᲐᲒᲓᲔᲡ ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲘᲜᲐᲗ! ᲩᲔᲛᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲜᲐᲜ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲡᲣᲚᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲠᲗᲡ ᲧᲣᲠᲨᲘ ᲔᲩᲣᲠᲩᲣᲚᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ რᲐᲚᲐ-

საც, ამთქნარებდნენ; თვალებს იფშვნეტდნენ და წამ-და-უწუმ რომელი საათიაო კითხულობდნენ, ვითამ ამით გვაჩვენებდნენ, რომ მოვსწყინდით ჩვენა. დიდი უზრდელები ბრძანდებიან, ხეირიანად მოგვცეს რამე პასუხი?!... ჩვენისთანა ლირსების კაცებს ეკადრებათ იმისთანა გომბიო ქალებისაგან მაგგვარი პატივი! რაც უნდა უკანასკვნელი ხარისხის კაცები ვყოფილვიყავით, ასე უზრდელად მაინც არავინ მიგვიღებდა, როგორც ამ პრანჭია ქალებმა გაბედეს.

დიუკ. ბეტყობათ ძალიან საგრძნობლად მიგიღიათ ეგ ამბავი.

ლაგრანჟ. რასაკვირველია ძალიანა მწყინს, მე კიდეც გადავუხდი ამ პატივისცემისათვის იმ სულელებსა იმათ! ძალიან კარგად მესმის რატომაც მიგვიღეს ასე. მარტო ესენი კი არ არიან უზრდელები და მარტო პარიჟში კი არა ჰყრიან ამისთანა გოგოები, სხვა-და-სხვა პრავინციები მოფენილია ამ გვარი საძაგელი, სულელი და პრანჭია ქალებით,—ესენიც იმათ რიცხვში ბრძანდებიან, გაუნათლებელს და უჭკუო ქალებისაში. ერთის სიტყვით—სულელური, მეტიჩარა კეკლუცი პრანჭია ქალები ყოფილან. მე ვიცი როგორც უნდა მოექცეს იმათ კაცი და აჩვენოს თუ ვისთან ბედვენ ამას. ისეთს საქმეს ვუზამ, რომ ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად გავაგებინებ თუ ვისთან როგორ უნდა დაიჭირონ თავი.

დიუკრუაზი. აბა როგორ?

ლაგრანჟ. ერთი მოსამსახურე მყავს,—მასკარილლ, გამოქნილი კაცია, თავის-თავი ჭკვიანად მიაჩნია და უნდა რომ ყველასთან გამოიჩინოს მახვილობა და ჭკუა-გონება; ახლა ხომ ვინც ბევრსა ტიკტიკობს, ის მიაჩნიათ ყველას ჭკუიანად, აბა ამაზედ უადვილესი რა არის, რომ თავ-ქარიანს ქალებს აუხვიოს თვალი. ლექსები იცის რალაც—რალაცა, მოარშიყე კაცია, თავში ჩამჯდარი აქვს დიდი კაცი ვარო და თავის თანა მოსამსახურეებს ამაყათ უყურებს, ყველა სულელი და ბრიყვი ჰგონია, თავის-თავის მეტი.

F 359

დიუკ. რას აპირებთ მერე თქვენ?

ლაგრ. რას ვაპირებ?... მე უნდა... ჯერ გავიდეთ აქედამ.

გამოსვლა 2.

დიუკრუაზი, ლაგრანჟ და გორჟიშუს.

გორჟიშუს. ჩემი ქალი და ჩემი ძმის-წული ნახეთ? მოილაპარაკეთ რამე? როგორ გაათავეთ საქმე?

ლაგრანჟ. ამას თქვენ უკეთ შეიტყობთ იმათგან. მეტს ვერას მოგახსენებსთ, გულითადი მადლობა უნდა გამოგიცხადოთ თქვენის განუსაზღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელი პატიეის-ცემისათვის და ამასთანავე უმ-
დაბლესად თავს დაგიკრავთ.

ლიუბრუაზი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ ბატონო.
(გავლენ.)

გორჟიშუს. (მარტო) დახედეთ, მგონი გაჯავრებუ-
ლები არიან! ვითომ რათ უნდა იყვნენ ასე
უკმაყოფილო, ერთი უნდა შევიტყო რას ნიშ-
ნავს ესა. ჰეი! (იძახის).

გამოსვლა 3.

გორჟიშუს და მარფოცა.

მარფოცა. რა გნებავსთ ბატონო?

გორჟიშ. შენი ქალბატონები სად არიან?

მარფოცა. თავის ოთახში.

გორჟიშ. რას აკეთებენ?

მარფოცა. ტუჩზედ წასასმელს პომადას აკეთებენ.

გორჟიშ. ეყოფათ ამდენი პომადის წასმა, უთხარი
აქ ჩამოვიდნენ.

გამოსვლა 4.

გორჟიშუს მარტო.

გორჟიშ. ბაატირეს საქმე ამ გომბიოებმა თავისი პო-
მადით, ლამის გამაკოტრონ კიდეც! სა-
ცა არა მგონია კვერცხის ცილასა ვხედავ, ქა-
ლის რძესა და ათასს ამისთანა უბრალო რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც რალაებსაც, არც კი ვიცი ამათი სახელები. რაც აქა ვართ, მარტო თორმეტი ლარი მაინც არ დაჰკლეს და იმათი ქონი არ იხმარეს! ოთხი მოსამსახურე მაინც შეინახებოდა ყოველს დღეს იმ ცხვრის ფეხებით, რამდენსაც ისინი პომადისათვის ხარჯვენ.

გამოსვლა 5.

მადლონა, ვაცო და გორჭიბუს.

გორჭიბუს. ნეტა თუ მართლა დიდი საჭიროება მოითხოვს სულ ქონით რომ ითხუპნით პირსა და ამდენს ხარჯს მაწევინებთ? ახლა აქ რომ ყმაწვილი კაცები იყვნენ, მითხარით რა მიზეზია, რა უთხარით ისეთი, რომ ასე ცივად დაგშორდნენ? აკი გითხარი მიიღეთ მეთქი ისინი კარგად, ისე როგორც თქვენი საქმროები, მე იმათ უნდა მიგცეთ თქვენა.

მადლონა. ახა, რა პიტივის-ცემა უნდა გვქონდეს ჩვენ ამისთანა კაცებისა, ასე ცუდათ რომ იქცევიან, მამა-ჩემო!

ვაცო. იმისთანა კაცებთან, იმათ შესაფერისად ნეტა როგორ უნდა დაიჭიროს თავი ჩვენისთანა ჭკვიანმა ქალებმა, ბიძა-ჩემო!

ხორჭიბ. აბა რას ხედავთ იმათში დასაწუნარსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლონა. კარგი მოუვიდათ, კარგი მოარშიყენი ილი-ნი არიან! როგორა, პირველადვე ცოლ-ქმრობაზე ლაპარაკით უნდა დაიწყოთ?

გორჟიშუს. მაშ რა გინდათ, ჯერ ხასობიდამ ხომ არა გნებავთ დაწყება. **ინნება** თქვენ გსურთ სხვის ხარჯზედ იკბოვროთ, როგორც მე გაცხოვრებთ? **ზანა** ცოლ-ქმრობაზედ ლაპარაკი საკიცხავი არის ვისთვისმე?

მადლონა. **ოჰ**, მამა-ჩემო, მრცხვენია კიდეც თქვენგან რომ მესმის ამისთანა ცუდი ლაპარაკი; რა არის, არ შეიძლებოდა გესწავლათ კარგი თავაზიანი, ჭკვიანური ლაპარაკი და გაგეგოთ უფრო კარგად ყველა საგნები.

გორჟიშუს. როგორც მიწერავს ისე ვსწერავ! მე შენ გეუბნები, რომ ცოლ-ქმრობა ისეთი წმინდა კავშირია, რომ ვინც ამ გზაზედ წავა— პატიოსნობა ეთქმის.

მადლონა. **აჰ**, **ღმერთო**, მთელი ქვეყნის ხალხი შენისთანა რომ იყოს, ერთი უშველებელი გასართობი რომანი დაიწერებოდა იმაზედ. **ოჰ**, დიდი რამ კარგი საქმე არ იქნებოდა, **სირიუსს** **მანდანა** შეერთო და **ალონსას** კი **ალელია** (ალინის).

გორჟიშუს. **რას** ბოდავს ესა, რომ არ მესმის!

მადლონა. მამა-ჩემო, აი თუნდ **ალტოსა** ჰკითხე, ისიც გეტყვის ამასა, რომ თავის დღეში არ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათხოვდეს ქალი ისე, სანამ რამე ხიფათი
გადახდება. საქმრო რომ სასიამოვნო იყოს,
ჯერ უნდა გრძნობით, ნაზათ, სიყვარულით ილა-
პარაკოს, მაგრამ ისე რომ განსაზღვრული იყოს
იმის მუსაიფი. ჯერ უნდა ან ეკლესიაში ან
სეირნობაზე შეხვდეს თავის საცოლოს, ან
ხალხში სადმე, ან არა და ქალის მეგობრისა,
ან ნათესავისას და მერე, როცა საქმრო ნახავს
ქალს, სულ იმ ქალის ფიქრებით იყოს საესე
და მაშინ სიყვარულიც შეეპაროს. რასაკვირვე-
ლია, თუ ქალი შეუყვარდა, იმას არაფე-
რი არ უნდა შეატყობინოს, მაგრამ იმასთან
მსვლელობა უნდა დაახშირებს და ისე ეცადოს,
რომ როდესაც საერთო მუსაიფში არიან, თავისი
არშიყობა ისე გამოიყვანოს იმ ლაპარაკში,
მარტო ქალის მეტმა რომ ვერავინ შეიტყოს. აი,
საქმრომ ძლივს ჩაიგდო დრო სიყვარულის
გამოცხადებისა, მაგრამ ეს გამოცხადება უნდა
მოხდეს ბალის მიყრუებულს კუნჭულში სადმე,
მაშინ როდესაც ბევრნი ერთად წავალთ იქ
სასეირნოთ და ყველანი წინ არიან წასულები,
ეს ორი კი დარჩნენ ერთად, მაშინ უნდა
დაიწყოს ვაჟმა სიყვარულის გამოცხადება. ქალ-
მა უნდა ისე დაიჭიროს იმასთან თავი, ვითომ
ძალიან იწყინა, როგორ მიბედავ ამასაო, ვაჟ-
ჩხლდება, ჯავრობას დაუწყებს და კაცი ცარი-
ელი დარჩება. მერე ეცდება, რომ დაგვამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდოს როგორმე, გული მოგვიგოს, ეს
მაურვალე, მტკიცე სიყვარულს გარგად რომ
გავიგებთ, რითიც იქნება მერე, ძალა-უნებუ-
რად შერთვაზედ დავყაბულდებით. ამაებს მოჰ-
ყვება მერე ერთი ხათაბალა, დედ-მამის უთან-
ხმოება, გამოჩნდებიან სხვა საქმროები ჩვენს
წაყვანას რომ დაეპირებიან, შური, ჩხუბი ხდე-
ბა, ერთმანერთში ატყდება ერთი ალიაქოთი,
ჩივილი, წუწუნი იმათი. ბოლოს მოგვიტაცე-
ბენ და მერე რაც იქნება ეს ხომ იცით... ეი
ასე უნდა დაბოლოვდეს ამ ნაირი საქმე. ამ
ნაირი ქცევა სწორედ სასიამოვნო და პატიო-
სანი არის. აბა ერთი იფიქრეთ, რა სასიამოვნო
არის ქმრის შერთვა თუ ამ გვარი შემთხვევა
არ გადაგხდა და ისე პირ-და-პირ ერთავ ქმარს,
რასა ჰგავს ესა! ისე გამოდის, სასიამოვ-
ნო წიგნის კითხვა რომ გინდა, თავიდგან
კი არა, ბოლოდამ იწყობ იმის კითხვას, ჯვრის
წერაც ისეა. არა მამა-ჩემო, ამგვარად გათხო-
ვება საძაგელი ვაჭრობაა და მე კიდეც გული
მერევა როცა თვალითა ვხედავ მაგნაირს ცოლ-
ქმარს.

გორჟიბუს. ეს აქ რა ქაჯური ლაპარაკი მესმის, და-
ხეთ ერთი რა დიდ-გულად ლაპარაკობს!

ვალო. სწორედ მართალს ამბობს ჩემი ბიძაშვილი,
ძიავ. ვის შეუძლია იმისთანა ხეპრე კაცების
კარგად მილება. შემიძლია დავნაძლევდე კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეც, რომ იმათ ალერსისა არა გაეგებათ-რა, საარშიყო ბარათების მიწერისა არა იციან-რა და არც ლამაზი ლექსების წერაც შეუძლიათ; ზედ რომ შეხედოთ მაშინვე იტყვით, რომ ამაებისა არა გაეგებათ რა. ისეთი შეხედულობა მაინც ჰქონდეთ, რომ შესაძლებელი იყოს იმათზედ კარგი ჰაზრი შეადგინოს ადამიანმა. რა სახით მოვიდნენ მერე ჩვენთან თუ სიყვარულის გამოცხადება უნდოდათ! რა ნაირად იყვნენ ჩაცმული, თავზედ ისეთი ქუდი ეხურათ, რომ ერთი ფრთითაც არ იყო მორთული, თმები აწეწილი ჰქონდათ, ტანისსამოსზედ ერთი ნაჭერი ლენტიც არ ეკლოთ; ფეხები რალას უგავდათ, ასე გეგონებოდათ არა აცვიათ-რაო, ისე ჰქონდათ უბრალოდ ჩაცმული ფეხ-საცმლები, რომ არაფრით არ იყო შემკული. ოჰ, ღმერთო ჩემო, სადაური საქმროები არიან ისინი! რა საასაცილოთა ლაპარაკობდნენ, მღელვარება სულ არ ეტყობოდათ, მანამ ჩვენთან იყვნენ. მე შევნიშნე რომ პერანგის საყელო ახალ-მოდისა არა ჰქონდათ, ცოტალა აკლდათ რომ სწორედ იმ სიდიდე საყელო გაეკეთებინათ, ყელზედ ახლა რომ იკეთებენ.

გორაქიმუს. (ხალხს) მგონი გაგიჟებულან ესენი და ამათი ლაპარაკი არ მესმის. ქატო და შენ მადლონავ.....

მადლონა. ეჰ, მამა-ჩემო, თუ ღმერთი გწამთ გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჩვიეთ ამისთანა უცნაურს სახელებს, სხვა ნა-
რად დაგვიძახეთ ხოლმე ჩვენა.

გორქიმუს. როგორ თუ უცნაურს სახელებსაო, განა
ეგ ნათლობის სახელები არ არის თქვენი.

მადლონა. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ტუტუცი რამა
ბრძანდებით, ჩვენთვის გასაკვირვალი ამ-
ბავია, რომ თქვენისთანა კაცს ასეთი ჭკვიანი
შვილი ვყავარ! გაგიგონიათ როდისმე, რომ
მადლონას და კატოს სახელი ეხმაროთ საპა-
ტიო საუბარში? გამოტყდით, ერთ-ერთი
ამ სახელთაგანი საკმარისი იქნებოდა, რომ ძა-
ლიან კარგი რომანი გაცრუებულიყო.

ვალო. მართალიც არის, ბიძიავ, რომ ჩვენისთანა ნა-
ზი ყურისათვის ძნელია ამ სიტყვების გაგონ-
ება. აი ჩემმა ბიძა-შვილმა ამოირჩია თავისთვის
სახელად პოლიქსენი, მეც—ამინტა და თქვენც
უნდა დაგვითანხმდეთ ამაზედ.

გორქიმუს. გამიგონეთ თქვენ, მე არც კი მსურს
გაგონება, რომ თქვენ სხვა სახელი დაირქვით,
იმის მეტი რაც ნათლობის დროს დაგარქვეს
თქვენმა ნათლიებმა. რაც შეეხებათ იმ კაცებს,
მე ხომ ვიცნობ და ყველა იმათი კარგი
და ავი ვიცი. სწორეთ მინდა რომ ისი-
ნი მიიღოთ როგორც თქვენი საქმროები და
გაჰყვეთ ცოლებათ, მომწყინდა თქვენი
შენახვა, ალარ შემიძლია, ჩემ დროულს კაცს
არ შეშვენის თქვენოდენა ტვირთის ზიდვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაცო. სწორეთ უნდა გითხრა ძია, რომ ქმრის მერთვა ძალიან მიძნელდება და სასირცხვილოთ მიმაჩნია. ან კი როგორ უნდა წარმოვიდგინო თვალ-წინ, რომ პერანგის ამარა კაცთან მომიხდება წოლა.

მადლონა. როგორც იყოს მოითმინეთ კიდე ცოტა, ჯერ ხომ ეს არის შევდივართ პარიქის საზოგადოებაში, დაგვაცადეთ იმისი ჰაერი ჩავყლაპოთ. დაგვაცადეთ ჩვენი დაწყებული რომანი ბოლომდის მივიყვანოთ, მოვიქცეთ როგორც ჩვენა გვსურს და თქვენის გადაწყვეტილებით ნუ დაგვაჩქარებთ.

გორჟიმუსი. (ცალკე) რაღა თქმა უნდა გადაუწყვეტიათ კიდეც! (მაღლათ) ერთხელ კიდე გიცხადებთ და აღარა მსურს თქვენი ტიკტიკის ყურის გდება. რასაც მე გიბრძანებთ, ის უნდა აასრულოთ. თქვენ რომ მეტი აღარა იტიკტიკოთ რა, გამომიცხადებია თქვენთვის, ან უნდა შეირთოთ ორივემ ის ყმაწვილი კაცები, ან არა და მოლოზნებათ შეგიყვანთ, გადაწყვეტილი მაქვს. (გადის)

გამოსვლა 6.

ვაცო და მადლონა.

ვაცო. ღმერთო ჩემო, რა ნაირი ადამიანია მამა-შენი, მადლონაჯან, ქვეყნიერებისა არა გაეგება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, იმის გული რალაც უფსკრულს წარმოადგენს!

მადლ. მე მრცხვენია, იმის მაგიერათ. ფიქრათ მოვდის რომ იმისი შვილი არ უნდა ვიყვე და გული მეუბნევა, ერთხელაც იქნება შევიტყობთ, რომ მე დიდი კაცის და განათლებულის შვილი ვარ.

ვაცო. რასაკვირველია ასე იქნება, ოჰ ქვეყანაზე რა არ მოხდება, მეც როცა სარკეში ვიხედები...

გამოსვლა 7.

ვაცო, მადლონა, მაროცცა.

მაროცცა, ერთი ვიღაც ლაქია მოვიდა და გკითხულობთ, შინა ბრძანდებითო. იძახის, ჩემს ბატონს სურს იმათი ნახვაო.

მადლ. როდის გადაეჩვევი შენ სულელო, ასე უბრალოთ მოხსენებასა; აი ასე უნდა მოგვახსენო «ერთი ადამიანი საჭიროებს შეიტყოს შესაძლებელია თქვენი ნახვაო, გცალიათ თუ არაო?» ასე უნდა სთქვა!

მაროცცა. ქალბატონო, არ მესმის ეგ თქვენი რალაც ნაირი ლიათინური ლაპარაკი, თქვენი რალაც ფილოფია რომ არ მისწავლია, რა ვქნა.

მადლ. შეხე ამას! პასუხსაც რომ მიბედავს! ველარ მომითმენია ამ საძაგლის ლაპარაკი. ვინ არის იმ მოსამსახურის ბატონი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიტა. ასე მითხრა, მარკიზი მასკარილლიაო.

მადლ. ვილაცა მარკიზიაო, მარკიზი. (სიხარულით) წადი მოახსენე, რომ შეიძლება ჩვენი ნახვა. ეს ერთი ვილაც ჭკვიანი კაცი იქნება, უთუოთ ჩვენს ამბავს გაიგებდა.

ვალტო. რასაკვირველია.

მადლ. ამ ზალაში რომ მივიღებდეთ, ემჯობინება, მანამ ჩვენს ოთახში. თმა გავისწოროთ მაინც, რომ რაც ჩვენზე გაეგონა სწორეთ ის ვეჩვენოთ. აქიქა გვიშველე ერთი, გვირჩე როგორ უფრო შესაბამათ მივიღოთ.

მარიტა. ღმერთო ჩემო, ვინ არის ის სულელი ვილაცა, ერთი ქრისტიანულათ მელაპარაკეთ, რომ თქვენი ბრძანება გავიგო რამე მაინც.

მადლ. მოგვართვი აქ სარკე რა საძაგელი რამა ხარ, არ მიეკარო თორემ სახეს ველარ გვაჩვენებს კარგათ.

გამოსვლა 8.

მასკარილლ და ორი მაცვასტრეკანე.

მასკარილლ. ჰეი, ჰეი, მეტახტრევნებო, იქა, იქა, იქა, იქა, იქა, იქა, მგონი ამ საძაგლებს უნდათ მიმამტვრიონ კედელს, ლამის ძირს დამცენ.

პირ. მეცვასტ. რავქნა აბა, კარები ვიწროა ძალიან, თქვენ არ გინდოდათ რომ აქ შემოგვეყვანეთ!

მასკარილლ. რასაკვირველია! მაშ თქვენ ულინდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებო, გინდოდათ რომ ჩემი ქუდის მორთულობა წვიმით წამეხდინა და ჩემი ფეხსაცმელები ტალახში ამომესვარა! დაიჭი, წაიღეთ თქვენი ტახტრევანი.

მეორე მეტყველი. ბატონო ფული მოგვეცით, რაღა!

მასკარილლ. ჰაა!

მეორე მეტყველი. მე მოგახსენებთ, უფალო, რომ ფული უნდა გვიბოძოთ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

მასკარილლ. (სილას გაარტყავს) როგორ მიბედავ ამას, შე საძაგელო შენა, ჩემისთანა ხარისხის კაცს, როგორ უბედავ ამას, ჰაა!

მეორე მეტყველი. ბანა ასე აძლევენ ფულს ღარიბებსა? თქვენი ღირსება გვაჭმევს პურსა თუ?

მასკარილლ. აჰა, მე თქვე გასწავლით, თუ როგორც უნდა მოიქცეთ; ამ ოხრებს ვერ უყურებთ რომ მეხუმრებიან კიდეცა!

პირ. მეტ. (ილებს ტახტრევანიდამ ჯოხს) აი ასე, აბა მალე მოგვეცით ფული.

მასკარილლ. რაო?

პირველი. მე ვამბობ, რომ ახლავე უნდა მოგვცეთ ფული.

მასკარილლ. ძალიან ჭკუიანია, სწორეთ!

პირველი. აბა, მალე, რაღა!

მასკარილლ. როგორც საჭიროა, შენ ისე ლაპარაკობ, ის კი ერთი საძაგელი რამ არის, თვითონაც არ იცის, რას ამბობს, დაიჭი, ახლა ხომ გეყოფა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი. აარა არ მეყოფა, თქვენ სილა გაარტყით ჩემს ამხანაგს და (ჯოხს ასწევს საცემრათ)

მასკარილლ. ფთხილად, დაიჭი ესეც სილისათვის მომიცია. ჩემგან ყველაფერს იშოვის ადამიანი, როცა ძალას არ მატანენ და მხოლოდ მთხოვენ. გასწით და მერე მოდით ჩემს წასაყვანად, სალამოზე ლუვრის სასახლეში უნდა წავიდე ხელმწიფესთანა.

გამოსვლა 9.

მარიანა და მასკარილლ.

მარიანა. ახლავ გიახლებიან ჩემი ქალბატონები.

მასკარილლ. რას მოეჩქარებიან, ძალიან კარგათა ვზივარ აქა და შემიძლია მოვუცადო.

მარიანა. აი მობრძანდებიან კიდეცა.

გამოსვლა 10.

მადლონა, ვალო, მასკარილლ და ალმანზორ.

მასკარილ. (მდაბლად თავს დაუკრავს) ჩემი გამბედაობა თქვენთან ხლებით, რასაკვირველია გაგაოცებსთ, მაგრამ მე არ გახლავარ დანაშაული; თქვენზედ ისეთი მშვენიერი ხმები მესმოდა, რომ ჩემმა გულმა ველარ მოითმინა, საშინლად მიმიზიდა თქვენსკენ, ამისათვის გავბედე აქ ხლება და თქვენი ლირსების გაცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლონა. თუ ღირსებას ეძებთ, არა მგონია აქ იპოვნოთ.

ვაცო. ღირსების ნახვა თუ გნებავდათ, უსათუოთ თან მოიტანდით.

მასკარილლ. მომიტევეთ რომ ვერ გეთანხმებით. მე ვხედავ, რომ თქვენზედ გავრცელებული ხმები ნამდვილი ყოფილა, და რასაც პარიჟი შვენებას თაყვანსა სცემს, თქვენ ანათებთ ამასა.

მადლონა. თქვენს ქებას სამზღვარი არა ჰქონია, მაგრამ მე და ჩემი ბიძაშვილი მაინც პირში ქებათ ვსთვლით ამასა და არა ჭეშმარიტებათ —მოსაზრებასა.

ვაცო. (მადლონას) უბძანე სკამები მოგვართვან, სთხოვე დაბძანდეს.

მადლონა. ბიჭო, ალმანზორ!

ალმანზორ. რა გნებავსთ ქალბატონო?

მადლონა. საჩქაროთ სკამები მოგვართვი, სასიამოვნო საუბრის გაწევას უნდა შევუდგეთ

მასკარილ. მგონია მე აქ დიდი გაფრთხილება მმართებს. (ალმანზორი გავა)

ვაცო. ვითამ რისა უნდა გეშინოდეთ?

მასკარილლ. როგორ თუ რისა. თქვენთან აქ ყოფნით, ასე მგონია ეს ეს არის გული ამომივარდება და საუკუნოთ გამოვეთხოვები ჩემს თავისუფლებას. აქ ისეთს თვალებსა ვხედავ, რომელნიც არავის არ დაინდობენ და ისე დასწვენ რომ ნაცრათ აქცევენ, ვინც დაუახლოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ახლავე უნდა გავიქცე ან თავდებათ უნდა დავიყენო ვინმე, რომ უვნებლად დავშორდები ამ გასაგიჟებელს თვალებსა.

მადლონა. (კატოს) რა მხიარული ყმაწვილი ყოფილა!

კატო. (მადლონას) გამოცხადებული «ჰამილკარია», სწორეთ ის «ჰამილკარი», მე და შენ რომ კლელიის რომანში წავიკითხეთ.

მადლონა. ნუ გეშინიათ ბატონო, ჩვენი თვალები არავის არ ემტერებიან და შეგიძლიათ გული დაიმშვიდოთ.

კატო. რა საცოდავათ შემოგცქერით ეს სავარძელი! რა ხანია თქვენთან მოუპყრია ხელები, მოხვევნას ელის, თქვენ კი გულ-ცივათა ხართ და პასუხს არ აძლევთ; შეიბრალეთ, დააკმაყოფილეთ ამის სურვილი და მოახვევინეთ თქვენთვის ხელი.

მასკარილლ. (თავსა და ტანისსამოსს ისწორებს.) ახლა ქალებო, პარიჟისას რას იტყვით, როგორ მოგწონსთ პარიჟი?

მადლონა. რა უნდა მოგახსენოთ. პარიჟში რას არა ნახავს ადამიანი. რაც რამ სიმდიდრე, შვენება, მახვილობა, გემოვნებაა, ყველაფერი პარიჟშია; უგუნური თუ არ იტყვის, თორე ამას ყველა ამბობს, რომ პარიჟი ყოველი ძვირფასი ნივთებით და მშვენიერებით სავსე ქალაქია.

მასკარილლ. დიალ, ამას მოგახსენებთ, პარიჟი რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყოს ქვეყანაზე, არ ვიცი თუ პატიოსანი კაცები სად უნდა წასულვიყავით.

ვაცო. ჭეშმარიტსა ბრძანებთ!

მასვარილ. ხანდის ხან კი ტალახი იცის, მაგრამ ტახტრევნებით ატარებენ მაშინ.

მადლონა. დიალ, ტახტრევნები ძალიან სასიამოვნო თავშესაფარებელია, როცა ტალახია და წვიმს.

მასვარილლ. ხშირათ დადიან თქვენთან სტუმრები? ვინ არიან იმათში გამოჩენილნი ჭკუა გონებითა და მახვილობით?

მადლონა. ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ თითქმის ვერავინ გვიცნობს აქა, მაგრამ იმედი გვაქვს კია, რომ მალე კარგს ნაცნობებს ვიშოვნით. ერთი ჩვენი მეგობარი ქალი დაგვპირდა, რომ გაგვაცნობს აქაურს საუკეთესო, გამოჩენილს და განათლებულს ყმაწვილ კაცობას

ვაცო. საუკეთესო მცოდნე და დამფასებლებს, რაც რამ გამოჩენილია განათლებულს საზოგადოებაში!

მასვარილლ. ამისათვის მე უფრო გამოგადგებით. მუდამ დღე იკრიბებიან ჩემთან საუკეთესო განათლებული ყმაწვილი კაცები, თვალს გავახელ თუ არა დილას, ვნახოთ ბარე ექვსი განათლებული კაცი კიდეც შეკრებილია ჩემს სახლში.

მადლონა. ოჰ ღმერთო, დიდი მადლობელი ვიქნებით, დიდათაც დაგვავალებთ, ამიტომ რომ ვისაც მალალ საზოგადოებაში ყოფნა და ტრიალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა; უსათუოთ საჭიროა იცნობდეს მალალი ხარისხის საზოგადოებას, მაგათ შემწეობით გავარდება ხოლმე კარგი ხმა მთელს პარიჟში და ხომ მოგეხსენებათ თუ არ იარეთ ერთმანეთში და არ მიიღეთ სახლში, ცუდათ შემოგხედვენ და რა უშავს შევასრულოთ ამ გვარი საზოგადოების წესი. ამასთანავე ჩემის მოსაზრებით ამ გონივრულს და ჭკვიანურს საზოგადოების შემწეობით ბევრს სასარგებლო და საჭირო რასმე ისწავლი სიცოცხლეში, რომელნიც მაღალ გონიერებას შეადგენენ. ყოველს დღეს სხვა და სხვა ახალი ამბები გესმის პროზითა და ლექსებით შეთხზულები; მაგალითად, ვინ რა ამბავი შეთხზა რომელიმე საგანზე, ვინ რა ლექსები გამოთქვა რომელსამე სასიამოვნო ხმაზედ; ამა და ამ გახარებულმა კაცმა სიხარულით თუ რა ლექსი დასწერა; ვთქვათ ულალატა ვინმე ვისმე, შეიტყობ თუ იმაზედ რა ლექსია; ვსთქვათ კიდე ამა და ამ კაცმა ერთი ლექსი დაუწერა თავის არშიყს ქალსა, ამ დილას დასაკმაყოფილებელი პასუხი რომ არ მისცა; ან რომელიმე მხატვარმა დახატა შესანიშნავი რამ მხატვრობა. ესა და ეს მწერალი მესამე ნაწილსა სწერს თავის თხზულებისას, ან ესა და ეს ათავებს საცაა თავის თხზულებას და კიდეც ბეჭდვახ დაიწყებს. აი ამგვარი ამბების გამგონე, რასაკვირველია დიდათ აფასებ მაგნაირს საზოგადოების გაცნობას, და თუკი და-

შორებულია ვინმე ამას, სწორეთ უნდა გითხრა: იმის ჭკუა გონება გაუხსნელი ყოფილა.

ვაცლო. მე კი ვგონებ ეს დიდი დაპრანჭვა იქნება და მიქარვა იმისი, ვისაც თავი ჭკვიანათ მოაქვს და კი არ იცის, თუ ყოველს დღეს სად რა ამბავი ხდება. ვგონებ ქვეყნის სირცხვილი დამედებოდა თავზედ, რომ მკითხოს ვინმე,—ახალი ამბავი ბოდ არა იცი რაო და მე კი ვერაფერი პასუხი მივუგო!

მასკარილ. დიალაც, დიდი სირცხვილია, მაგრამ ამაზედ რათა სწუხართ? მე გავმართავ თქვენ სახლში მთელს აკადემიას ჭკვიანსა და გონება გახსნილს საზოგადოებისას, და გარწმუნებთ კიდევაც, ერთი ლექსი არ დაიწერება მთელს პარიჟში ისე, რომ თავ და პირველად თქვენ არა გქონდესთ დაზეპირებული. აბა შემომხედეთ მე, როცა მინდა ვვარჯიშობ და თქვენ ნახავთ თუ ყოველს ქუჩაში პარიჟში ჩემი სხვა და სხვა გვარი ნაწერები ლექსებათ არ გაიგონოთ, ასამდის სიმღერები შემითხუზავს, ანდაზები, ოთხასი ოროლ ტაიპიანი ლექსები, ათასამდის სხვა-და-სხვა გვარი გამოცანები, სურათებით აწერილს გარდა.

მადლონა. უნდა გაგიტყდეთ, რომ საშინლად მიყვარს სურათები, ამაზედ უკეთესათ არა მიმაჩნია რა.

მასკარილ. სურათების აღწერა ცოტა არა რომ ძნელია, დამჯდარი ჭკუა გონება სჭირდება, აი ნახავთ ჩემს შეთხზულებს, არ დაიწუნებთ იმათა.

ვაცო. საშინლად მიყვარს გამოცანაები.

მასკვარილ. დიალ, ძალიან კარგათ ულ'ის გამოცანებს ადამიანს. ამ დილას ოთხიოდე დავსწერე და მოგახსენებთ ახლავე, თუ გამოიცნობთ.

მადლონა. ლექსებიც კი სასიამოვნოა, მეტადრე თუ კარგათ არის დაწერილი.

მასკვარილ. ეს ჩემი ხელობა გახლავსთ, მე ვსწერ ახლა ლექსად მთელს რომაელთ ისტორიას.

მადლონა. ეს კი მშვენიერება უნდა იყოს, ერთს წიგნს ავიღებ, თუ კი დაბეჭდვინებთ.

მასკვარილ. თითო წიგნს ორივეს მოგართმევთ საუკეთესო ყდით გადაკრულს, თუმცალა პიროვნების დარღვევა იქნება ესა, მაგრამ ამით დამბეჭდავს ვაძლევ მოგების შემთხვევას, რომ საშველს არ მაძლევენ.

მადლონა. ოჰ, რა სასიამოვნო უნდა იყოს თქვენს საკუთარს თხზულებას რომ ნახავთ დაბეჭდილს!

მასკვარილ. რასაკვირველია, მართლა უნდა მოგიყვეთ ერთს ლექსს; გუშინ ერთს ჩემს მეგობრის, გრაფის ცოლთან გახლდით და იქ უცაბედათ შევთხზე ერთი ლექსი.

მადლონა. ეს არის კარგი, უცაბედათ ლექსის შეთხზვა ამტკიცებს დიდს ნიჭს.

მასკვარილ. აბა ყური დამიგდეთ.

მადლონა. ყურადღებათ გადვიქეცით, აბა ბძანეთ.

მასკვარილ. ოჰ, ოჰ მე მაშინ ფრთხილად ვერ ვიყავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიქრელად რომ თქვენ შემოგყურებთ
თქვენი თვალები მეპარებიან
და გულს მტაცებენ: არიქა ქურდი!...
არიქა ქურდი, არიქა ქურდი!

ვაცო. ოჰ, ღმერთო, რა მშვენიერი კილოთი არის დაწერილი!

მასვარლ. რასაც ვამბობ ტყუილი კი არ გეგონოთ, რასაც ვსწერ ყოველივე ზრდილობიანია და გამომჩენებლობა არ დაეწამება.

მადლონა. რას ბძანებთ, სიცრუე თქვენგან შორს არის.

მასვარ. ამის დასაწყისი შენიშნეთ? «ოჰ, «ოჰ» აი ეს არის სამაგალითო, თითქო უცბათ რომ გაიკვირვებს ადამიანი და იტყვის: «ოჰ, ოჰ!»

მადლონა. დიალ, მშვენიერება რამ არის ეს «ოჰ, ოჰ»

მასვარ. თითქო აქ არა იყოს რაო!

ვაცო. ოჰ, ღმერთო, რას ამბობთ, ეს უძვირფასესი რამ არის.

მადლონა. რასაკვირველია, ეს «ოჰ, ოჰ» მთელს ახალს პოემას რასმე მირჩევნია.

მასვარილ. ბეტყობათ, საქმის გაგება კარგათ გცოდნიათ.

მადლონა. არც უმისობაა, რომ გვესმის ცოტათ.

მასვარილლ. არა, მაინც როგორ მოგწონთ მე რომ ვამბობ «ფრთხილად ვერ ვიყავ» მეთქი. «ფრთხილად ვერ ვიყავ», ვითამ და მოსარიდებელს ვერასა ვხედავდი, როგორც ლაპარაკში ითქმის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ფრთხილად ვერ ვიყავ, უფიქრელათ რომ», ვითამ უაზროდ, განუბრახავად; უფიქრელად რომ შემოგყურებთ, როგორც უმანკო რამ სულიერი, როგორც ბატკანი; როგორც ცხვარი შემოგყურებთ, ვითამ სიამოვნებით შემოგცქერიავართ: «თქვენი თვალები მეპარებიან»—როგორ მოგწონსთ ეს სიტყვა «მეპარებიან», კარგი არ არის?

ვალო. ძალიან კარგი.

მასკარ. მეპარებიან, თითქო კატა ეპარებოდეს თაგვსა «მეპარებიან!»

მადლონა. უკეთესი არ შეიძლება.

მასკარ. «და გულს მტაცებენ», ვითამ გული მომპარე', გამცარცვეს და არიქა ქურდიო, არიქა ქურდიო, რომ ვიძახი ამას არ იტყვით, რომ კაცი გაუქურდავთ და ყვირილით თითქო ქურდს მისდევდეს, ეგება ხელი ვსტაცოო, დავიჭიროო, «არიქა ქურდი, არიქა ქურდი.»

მადლონა. უნდა ალიაროს კაცმა, რომ გონივრულად არის სიტყვა გამობრუნებული.

მასკარ. ახლა რა კილოზედაც დავამღერებ, ი'იც უნდა მოგახსენოთ.

ვალო. მუზიკა გისწავლიათ?

მასკარ. მე? არასოდეს.

ვალო. აბა მაშ როგორ მოახერხეთ?

მასკარ. რიგიანმა ხალხმა უსწავლელათაც იცის ყოველივე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლონა. (ბატოს) **რასაკვირველია, ჩემო** საყვარელო.

მასკარ. **აბა,** ყური **უკდეთ** ამ ხმას თუ მოგეწონებათ: ჰემ, ჰემ, ლა, ლა, ლა, ლა, ამ სიცივეებმა ხმა ძალიან წამიხდინეს, მაგრამ არა უშავს-რა, მაინც კაცური ხმაა. (მღერის).

ვაცო. **ოჰ,** აღტაცებული ხმა არის, მომაკვდინებელია.

მადლონა. **წ**ყობილ სიტყვაობაც ეტყობა.

მასკარ. **კ**არგათ არ არის გამოხატული აზრი ამ სიმღერაში, **ა**რიქა ქურდიო! **მ**ერე ოითქო ძალიან ყვიროდეს არიქა, არიქა, არიქა ქურდიო, არიქა ქურდიო. **შ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლონა. აქამდისინ ყოველს გულის გასართობს საქმეში, დიალ მარხული ვიყავით.

მასკარილლ. თუ გნებავთ ამ დღეებში წაგიყვანთ თეატრში, მალე ახალი კომედია უნდა ითამაშონ, მე რომ მომეწონა, და თუ გნებავთ ერთათ წავიდეთ საყურებლად.

მადლონა. ძალიან კარგი იქნება.

მასკარილლ. მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი ტაში უნდა დაუკრათ ხოლმე, როცა იქ იქნებით, რადგან კომედიის დამწერმა მთხოვა მისვლა იმის წარმოდგენაზედ და დაფასება იმის თხზულებისა. აქ ისეთი ჩვეულება არის, პიროობა აქვთ დადებული მწერლებს გარეშე პირებთან, რომ უნდა მიიტანონ ხოლმე მწერლებმა თავ-თავისი შეთხზულები და წააკითხონ ხოლმე; აი მაგალითად, ჩემთან ხშირად მოიტანენ ხოლმე დასაფასებლად, უნდა წარმოეთქვა ჩემი აზრი,—კარგია თუ არა ეს თხზულება, და როცა თეატრში დავდივარ—ყოველთვის ვაქებ ხოლმე, ისე ავამაღლებ, კიდეც ვამბობ—რომ ამ კომედიას თაყვანი უნდა ვსცეთ მეთქი. თუ თეატრში გაილაპარაკებთ წარმოდგენის დროს—პარტერი გაგაჩუმებსთ.

მადლონა. კარგი, დამეხსენით, თუ ღმერთი გწამსთ, ოჰ, რა მშვენიერი მხარე რამ ყოფილა ეს პარიჟი—თქვენი ჭირიმეთ, მუდამ დღე ათასნაირი რამ ხდება აქა, რასაც სხვა პრავინციებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებასაც არავინ აქცევს, ძალიან განათ-
ლებულიც რომ იყოს.

ვაცო. აბა კმარა, რადგან ჩვენ განათლებული და
ნასწავლები ვართ, მოვალეობად დავდებთ
ყოველსავე გამოვეხმაუროთ—რასაც აქ ახალს
იტყვიან ან დასწერენ.

მასკარილლ. არ ვიცი, იქნება ვსცდები, მაგრამ გეტ-
ყობათ, რომ კომედია უნდა დაგეწარათ რამე.

მადლონა. ეჰ, შესაძლებელია რასაც ამბობთ მომ-
ხდარიყოს რამე.

მასკარილლ. ჰო, აბა ვნახოთ ის კომედია, ჩვენში
კი დარჩეს, მე რომ შევთხზე ახლა ხანს და
მინდა წარმოვადგენინო.

ვაცო. რომელს თეატრში წარმოადგენინებთ?

მასკარილლ. რა საკითხავია, რასაკვირველია დიდს
თეატრში, მხოლოდ იქ იციან კარგი დაფასება
თხზულებისა. სხვა თეატრში რა იციან, გარდა
უბრალო ლაპარაკისა, ლექსების წაკითხვისა არა
გაეგებათ-რა; სრულიად ვერას გაიგებთ იმათ-
გან წაკითხულის ლექსებიდამ, რადგან ისეთს
ადგილას არ ჩერდებიან, სადაც საჭიროა და
ამითი ლექსებს ახდენენ ძალიან.

ვაცო. ერთის სიტყვით თუ აჩვენეთ სად რა ნაირი
ლექსია და როგორი, თვითან ვერას გაიგებენ?!...

მასკარილლ. როგორ მოგწონთ ჩემი მორთულობა,
მოსახდენი ტანისსამოსია?

ვაცო. ძალიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასკარილლ. ლენტი კარგი არჩეულია?

მადლონა. მშვენიერებაა, ნამდვილი პერდრიჟონია.

მასკარილ. ამაზედ რას იტყვით?

მადლონა. ძარგი ფერისაა!

მასკარილლ. შემიძლია დავიკვეხო, ძალიან ბევრი ნაჭრები აქვსთ ამისი—ყველაზედ უმეტესი.

მადლონა. უნდა მართალი ვსთქვა, არას დროს არ მინახავს ასეთი მშვენიერი მორთულობა.

მასკარილლ. აბა ერთი ამ ხელთათმანებს უსუნეთ, კარგი სუნი უდის.

მადლონა. ოჰ, მართლაც რა მშვენიერი სუნი უდისთ!

ვალო. ამისთანა მშვენიერი სუნელოვანი არა მინახავს-რა.

მასკარილლ. (თავის ფარუქის თმას მიუშვერს). აბა ახლა ამას უსუნეთ.

მადლონა. მეტის-მეტი მშვენიერი სუნი უდის.

მასკარილლ. რატომ ამ ჩემის შლიაპის ბუმბულზედ არს იტყვით, როგორ მოგწონსთ!

ვალო. დიდათ მოსაწონია.

მასკარილლ. რა მილირს თითო, იცით! ძალიან მიყვარს როცა ლირეულად დააფასებენ ხოლმე ჩემს ტანისსამოსს.

მადლონა. მე და თქვენ ერთნაირი გემოვნებისანი ვყოფილვართ; რასაც ვიცვამ, მინდა რომ შნოიანი იყოს, ჩულქებიც კი წმინდათ მოქსოვილი უნდა იყოს.

მასკარილლ. (უცბათ დაუკვირდ.) ეს რა ლმერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიწყრა, ჰა, ჰა, ეს რა რიგია თქვენგან, ეთუოთ უნდა გიჩივლოთ, როგორ იქნება ესა?

ვაცო. რა არის, რა დაგემართათ?

მასკარილლ. როგორ რა არისო, ორთავე ერთათ შემომმიტიეთ ორივე მხრიდამ. ეს ყოველის წესის წინააღმდეგია, ორი რომ ერთს ებრძოდეს, უნდა ვიყვირო, რაც შეიძლება.

ვაცო. რაღაც უცნაურათ ლაპარაკობს ეს კაცი.

მადლონა. არა, მშვენიერი ჭკუის პატრონია, ათასნაირად აბრუნებს თავის გონებას.

ვაცო. თქვენ შიში მეტი გქონიათ, გული მეტად უდროოთ გიშფოთდებათ.

მასკარ. როგორ თუ უდროოთაო! თავიდამ ბოლომდის ცეცხლი მეკიდება!

გამოსვლა 11.

იგინივე და მარიოტა

მარიოტა. ქალბატონო, თქვენა გკითხულობსთ ვალაცა.

მადლონა. ვინა?

მარიოტა. ვიკონტ დე ჭოდლე ვარო.

მასკარ. ვიკონტი დე ჭოდლეო?

მარიოტა. დიალ, ბატონო!

ვაცო. იცნობთ იმას (მასკარილლს).

მასკარ. ჩემი გულითადი მეგობარია.

მადლონა. (მარიოტას) მოახსენე მობრძანდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასკარილლ. რამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი და დიდად მოხარული ვარ იმის ნახვითა.

ვალო. აი მოგრძანდა.

გამოსვლა 12.

ვალო, მადლონა, ქოდლე, მასკარილლ, მარიოლა და ალმანზორ.

მასკარილლ. ოჰ, ვიკონტს ვახლავართ.

ქოდლე. (ჰკოცნის მასკარილლს) ოჰ მარკი!

მასკარილლ. რა მოხარული ვარ შენის ნახვითა!

ქოდლე. რა ბედნიერი ვარ აქ რომ გხედავ!

მასკარილლ. ერთი კიდე მაკოცე, თუ ლმერთი გწამ.

მადლონა. (ალალოს) ხედავ, ჩვენ თურმე გვიცნობენ აქა, ხომ ხედავ დაიწყო სიარული ჩვენსა მაღალმა ხარისხის ხალხმა.

მასკარილლ. გთხოვთ იცნობდეთ ამ კეთილშობილსა, მერწმუნეთ თქვენი გაცნობის ყოვლად ღირსია.

ქოდლე. თქვენ ღირსნი ბრძანდებით, რომ ჩვენი მოვალეობა შევასრულოთ და გიახლოთ თქვენთან. იცეთი მიმზიდველნი ბრძანდებით ყოველ ხარისხის ხალხისა, რომ ყველანი ვეწრაფებით თქვენს გაცნობას.

მადლონა: ეს მეტის-მეტი პირ-ფერობაა თქვენის მხრით.

ვალო. ღღეგანდელი დღე ჩვენთვის შესანიშნავია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბედნიერს დღეთაც ჩაითვლება.

მადლონა. (ალმანზორს) ბიჭო რა არის ყოველთვის რომ უნდა განგიმეორო ერთი და იგივე, ვერ ხედავ რომ საკარძელი უნდა მოართვა ამათ?!

მასკარილლ. ვიკონტს ამ მდგომარეობაში რომ ხედავთ, ნუ გიკვირსთ. ამისათვის არის დღეს ფერმკრთალი, რომ ეს არის მძიმე ავათმყოფობა გამოიარა.

ჟოდლე. დიალ, სასახლის მიზეზი გახლავსთ; მთელი ღამეები იქ დროს გატარებაში გადის, ამას გარდა ბრძოლაშიაც ვილალები ხოლმე.

მასკარილლ. იცით რა მოგახსენოთ, ქალებო, ეს ვიკონტი ერთი მამაცი მებრძოლეთაგანი არის ჩვენის საუკუნისა, ძალიან ყოჩაღი, უშიშარი ადამიანია.

ჟოდლე. დიდათ დავალებული ვართ თქვენგან მარკიზ, ჩვენც კი გაგვეგება რისაც ღირსი თქვენ ახართ.

მასკარილლ. მართალია შემთხვევა გვქონია ერთმანერთის გაცნობისა.

ჟოდლე. და მერე ისეთს ქვეყნებში, სადაც მეტის მეტი სიცხეები იცის...

მასკარილლ. (კატოს და მადლონას უყურებს) დიალ, მაგრამ ისეთი სიცხე ხომ არ იცის, როგორც აქა, ჰე, ჰე, ჰე, (იცინის)

ჟოდლე. ჩვენ ერთმანერთი ომში გავიცანით და სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ იმ დროს, როდესაც ესენი (მასკარილონ უჩვენებს) მალტიისს ჯარს უწინამძღვრებდნენ.

მასკარილლ. დიალ, მართალსა ბრძანებს; მაგრამ თქვენ უფრო ადრე იყავით დაწინაურებული, კარგათ მახსოვს, ჯერ უბრალო აფიცერი ვიყავი, როდესაც თქვენ ორი ათასი ცხენოსანი გებარათ.

ქოდლე. ᲝᲛᲘ კარგი რამ არის, მაგრამ ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ მართებლობა, საუბედურო, კარგათ არ აჯილდოებს ჩვენისთანა თავ განწირულებს

მასკარილლ. მეც ამიტომ ჩამოვკიდე ჩემი ხმალი ლურსმანზედ...

ჯაფო. საშინლად მიყვარან სამხედრო კაცები.

მადლონა. მეც მიყვარან ძალიან, მაგრამ მე მინდა რომ ჭკუა გონება ეთანასწორებოდეს მამაცობას.

მსკარილლ. მახსოვსთ ვიკონტო, ჩვენ რომ დროშა წავანრთვით ჩვენს მტრებს არრასში, ნახევარ მთვარიანი?

ქოდლე. ნახევარი მთვარეო, რათ ამბობ, როდესაც ის მთელი იყო.

მასკარილლ. მგონია, მართალს ამბობთ...

ქოდლე. ᲝᲚᲝᲜᲓᲐᲪ რომ უნდა მახსოვდეს, რადგან მაშინ ყუმბარითა ვარ ბარკალში დაჭრილი და ეს ჭრილობა ახლაც მეტყობა. ᲐᲑᲐ ერთი ხელი ახელით, ღვთის გულისათვის, შეატყობთ თუ როგორი დაჭრილობაც იყო.

ვაცო. (შემდეგ იმისა, ბარკალს რომ გაუშინჯავს) მართლაც და დიდი დაჭრილობა ყოფილა.

მასკარილლ. (მადლონას) მომეცით თქვენი ხელი და აქ მომკიდეთ, თავის ქალაზელ, გრძნობთ რასმე?

მადლონა. დიალ, რალასაცა ვგრძნობ.

მასკარილლ. უკანასკნელს ომში აქ ვიყავი დაჭრილი.

ქოდლე. (გულს შეიხსნის) აი კიდევ ერთი ჭრილობა, სადაც ტყვიამ მკერდში გამიარა გრაველენის ჩხუბის დროს.

მასკარილლ. (შარვალს ისწევს მუხლთან) ახლავ გაჩვენებთ საშინელს დაჭრილობას.

მადლონა. ასეც გვჯერა, ნახვა საჭირო არ არის, ნუ შეიხსნით ფეხსა.

მასკარილლ. ეს ისეთი ნიშნებია, რომ ადვილად შეიტყობთ, როგორი კაცია ვარ.

ვაცო. ვიცით რაცა ბძანდებით.

მასკარილლ. ვიკონტო, თქვენი ეკიპაჟი აქ არის?

ქოდლე. რათ გინდათ მერე?

მასკარილლ. ქალაქს გარეთ გავიყვანდით სასეირნოთ. და საჩუქრებსაც მივართმევდით.

მადლონა. ჩვენ დღეს ვერ გავალთ შინიდამ.

მასკარილლ. დაუკრას მაინც ვინმე, ვითამაშებდით

ქოდლე. კარგი ფიქრია.

მადლონა. აბისი კი თანახმანი ვართ, მაგრამ ცოტანი ვართ და უნდა მოუმატოთ ვინმე კიდე.

მასკარილლ. ეი, კამპანო, პიკარო, ბურგონიონო,

კასკარეტო, ბასკო, ლაფერდურო, ლორენო, პროვანსალო, ლავილეტო. ოჰ სად ეშმაკებში წავიდნენ ეს მოსამსახურეები! მგონია მთელს საფრანგეთში ამისთანა კეთილშობილი კაცი არავინ არის ისე გაუპატიურებული მოსამსახურებისაგან, როგორც მე. აბა ჩემისთანა კაცს, დამანებეს თავი ჩემმა მსახურებმა და მარტო გამიშვეს!...

(შემოდის ალმაზორ)

მადლონა. ალმაზორ, წადი ამ ბატონის მოსამსახურებს უთხარი წავიდნენ და სკრიპკის დამკვრელები მოიყვანონ, შენც მოიწვიე ჩვენი მეზობლის ქალები, რომ შევამსოთ რიცხვი ჩვენის საზოგადოებისა.

(ალმაზორ გადის)

მასკარილლ. ბატონო ვიკონტო, ამ თვალებისას რას იტყვით.

ჟოდლე. არა, თქვენ თვითან რას ფიქრობთ, ბატონო მარკიზო?

მასკარილლ. მგონი ჩვენ აქედამ თავისუფლათ ვერ გავიდეთ... რაც შემეხება მე, რალაც ნაირათ ვცახცახებ და ჩემი გული თითქო ბეწვზედა ჰკიდია.

მადლონა. რასაც იტყვის, ძალიან კარგათ გამოჰყავს ხოლმე, მეტის მეტი გონივრულია ამათი ლაპარაკი.

ვატო. მართლაც რომ დიდი ნიჭი სჭირდება ამას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასკარილლ. თქვენს დასარწმუნებლად, რომ მარ-
თალი ვარ მე, ერთს რასმე მოვიქმედებ (ფიქ-
რობს)

ვალო. ზულით გეეედრებით რომ ჩვენთვის შეთხზული
ლექსი გაგვაგონოთ რამე.

ჟოდლე. მეც ეგა მსურს, მაგრამ ვერა მგონია მოვა-
ხერხო, რადგან პოეტიკური ძარღვი ბევრი სი-
სხლის დენისაგან დაღალული მაქვს.

მასკარილლ. პირველი ლექსი ყოველთვის მშვენიერი
გამოდის ხოლმე, ღმერთო ჩემო, მეტის მეტი
დაჩქარებაა, უცებ შემიძლია, როცა მცალია შე-
გითხზოთ ლექსი, რომ საუკეთესოთ მიგაჩნდეთ
მთელს ქვეყანაზედ.

ჟოდლე. დემონის ჭკუა აქვს ამას.

მადლონა. ძალიან ზდილობიანი ყმაწვილია და ძა-
ლიანაც მოხერხებული.

მასკარილლ. მითხარით ერთი ვიკონტო, რამდენი
ხანია რაც ჩვენი მეგობარი გრაფინა არ გინა-
ხავთ?

ჟოდლე. სამ კვირაზედ მეტი იქნება, ვიზიტი მმართებს
და აქამდისინ ვერ გადაუხადე.

მასკარილლ. იცით, ამ დილას მნახა პრინცმა და
მთხოვა რომ წავყოლოდი ირმის სანადიროთ.

მადლონა. აგერ ჩვენი მეგობრებიც მოგბძანდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 13.

მეზობლის ქალები: ლუსილა, სელიმენა; ვაცო, მადლონა, მასკარილლ, ქოდლე, მარიცცა, ალმანზორ და სკრიპკის დამკვრელნი.

მადლონა. დიდათ უკაცრავათა ვართ თქვენთან ქალებო, ამ ყმაწვილმა კაცებმა მოინდომეს ჩვენი მხიარულება და ამისათვის შეგატყობინეთ-მობრძანებულიყავით, რომ შეგემატებინათ ჩვენი რიცხვი.

ლუსილა. დიდათ დაგვავალეთ.

მასკარილლ. უცებ გამართული ბალი გახლავსთ ახლა და ამ დღეებში კარგს ბალს გაემართავთ. სკრიპკის დამკვრელნი მოვიდნენ?

ალმანზორ. დიალ, გიახლნენ!

ვაცო. აბა, გთხოვთ დაბძანდეთ.

(მასკარილ თავისთვინ მარცო ცანცაოზს)

მასკარილ. ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა,

მადლონა. სწორეთ მოხდენილი ტანადობა ჰქონია ამას (მასკარილზედ)

ვაცო. ტანცაობაც მშვენიერი სცოდნია.

მასკარილლი (მადლონას აიყვანს სატანცაოთ) ჩემს გულ მართლობასაც ფეხებს ავაყოლებ, აბა ზომით, სკრიპკებო, ზომით. ოჰ, ამათ სულ არა სცოდნიათ რა. ჯანაბამდინ გივლიათ თქვენის სკრიპკებითა, აბა ასე დაუკარით (მლერის) ლა, ლა, ლა, ლა, დაიკარგეთ იქით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოდლე. ნუ ჩქარობთ თქვე დალოცვილებო, ნაკ-
ვათმყოფარი ვარ, ჩქარი ტანცაობა არ შემიძლია

გამოსვლა 14.

დიუკრ., ლაგრანჟ, იგინიეე და მარიოტა (ალმანზ. გარდა)

ლაგრანჟ. (დიდის კეტითა) შეხე ამ მხეცებს ამათა, ამ წყეულებსა, სადა ჰყრიან, რას აკეთებთ აქა? სამი საათია რაც დაგეძებთ.

მასკარილლ. (ბატონი სცემს) ოჰ, ოჰ, თქვენ არ გითქვამთ, დალოცვილო, ჩემთვის, რომ გცემ კიდეცაო.

ქოდლე. ოჰ, ოჰ, ოჰ, (ქოდლესაც სცემენ)

ლაგრანჟ. ჰაი, თქვე ყურუმსაღებო, საძაგლებო თქვენა, გინდოდათ განა დიდ კაცებათ გეჩვენებინათ თავი, ჰა!

დიუკრუაზი. აი ეს მოგარჯულებსთ თქვენა აი! (სცემს რაც შეუძლია)

გამოსვლა 15.

იგინიეე, დიუკრუაზისა, ლაგრანჟს გარდა.

მადლონა. ეს რა ამბავია, თქვენი ჭირიმეთ?

ქოდლე. დანიძლავებული ვიყავით ერთმანეთთან.

ვალო. რაო, მერე აგრე აცემინებთ თქვენს თავსა?

მასკარილლ. ღმერთო ჩემო, არ მინდა შევიმჩნიო რამე, თორემ ძალიან აპრიალება ვიცი და რომ გავცხარდე!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლონა. მაგისთანა შეურაცხყოფის ატანა, ... ჩვენთან!

მასკვარილლ. ეს არაფერია, დიდი ხანია ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს და მეგობრობაში ამისთანა უბრალო რაზედმე კაცი არ უნდა შეიუცხუნდეს.

გმოსვლა 16.

იგინივე, დიუკრუაზი და ლაგრანჟ.

ლაგრანჟ. ჩვენ კი ველარ დაგვცინებთ, დავიფიცავ, აბა შემოდით ყველანი. (შემოდიან ორი თუ სამი ქუჩის ბიჭი-მცემლები)

მადლონა. როგორა ჰბედავთ, რომ ჩემს სახლში თავისუფლათ შემოდიხართ და რევთ აქაურობასა!!

დიუკრუაზი. როგორა ქალიბატონებო, დიალ, ჩვენ ავიტანთ ამას, რომ ჩვენი მოსამსახურეები ჩვენზედ უკეთესად იყვნენ მიღებულნი; გაგიარშიყდნენ თქვენა და ბალებსაც გიმართვენ ჩვენს ხარჯზედ.

მადლონა. თქვენი მოსამსახურეები?

ლაგრანჟ. დიალ, ჩვენი მოსამსახურეები გახლავნან, და არც კარგი და პატიოსანია თქვენგნით იმათი გარყვნა.

მადლონა. ოჰ ღმერთო დიდებულო, რა შეურაცხყოფაა ეს ჩვენი!

ლაგრანჟ. ჩვენის ტანისამოსით რომ ხედავთ ახლა ამათ, მერე კი ველარ იხილავთ; თუ გნებავსთ მაგათი სიყვარული, უტანისამოსოთაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგიძლიათ გიყვარდესთ. (მოსამსახურეებს) გადით იქით, გაიხადეთ საჩქაროთ.

ქოდ. მშვიდობით ჩვენო დარბაისლობავ, დიდკაცობავ!

მასვარილლ. აი ჩვენი მარკიზობა და ვიკონტობაც გადაყენებული!!

დიუკრუაზი. ჰაი, თქვე საძაგლებო, როგორა ბედავთ ჩვენის ტანისამოსით მათთან არშიყობას! მე თქვენ გიჩვენებთ სეირსა და გასწავლით, თუ საღ უნდა წახვიდეთ და რანაირათაც გეკუთვნისთ ამ გვარს ქალებთან თავის დაჭერა.

ლაგრანჟ. მეტის მეტია ჩვენი ასეთი წარმოდგენა, ისიც ჩვენისავე ტანისამოსით.

მასვარილლ. ოჰ, განგებაო, რა დაუდეგარი რამ ხარ!

დიუკრუაზი. საჩქაროთ გაიხადეთ ტანისამოსი.

ლაგრანჟ. გაიტანეთ გარეთ ეგ ბარგი ბურგი ჩქარა. ახლა კი ამ გვარს ტანისამოსით, როგორც ესენი არიან, ინებეთ თქვენი არშიყობის განგრძელება, სანამ მოგწონდესთ; სრული თავისუფლება მოგვიცია თქვენთვის. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ მე და ჩემი მეგობარი არ ვიქნებით თქვენი არშიყების რაყიფები.

გამოსვლა 17.

მადლონა, ვაცო, მასვარილლ, ქოდლე, სკრიპვენის დამკვრელნი.

ვაცო. ოჰ, რა ნაირათ შევრცხვეთ!

მადლონა. ჯავრით ლამის გული გამისკდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სკ. დამკვ. რა ამბავია ესა, ვინ მოგვცემს ახლა ჩვენს ქირასა?

მასკარილლ. ბატონს ვიკონტსა სთხოვეთ.

ერთი დამკვრელი. (ქოდლე!) ფულებს რომელი ერთი გვაძლევთ?

ქოდლე. ბატონს მარკიზსა სთხოვეთ.

გამოსვლა 18.

იგინივე და გორქიმუსი.

გორქიმუს. ოჰ, თქვე საძაგლებო, თქვენა, ამას რასა ვხედავ, რა მესმის! იმ ყმაწვილმა კაცებმა საზარელი ამბები მითხრეს თქვენზედ!

მადლონა. ოჰ, მამა-ჩემო, საზარელი შეურაცხყოფა მოგვაყენეს იმათ.

გორქიმუს. ოლონდაც რომ საზარელი, სწორეთ! მაგრამ ეს სულ თქვენი ჯიუტობის ბრალია, თქვე საძაგლებო! იმათ გადაგიხადეს რაც თქვენ უპატიურება მიაყენეთ. ვაი ჩემს უბედურობას, რომ გამიმწარეთ თქვენ სიცოცხლე.

მადლონა. უსათუოდ გადაუხდით, თუ არა და ჯავრით მოვკვდები! თქვენა! თქვე ავაზაკებო, კიდევა ბედავთ აქ ყოფნასა!

გამოსვლა 19.

გორქიმუს, მადლონა, ვაცო და სკრიპკების დამკვრელნი.

ერთი სკრიპკის დამკ. ჩვენ ველით, რომ ქირა მოგვეცეს, რაც აქ ჯაფა გავსწიეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორაქიმუს. (ეკრ. დამკვრ. სცემს) **დ**იალ, დიალ, აი ან-ლავე მოვცემთ! **ა**ი ის ფულები, თქვენ რომ გერგებათ! (ქალებს) თქვე სათოკენო, არ ვიცი რას გიზამთ, ლამია თქვენც ასე გაგტყეპოთ. **რ**ას იტყვის ჩვენზედ ხალხი? **ს**ასაცილოდ აგვიგ-ღებენ, რამდენს ჭორს იტყვიან ჩვენზედ! **ე**ს სულ თქვენი სისულელის, უგუნურობის, და სიგიჟის ბრალია. **თ**ქვე ბრაჭია ქალებო, დაიკარგეთ აქ-დამ, თავი არსად გაჰოჰყოთ, არას დროს ქვეყანა-ზედ, თორემ შავს დღეს დაგაყენებთ. (ქალები გადიან) **რ**აც რამ იმათი სისულელის მიზეზი ხართ, უსაქმო გონირების დროს-გამტარებელნო, რომანებო, ამბებო, ლექსებო, შაირებო, ან-დაზებო, დრამებო, კომედიებო—სულ თქვენის კითხვითა აქვსთ თავები გამოტენილი და ვინ იცის, რა ოხრობას არ ჩადიან, ოჰ, ყველას ერთად ჯანაბამდისაც გივლიათ!

(ფარდა დაეშვება.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა, არ არის დანაშაული.

რომანი

ეტელ პერსისა.

ნათარგმნი ანნა მესხიისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა, არ არის დანაშაული.

რომანი

I.

იყო მოლრუბლული ივნისის დღე და ალმოსავლეთის ქარი დაჰქროდა მოსაჩუზეტის ზღვის ნაპირას, რომელიც ყოველს დროს სავსე იყო ინგლისიდგან ახლად მოსულებით. აღელვებულის ზღვისაგან გამოგდებული ხეების ნამტვრევები ამტკიცებდნენ, რომ ღამ-ღამეობით ბუნებასთან საშინელი ბრძოლა უნდა ყოფილიყო.

ცის კიდეში მოჩანდა კიდევ ლრუბლები; ისეთი ძლიერი იყო აღელვებული ზღვის ტალღები, რომ ზღვის ნაპირები ქაფით აევსოთ. საშინელის ხმაურობით ასკდებოდა ნაპირებს ზღვა, რომლის პატარ-პატარა შხეფები ასველებდნენ ორს ახალგაზდა ქალ-ვაჟს, რომელნიც ცუდ ტაროსს ყურადღებას არ აქცევდნენ და ზღვის ნაპირზედ დასეირნობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მოსეირნეთაგანი იყო ახალ-გაზდა ბიჭი, შავგვრემალი სახით და შავი, ლამაზი, გამომეტყველი თვალებით. იმის გაცვეთილი ტან-საცმელი ამტკიცებდა, რომ ის ეკუთვნოდა იმ წრეს, რომლისათვისაც ძნელია საზრდოების მოპოვება.

მისი თანა მოგზაური ქალი მშვენიერება რამ იყო.

ეს იყო მალალი ტანის, კოპწია ქალიშვილი. ჰქონდა მშვენიერი სწორი სახე, შემკული მშვენიერი შავი დიდრონი ნაწნავებით თავი ყოველთვის ამაყად ეჭირა. თვალის მიმტაცი ფერი ფუჩულა ტუჩებისა და ქორფა ლოყები კიდევ უფრო ამშვენებდა მისს მარმარილოს სითეთრის მსგავსს სახეს, რომელიც შემკული ჰქონდა აქეთ-იქეთ ფოსოებით. თუმცა მშვენიერის ცხვირის და გრძელის, ხშირის წამწამებით შემოზღუდული ჭრელის თვალების პატრონი იყო, მაგრამ იმისი სახე მაინც რამდენიმედ ეშმაკობას გამოხატავდა. იშვიათად შეხვდებოდა ადამიანი ამ გვარ მიმზიდველს არსებას.

— მეგი, უთხრა ნალვლიანის ხმით ყმაწვილმა კაცმა: ნუ თუ არ შეგიძლიათ ცოტათი მაინც შემიყვაროთ? მე თქვენ მიყვარხართ... მე არც კი შემიძლია წარმოვიდგინო იმისთანა არსება, რომელსაც თქვენ არ უყვარდეთ სულით და გულით. დიდი ხანია მიყვარხართ.. ჯერ წასრულიც არ იქმნებოდით ბიჩ-ბოლედგან ინსტიტუტში. მართალია, არაფერით არ შემიძლია თქვენი მიზიდვა.—მე ღარიბი ვარ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურისტს და ისიც ჯერ მოსწავლე სტუდენტს. არა აქვს უფლება ქორწინებაზედ ბაასისა, მაგრამ შემდეგში, მეგი, როცა მე მივახწევ ჩემს მიზნამდის საზოგადოებაში.—როცა ალარ ვიქმნები ულირსი ვსთხოვო პოლკოვნიკ დაიზარტს მისი ძმის-წულის ხელი... მაშინ... მაშინ შეიძლება?

მეტის-მეტის ალელვებისაგან მან ველარ შეიძლო ბაასის გაგრძელება.

ისინი მივიღნენ სილაში ლრმად ჩაფლულს ნავთან. მეგი მიაწვა იმის იალქანს, მან უგემურად შეხედა ყმაწვილ კაცს, რომელმაც აგრე წრფელად უძღვნა თავისი გული და მიუგო:

— არა, რობინ, მაშინაც არ შემეძლება თქვენი შეყვარება. მე თქვენ არ მოგწონხართ.

— ვითომ, არ მოგწონვართ? ამოოხვრით ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა, ჩაიწყო ჯიბეებში ხელები და ფეხით ჩიჩქნიდა სველს მიწას.

— რა სულელური კითხვაა! თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ არა. მე თუ გავთხოვდები, რაც ასე მალე არ იქმნება, მაშინ ამოვირჩევ იმისთანას ქმრად, რომელიც....

— რომელიც? დაასრულეთ რალა! წამოიძახა რობინ ლეიტმა.

— რომელიც ემსგავსება ქოსტანციას საქმროს, მიუგო მეგიმ. ის გასაშტერებელი რამ არის, რობინ! ლურჯი თვალები, ოქროს ფერი ხუჭუჭი თმა... ერთი სიტყვით ისეთი მშვენიერებაა, რომელსაც შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლია ალტაცებაში მოიყვანოს თავისი სილამაზით ყველა ყმაწვილი ქალები, ქოსტანციას გარდა. ძალიან ცუდად ჰქონა ქოსტანციამ, რომ თავის ქოროწილში არ დაგპატიჟათ, მაგრამ ის ყოველთვის სცდილობს, ჩემს საკუთარს მეგობრებს გვერდი აუარ-ოს.

რობინ ლეიტმა დალონებით შეხედა გამედიდურებულს ქალიშვილს. მისდა ბედათ ის კაცი, რომელსაც მეგი ასე აქებდა, სხვისი საქმრო იყო დარამდენიმე საათის შემდეგ გახდებოდა სხვისა. ამის გამო მეგის სიტყვები ისე მწარედ ალარ ეჩვენა, მაგრამ მაინც ცხარედ უპასუხა:

— ძალების თვალში მაინც პირველი ალაგი სილამაზეს უჭირავს. ლურჯი თვალები! ოქროს ფერი თმა! ფუ! რა არის მაგ გვარი კაცი! ან ვინ აგიწერათ ასე მომხიბლავათ თქვენ იმისი მშვენიერება?!...

— მე თვითონ ვნახე იმისი სურათი, რომელიც თავის თავად მეუბნება, მიუგო ქალმა. ქოსტანციამ სიამაყით მაჩვენა საქმროს სურათი, თითქოს განგებისაგან მოვლინებული არსებაა.

— ის მგონია, ჯერ არ მოსულა ბიჩ-ბოლეში?

— არა, ამ საღამოს მოვა ჯვარის დასაწერად. ოჰ, რობინ, რომ გაჩვენათ რა კაბა მეცმება ქოროწილში! მშვენიერი ვარდის ფერი ფარჩა, რომელიც მომიკიდა ნიუიორკის საუკეთესო მკერავი ქალებისაგან და მასთან მარგალიტი, პოლკოვნიკისაგან ნაჩუქარი ამ შემთხვევისათვის. მე დედოფლის ამხანაგად ვიქმნები. რ ასაკვირველია, ქოსტანცია თვითონ არ ამომირჩევდა, აგრამ ბიძიამ ისურვა და ისიც ვერ გაბედავს უარი თქვას და ბიძია გააჯავროს. ლამაზი არ ვიქმნები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობინ, განა ვარდის ფერი კაბით და მარგალიტებით მორთული?

და ეშმაკურად გადახედა იმის დალონებულს სახეს. ნიავმა ჩამოუწეწა შუბლზედ ხუჭუჭი თმა და თვალები უბრწყინავდა მომავალის კმაყოფილებით.

უიმედოთ შეყვარებულმა, რობინ ლეიტმა, ჭმუნვარებით და გაჯავრებულის სახით წამოილაპარაკა:

— თქვენ ყოველთვის და ყოველგვარად ლამაზი ხართ, თუმცა მე უფრო მიამებოდა მენახეთ უბრალო ჩითის კაბით, ვინემ აბრეშუმებში გახვეული. მისს *) ნორზის ქორწილში, რასაკვირველია, მოვლენ ნიუიორკიდგან სხვა და სხვა კოხტა ყმაწვილები და, იქმნება, ოქროს ქოჩრიანი ადონისიც... თუ რა ჰქვიან?

— მისტერ **) დანტონ მაულტრი, მიუგო მეგიმ.

რობინის მავგვრემალს სახეს ალმული აენთო და წამოიძახა:

— მგ ნამეტანია, მეგი! საშინელი შეუბრალებლობაა! მე ვფიქრობდი, რომ ცოტათი მაინც გეჭირათ ჩემი მხარე, ახლა კი მეგონა და...

— თქვენი მხარე? რასაკვირველია, მაგრამ სიყვარულსა და მომხრობის შუა დიდი განსხვავებაა.

— ჰო, რასაკვირველია, არის...

— მე სახლიდგან გამოვექეცი ბოსტანციას ფაცა-ფუცს, და აქ თქვენ მაწუხებთ მაგ გვარის კითხვებით! ბაჯავრებულის ხმით უთხრა მეგიმ. მე მეჯავრება არშიყობა და ნამეტური თქვენი—ჭირივით საზიზღარია ჩემთვის.

*) მისს ინგლისური სიტყვაა; ნიშნავს ქალიშვილს.

**) მისტერი ნიშნავს ბატონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობინი საშინლად გაყვითლდა, მიუახლოვდა და ჩახლეჩილის ხმით უთხრა:

— ჩემო ძვირფასო მეგი! მცირე იმედი მაინც მომეცი.

ქალმა ტუჩებზედ მიაფარა ხელთათმანში გამოსხეპილი პაწაწინა ხელი, თითქოს უნდოდა თავიდგან მოეშორებია და მიუგო:

— რა ახირებული ადამიანი ხართ! მე ხომ გითხარით, თუ როდის მე გავთხოვდები, რაც ჯერ კიდე საეჭვოა, ამოვირჩევმეთქი დიდებულის გვარისას. მე ამაყი ქალი ვარ, რობინ. მიყვარს სიმდიდრე, ბრწყინვალება და განცხრომაში ცხოვრება. თქვენ კი, მართალია, კეთილი გულისა, მაგრამ ღარიბი და მოწყენილი ხასიათისა ხართ. ბირჩევთ, წახვიდეთ თქვენს სახლში და შეისწავლოთ თქვენი პანდექტი.

ეს მშვენიერი ქალი ასეთი შეუბრალებელი იყო! რობინს ტუჩები უთრთოდა, როცა ჰკითხა:

— მაშ, სრულებით არაფერს იმედს მაძლევთ?

— ერთ ნამცეცსაც არა.

— მაშ, არ გიყვარვართ და არც შეგიძლიათ შემიყვაროთ?

— მე თქვენ არ მიყვარხართ და ვერც შეგიყვარებთ. მშვიდობით, იქმნება ქოსტანცია და ბიძაჩემი დამეძებდნენ კიდეც; და ამას გარდა, მგონი, ჩემს კაბასაც რალაცა აკლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ წამოიხტა ალის ფერი მოსახურავი დანელ-ნელა მოშორდა ზღვის ნაპირს. რობინ ლეიტი იდგა გაქვავებული და მიჩერებოდა მშვენიერს მოჩვენებას. ალმოსავლეთის ქარმა მოაგდო მისკენ სიმღერის ხმა მეკისა, რომელსაც გასაოცარი შემუშავებული ხმა ჰქონდა. ლექსი იყო სამიჯნურო; ეს მშვენიერი და ხმის მქონე ქალიშვილი არც კი ჰფიქრობდა, თუ რა მკაცრად და შეუბრალებლად სტანჯავდა მსმენელს. როდესაც მისწყდა სიმღერის ხმა, რობინმა მძიმეთ ამოიოხრა. ის ახლა გრძნობდა, თუ რა საშიშარი უკუსკრული აშორებდა იმას და პოლკოვნიკი დაიზარტის მემკვიდრეს და ძმის-წულს. — ამასობაში მეგიმაც მიაღწია ბიჩ-ბოლეს, ბიძა-მისის საზაფხულო სადგომს ზღვის ნაპირზედ. ეს იყო უზარმაზარი, სამ სართულიანი სახლი, ამაყად გადაჩერებული ნავთ-სადგურისაკენ. ლამაზი ბალი და მშვენიერად მოვლილი, უხვად მაჩრდილებელი ტყე გარშემორტყმული ჰქონდა სასახლეს. დაიზარტის ქალი შევიდა ჩუქურთმებით ვამშვენიერებულს წინა ოთახში. ფოველას მხრით ისმოდა ხმაურობა, როგორც საზოგადოდ ეკუთვნის საქორწინოდ მომზადების დროს: იქ ბრძანების ხმა მოისმოდა, აქ ოთახის მოწყობილობაები ერთი ალაგიდგან მეორეზედ გადაჰქონდათ, თუ ყვავილებ! კუთხეებში დგამდნენ. დარბაზის მეორე მხარეს კი სტოლებზედ გაჰქონდა კრიალი ბროლისა და ფარფორის ჭურჭლებს.

— მე ბიძასთან წავალ, სთქვა მეგიმ და წეუდგა ფართო, დაცემულს კიბეს, რომელსაც შეჰყავდა პოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვნიკი დაიზარტის საკითხავს ოთახში. ეს იყო ლამაზი ოთახი, რომელსაც ჩუქურთმებით ნაკეთები, მუქი ფერის საწიგნე შკაფები აძლევდა დარბაისლურ შეხედულობას და რომლის ღრმა კარები და ფანჯრები ჩამობურული იყო ალმოსავლეთში ნაკეთები ჭრელი ფარდებით. თუმცა თიბათვე იდგა, მაგრამ ბუხრები გაჩაღებული იყო ცეცხლით, რადგან ალმოსავლეთის ქარი ჰქროდა. ჩინეთური პატარ-პატარა შკაფები და სტოლები კიდე უფრო ამშვენებდნენ ამ ოთახს. პოლკოვნიკ დაიზარტს სიმდიდრესთან ჰქონდა შესანიშნავი გემოვნებაც.

ბუხრის წინ, ვეფხვის ტყავზედ იწვა ერთად-ერთი მცველი ამ ოთახისა დიდი ძაღლი. მეგის შემოსვლაზედ მან ასწია მაღლა თავი და დაიწყო კუდის ქნევა.

— ეს რას ნიშნავს, ქასტორ, შენ მარტოკა ხარ? ჰკითხა მეგიმ და, ბიძიას მომლოდინე, ჩამოჯდა ფანჯარაზედ. ფანჯარას ფარდა ისე ფარავდა, რომ მეგი თითქოს განცალკევებულს ოთახში იჯდა.

მას უნებურად მოაგონდა რობინ ლეიტი და მოუთმენელად წამოიძახა:

— რა სულელია, რომ მე შევყვარებივარ! რა სიგიჟეა! იმედი მაქვს ჩემ დღეში არავის შევიყვარებ; სიყვარული საშინელება რამ უნდა იყოს. სიყვარულისაგან საუკეთესო ჭკუიანი ადამიანები თითქმის სულელდებიან და...

ქარები გაილო და ოთახში შემოვიდა პოლკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენიკი დაიბარტი, რომელიც მამის-მაგიერობას უწევდა მეგის, მეტის-მეტად ასათუთებდა და თავის მემკვიდრეობასაც მას უტოვებდა. თუ ხასიათისა და თუ ავადმყოფობის გამო ის ძვირად გამოდიოდა საზოგადოებაში, მისს ბიამოვნებას შეარდგენდა ცხოვრება ძველს სასახლეში, რომელიც ნავთ-სადგურს გადაჰყურებდა; იმის ბრწყინვალე სახეს დიდ-კაცური და ავადმყოფის შეხედულობა ჰქონდა. ჯერ კიდევ კარების გასაღებისათვის ხელი არ გაეშვა, რომ გასძახა კიბისაკენ:

— აქ შემოდით, მარტინ!

ის იყო მეგის უნდოდა ფარდა გადაეწია და გამოსულიყო, მაგრამ ახლად შემოსულის შეხედვამ ისე გააშტერა, რომ ფეხი ველარ დასძრა. ეს იყო მოხუცებული კაცი საძაგლად შეკერილი ტანისამოსით. უვავილისაგან საშინლად დაჩენჩილს სახეს ჩამოფარებოდა თხელი თმა, სქელი წარბები ჩამოხურული ჰქონდა წვრილსა და მკაცრად გამომეტყველს თვალებზედ და განიერი პირის-სახე გარშემოზღუდოდა, აგერ-ეგერ დარგულსავით, სხვილი წვერებით. უშნოდ ეჭირა ხელში მოხუცებულს თავისი გაცვეთილი ქუდი და, როგორც მიუჩვეველი ამ გვარს სიმდიდრეს, ძრწოლით იხედებოდა აქეთ-იქით. ქასტორი წამოვარდა და ეცა უცნობს, მაგრამ პატრონმა ერთი შეძახებით გააჩერა.

— ძალლიც კი ველარ მცნობს! ახირებულის ლიმილით სთქვა უცნობმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ველარ! დაჯექით, დალონებულის სახით უთხრა პოლკოვნიკმა.

მარტინი ჩამოჩჯდა სკამზედ და შემკრთალი ჰმეტვნიდა ქუდსა. ამ დროს მევის შეეძლო გამოსულიყო ფარდიდგან, მაგრამ ცნობის მოყვარეობამ დაძლია. ვინ უნდა იყოს ეს კაცი, ჰფიქრობდა ის. რასაკვირველია ქორწილისათვის მოწვეული სტუმარი არ იქმნება. თუა მთხოვნელი, ან ლარიბი ნათესავი ვინმე? მაგრამ პოლკოვნიკს რამდენჯერ უთქვამს იმისათვის, რომ მის მეტი ნათესავი არავინა ჰყავს დედა-მიწაზედ. ამ ფიქრით ცნობის მოყვარე ქალიშვილი დარჩა თავის ალაგას და ძლიერ გაუკვირდა, რომ ბიძა-მისმა დაადო მხარზედ ხელი უცნობ კაცს.

— მე მგონია შეგაშინეთ, სერ, (ბატონო) უთხრა მარტინმა ბოხის და მკაცრის ხმით. ხომ არ მოგმეღლოდით?

— არა, მიუგო შემკრთალმა პოლკოვნიკმა.— ღმერთო ჩემო, თქვენს დანახვაზედ ხელ-ახლავ თვალ-წინ წარმოგმიდგა ყველაფერი.

— დიაღაც! ამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანერთი. მე საქმე მქონდა ბლიკოგაგენში და იქიდგან შემოვიარე თქვენთან. ხომ კარგად მიქმნია?

— კარგად.

— უკაცრავად ვარ კითვისათვის, მაგრამ თქვენს სახლში რაღაც უჩვეულებრივი მოძრაობაა?

— დღეს ჩემი გაზრდილი თხოვდება, მიუგო პოლკოვნიკმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი შეჰკრთა და სიჩქარეთით წამოიძახა:

— თქვენი გაზრდილი? ის ხომ არა... ის...

— ჩემი გაზრდილი და არა ძმის-წული, მარტინ.

ჩამოვარდა სიჩუმე, რომლის განმავლობაშიდ ისმოდა მხოლოდ ძალლის ღრინვა. პოლკოვნიკ დაიხარტმა ორჯერ, სამჯერ გაიარ-ეამოიარა ოთახში. ბაკვითლებულს სახეზედ ცვარ-ცვარად ადგა ოფლი და ხანდისხან წამოისროდა უთავბოლო სიტყვებს. მეკი საშინლად გაკვირვებული მისჩერებოდა. თავის დღეში ბიძა-მისი იმ მდგომარეობაში არ უნახავს, რომ თავის თავი დავიწყებოდეს. უცრად გაჩერდა ის უცნობის წინ, ხელი ხელს დაჰკრა და წამოილაბარაკა ისეთის ხმით, რომ თითქოს უნდოდა გაექრო იქვი, რომელიც შეპაროდა გულში:

— ია მართალია! არ არის დამნაშავე!

მეგი შეჰკრთა. რა გულით უნდოდა აეხადა ფარდა და გამოსულიყო, მაგრამ გვიანლა იყო, ის უნდა დარჩენილიყო და ძალა-უნებურად მოესმინა ბაასი. უცნობმა კიდე უფრო მაგრად დაუწყო თავის ქუდს ჭმუჭვნა და უპასუხა:

— მაგის შესახებ, ბატონო, მე ვერაფერს ვიტყვი. ბამოუდეგარია მაგაზედ ლაპარაკი. ულველს კაცს შეუძლია იქონიოს თავისი საკუთარი აზრი. მე ჩემი შეხედულება მაქვს, თქვენ-თქვენი. ხანდისხან თამამად შეგვიძლია ჩვენი აზრის წარმოთქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხანდისხან დაფარვა სჯობს. არიან ისეთები, რომელთაც მართლ-მსაჯულება ნამეტანი ადრე სჯის და ისეთებიც, რომელთაც გვიან მოეკითხებათ ხოლმე.

ასეთი გამოუკვეველის პასუხის გამოცნობა არ გასჭირვებია პოლკოვნიკს; მან მწარედ ამოიოხრა და წამოიძახა:

— მარტინ, მარტინ, შენ მარტო ეს წარმოიდგინე: თექვსმეტი წელიწადი ჯოჯოხეთური ტანჯვა!

— დიაღ, ბატონო, მარტო ღმერთმა იცის, როგორი ძნელია! დაუმატა მარტინმა.

— ძნელია! წამოიყვირა პოლკოვნიკმა და ისეთი მაგრად დაჰკრა სტოლს ხელი, რომ კინალამ წააქცია. ძნელია? ეს კიდევ ცოტაა, გასაშტერებელია, საშინელებაა! როდესაც წარმოვიდგენ, მეშინია ჭკუაზედ არ შევცდე და მხათა ვარ ჩემი სიცოცხლე შევსწირო, ოღონდ კი ეს საქმე ავხსნა.

— ეგ შეუძლებელია, ბატონო, მე ვიცი თქვენ რასაც ფიქრობთ, მაგრამ ტყუილად ნუ იწუხებთ თავს. ამ საქმის გასწორება და შეცვლა გვიანლაა, ვგონებ თქვენ მიმხედარი ხართ, რისთვისაც მოვედი ბიჩ-ბოლეში.

უცნობი საბრალოს სახით მიჩერებოდა პოლკოვნიკს. მეგიმბეჯითად დაიმახსოვრა ეს საძაგელი სახე.

— მითხარით, მარტინ, მითხარით! ამოოხვრით უთხრა პოლკოვნიკმა.

— მე მოვედი აქ ცოცხლად-მკვდარის მონდობილობით.

მეკის ჟრუანტელმა დაუარა. თავის ყურებს არ უჯეროდა ამისთანა ახირებული სიტყვების გაგონე-

ბას, მაგრამ პოლკოვნიკს სრულებითაც არ გაჰკვირვებია და მიუგო:

— ცოცხლად-დასაფლავებულს არ ესურვება ნახოს ცოცხალი?

— არა, მიუგო მარტინმა. მე ერთობ სამძიმო იქმნება ორივე მხარეთათვის, მაგრამ თუ კი რამე გაეგზავნება, დიდის სიამოვნებით მიიღებს.

პოლკოვნიკი გაჩუმდა, თითქოს უნდოდა მოეფიქრნა რამ და შემდეგ უთხრა:

— ბადაეცი ჩემს მაგიერ, რომ ვისაც ის ჰკითხულობს, იმყოფება ჩემს მზრუნველობას ქვეშ, სრულებით უვნებლად. ჩემი გარდაწყვეტილება დაურღვეველია. წელიწადები გარბიან, მაგრამ არ შეუძლიათ ეს გარდაწყვეტილება შემაცვლევინონ. მე ჩემს აზრზედ ვსდგევარ. სხვის არაფრის გაგზავნა არ შემიძლია, მარტინ.

— მაგაზედ უკეთესი არც არაფერი იქმნება, მიუგო მოხუცებულმა სიწრაფით.

— თუ რომ ცოცხლად-მკვდარი მოისურვებს რასმეს თავის კმა ოფილებისათვის, მალე შემატყობინოს, რომ დაუყოვნებლივ შემეძლოს ასრულება.

—ყველაფრისაგან მოშორებულს ქვეყნიერებაზედ, იმას არასფრის სურვილი არა აქვს და ამიტომ არც არაფერს ნატრულობს. ვინც ცოცხალია, იმათ იზრუნონ ცოცხლებისათვის.

უცნობის სიახლოვეს სტოლზედ იდგა ოქროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვარაყებულს ბუდეში მეგის სურათი. სურათი ი ე რიგად ჰგავდა ნამდვილს, რომ პოლკოვნიკი არ იშორებდა თვალის წინ.

— მარტინ, ეს ჩემი ძმის-წულია, უთხრა პოლკოვნიკმა და მიუთითა სურათზედ.

მარტინის გამჭრიახი თვალები გაშტერებით მიაჩერდა სურათს და გაკვირვების ნიშნად გაიქნია თავი.

—წაიღეთ ეგ, უთხრა პოლკოვნიკმა.

მეგის გასაშტერებლად და შესაწუხებლად მარტინმა აიღო სურათი, გახვია უბრალო წითელ ბამბის ცხვირ-სახოცში და ჩაიდო ჯიბეში. მეგი გაწითლდა სიანჩხლით: როგორ გაბედა პოლკოვნიკმა მისი სურათი მიეცა ამისთანა საძაგელი კაცისათვის! დაიზარტმა, რომელიც ამასობაში საშინლად იტანჯებოდა, განაგრძო:

— თქვენ პატიოსანი კაცი ხართ, მარტინ! არ შემიძლია დაგეხმაროთ რითიმე? ფული თუ გინდათ, ან სხვა რაიმე?

— მე არაფერი არ მინდა, ბატონო, მადლობას მოგახსენებთ.

დაქანცული პოლკოვნიკი დაეცა სკამზედ და უთხრა:

— მაშ, აბა, გაემგზავრეთ. ნუ იფიქრებთ, რომ მე არა მაურდეს სტუმართ-მოყვარეობა გაგიწიოთ, მაგრამ მეშინია, როცა თქვენ გიყურებთ, ჭკუაზედ არ შევსცდე.

— ეგ მე სრულებითაც არ მაკვირვებს. მწუხვარ, რომ დღეს მოვედი აქ და დაგამწარეთ დღევანდელი დღე, იმიტომ რომ ძლიერ აღელვებული ხართ. იჯექით, მე მარტოც გავაგნებ გზას. მშვიდობით, შეიძლება მოვიდეს დრო.....

— არა, მარტინ! მწარე კენესით მიუგო პოლკოვნიკმა. ის დრო აღარ მოგვივა, ერთობ გვიანაა, ერთობ, რომ იმედი იყოს.

— მეც აგრე მგონია, ბატონო.

ამ სიტყვებით ის გავიდა ოთახიდგან.

მეგი უძრავად იდგა ფანჯარასთან, როგორ გასულიყო აქედგან, რომ არავის შეენიშნა? მოინდომა გაეღო ფანჯარა და გადასულიყო ბაღში. ის იყო უნდა სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა, რომ უეცრად შემოესმა რაღაც უცნაური ხმა. დაუკდო ყური, თითქოს ტირის ვილაცაო, დაავიწყდა ყველაფერი და მივარდა ბიძას.

— ბიძია, შენ გენაცვალე! ეს რა ამბავია? რა გატირებს? ვინ იყო ის საშიშარი კაცი? რად აწვალებინე აგრე თავი, ან ჩემი სურათი რად მიეცი?

პოლკოვნიკი გაკვირვებული წამოვარდა. მწუხარებით შეჭმუხვნილმა იმისმა სახემ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა მეგიზედ.

— მეგი, ღვთის გულისათვის მითხარი, საიდგან გაჩნდი აქა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომიტევე, ჩემო ბიძია, მე ფანჯარაზედ ვიჯექი თქვენის ლაპარაკის დროს და ვერ მოვახერხე გამოესულვიყავი იქედგან. ბეფიცები ღმერთს, არაფერი ისეთი არ გამიგონია, რომ ადვილი გასაგები ყოფილიყოს ჩვეულებრივი კაცისათვის.

პოლკოვნიკმა გაიყვანა ის განზედ და შეწუხებული მისჩერებოდა იმის მშვენიერს, ეშმაკურს სახეს. ქალის შეკრთომამ შეარყია ისა და უფრო დამშვიდებულის ხმით ჰკითხა:

— ნახე შენ ის კაცი?

— დიალ, ბიძიავ, მაგრამ ვერავითარი სილამაზე ვერ ვიპოვე იმაში, მიუგო მეგმ ძალ-დატანებულის ღიმილით, თითქოს უნდოდა შიში დაეფარა. არ მეგონა, თუ შენს მეგობრებში იყო იმისთანა კაცი.

— შენ გაიგონე ჩვენი ლაპარაკი?

— სულ ყველაფერი და ამიხსენი, ჩემო ბიძია, რომელ დედა-მიწის მხარეს ეკუთვნის მარტინი? რა ნაირად უნდა გადასცეს ცოცხლებისაგან მინდობილობა მკვდრებს, და ან სად არიან დასაფლავებული მაგისთანა მიცვალებულები?

ამ კითხვებზედ პოლკოვნიკის ფერ-მკრთალს სახეს კიდევ უფრო გადაჰკრა სიყვითლემ და უპასუხა:

— უბედურმა შემთხვევამ გაგხადა ამ შემთხვევის სმოწმედ, რასაც მე ძლიერ ვსწუხვარ. მისტერ მარტინი ჩემი ძველი მეგობარია და ჩემი სურვილი იყო, მიმეცა მისთვის შენი სურათი და მერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმუნე, კარგად შეინახავს. შენ გაიგონე, რაც ორ გეკუთვნოდა და ამის მიტევება მხოლოდ ერთის პიროობით შემიძლია.

— რა პიროობით? მთრთოლვარის ხმით ჰკითხა ქალმა.

— ორ უთხრა არავის იმ კაცის აქ ყოფნა და არც მისი ნალაპარაკევი. ფიქრადაც ნულარ გაივლებ ამას შემდეგ. ეს საქმე მარტო მე და იმას შეგვეხება. შენ გენაცვალე, ჩემო ძვირფასო შვილო, სიტყვა მომეცი, რომ ყველა ამაებს დაივიწყებ.

ბიძა-მისის აგრე დაჟინებით ხვეწნამ კიდევ უფრო შეაშფოთა მევი, მაგრამ მაინც დაუყოვნებლივ მიუგო:

— დიალაც, დიალაც გაძლევ მაგაზედ სიტყვას. რაც მე გავიგონე ისე კაუგებარი და მოსაწყენია, რომ იმის დავიწყება არ გამიჭირდება.

თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნათ ზურგიდამაო, პოლკოვნიკმა თავისუფლად აიოიოხრა, მიუჯდა ბუხარს და ძალ-დატანებულის ღიმილით ჰკითხა:

— სად იყავი ჩემო კარგო, ზღვის ნაპირზედ დასეირნობდი განა?

— დიალ, მხიარულის სახით მიუგო მევიმ; მე და რობინ ლეიტი დავდიოდით ერთად და ის მეკითხებოდა, გამეგები, თუ არა ცოლათო?

— ტუტუცი! ბაჯავრებულის ხმით წამოიძახა პოლკოვნიკმა. მერმე შენ რა უთხარი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვუთხარი, რომ სრულებითაც არ მომწონს ისა და არც კი ვფიქრობ იმაზედ. და მართლათაც სულ არ მომწონს. ან რისთვის უნდა გავთხოვდე? მე გვიანამდის არ გავთხოვდები.

— ძალბატონო, შენ ერთობ კოხტაობას იწყებ, მიუგო გახარებულმა პოლკოვნიკმა, რომ საშიშარს შემთხვევას განზედ ჩაუვლია მეგისათვის.

— შეიძლება! მე უნდა გამოვიტყდე, ბიძია, რომ შენს მეტი არავინ მიყვარს. შენა ხარ ჩემთვის ერთად ერთი ძვირფასი. სხვებთან ყველასთან გულგრილათა ვარ. რა ბედნიერად ვიცხოვრებთ მე და შენ ქოსტანციას წასვლის შემდეგ!

— შენ აგრე გგონია? იკვნეულად ჰკითხა პოლკოვნიკმა. მე კი მგონია, რომ სულ მარტო დავრჩებით და ძალიან მოგვწყინდება.

— მე კი არ მომწყინდება და! ბაჯავრებულის ხმით წამოიძახა მეგიმ. ძალიან მიხარია სწორედ, რომ თავიდგან ვიშორებთ. შენ კი გიყვარს ის, ბიძია, მაგრამ მე... რამდენჯერ მითქვამს შენთვის, რომ მე და ქოსტანცია თითქმის დაბადებიდგანვე ერთმანერთის მტრები ვართ, ნუ მიყურებ აგრე გაჯავრებული, ჩემო ძია, მეც ვიცი, ეს კარგი არ არის, მაგრამ ახლა ველარ შეეცვლა ამ აზრს. მე მგონია, ის ლირსი არ არის დანტონ მაულტრისა.

— არ არის ლირსიო! წამოიძახა პოლკოვნიკმა და მოლუშა წარბები. ჩემის აზრით კი ის არ არის ლირსი ქოსტანციასი. ის მხოლოდ ლამაზია და ფრან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუბებსავით ლაქუცა. ჯერ-ჯეროობით ამის შეტი ლირსება ვერ ვპოვეთ იმაში. მე გაკვირვებული ვარ, რომ ქოსტანცია, ისეთი კეთილ-გონიერი და ყოველ საქმეში შორს გამჭვრეტელი ქალი როგორ დათანხმდა უცნობ კაცთან ქორწინებაზედ.

— უცნობი სრულებითაც არ არის, ღიმილით მიუგო მეგიმ. იმან შეკრიფა სამხრეთელ ნაცნობებისაგან მისი ამბავი და თამამად შეუძლია სთქვას, რომ დანტონ მაულტრი ეკუთვნის კარგს შთამომავლობას და თუმც ახლა ღარიბია, მაგრამ დიდი იმედი აქვს მომავლისა. ქოსტანცია და მოუფიქრებლად გათხოვება შეიძლება? ამ გვარ შემოხვევაში ის ნამეტანი გამჭრიახიც არის. მე მებრალება დანტონ მაულტრი. ბანა შეიძლება ის ბედნიერი იქმნეს ამისთანა ცოლთან!

— მე შენა გთხოვ, რომ ქოსტანციაზედ მაგ ნაირად ნუ ლაპარაკობ. უკმაყოფილებით გააწყვეტინა პოლკოვნიკმა.—ნამეტანი უსამართლოდ ეპყრობი, შენ სრულებით არ იცი იმისი ხასიათი.

— შენთან, ბიძია, მარტო საუკეთესო ხასიათს იჩენს ისა, გაბუტულის სახით მიუგო მეგიმ.— ის ისე ბოროტი და ეშმაკია, როგორც კატა. ვაი იმის ბრალი, ვინც იმას ეძულება! მე კიდევ ვიტყვი, რომ სულითა და გულით მებრალება დანტონ მაულტრი.

ამ დროს მოისმა ეშმაკური ჩახველება. კარები გაიღო და შემოვიდა კაპიტარძლო, რომელსაც მეგი ისე ცუდად იხსენებდა.

ეს იყო ქერა, ლამაზი, მაგრამ მიუზიდველი სახისა. იმისის სახის გამჭვირვალს სითეთრეს ვერაფერ ნაირი აღელვება ვერ შეუცვლიდა ფერს. იმისი ლია ფირუზის ფერი თვალების ცივი გამოხედულობა არასოდეს არ გაცხოველდებოდა. ზასაოცარი სქელი, წათეთრო თმა ჯიღასავით უმშვენებდა ლამაზად მოყვანილს თავს. იმის მაღალსა და ჩასუქებულს მშვენიერ მოყვანილ ტანადობას ამშვენებდა და მედიდურ შეხედულობას აძლევდა თავისუფალი მიხვრა-მოხვრა. იმას აღტაცებაში მოჰყავდა ყველა და არას დროს უანგარიშოდ და მოუფიქრებლად არას ჩაიდენდა. ძვირად მოხდებოდა ისეთი რამ დედა მიწაზედ, რომ იმისი გული აეძგერებინა და საუკეთესო დარბაისელ კაცს შეშურდებოდა ყმაწვილი ქალის ამ გვარად თავის დაჭერა. ქოსტანცია ნორზს ჰქონდა თავის საკუთარი მამული, რომელსაც განაგებდა თავის შეხედულებისა მებრ. იმის ცხოვრება მიმდინარეობდა მხიარულად და უზრუნველად ურიცხვს ამხანაგებსა და თაყვანის მცემლებს შორის. ამ გვარს ქალსა და სიცოცხლით სავსე მეგის შორის, რასაკვირველია, დაიბადებოდა სიძულილი. როდესაც მისს ნორზი მიხვდა, დამალვა აღარ შეიძლებაო, შემოვიდა ოთახში. თეთრი მირინოზის კაბა, რომელსაც ისე მშვენიერად გამოეხატა მისი მოყვანილობა, თითქმის შუქს აძლევდა იმის გასაშტერებელს ფერს. ისე დამშვიდებულად და გულ-გრილად იყო, რომ კაცი ვერ წარმოიდგენდა, თუ იმის ჯვარის წერამდის რამდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათი-ლა დარჩენილიყო. მეგის ხუჭუჭ-თმიანი თავიდგან გადახედა პოლკოვნიკს და უთხრა:

— ნახევარი საათი-ლა დამრჩა თავისუფალი და მინდა თქვენთან გავატარო, ძვირფასო მზრუნველო!

მკრთალი სახე პოლკოვნიკისა ცოტად გამოცოცხლდა.

— მმადლობთ, ჩემო კარგო! ძალიან კეთილი გულისა ხართ, რომ ამ დროს გაგახსენდით. დაჯექით! ღმერთო ჩემო! ვინლა მიკითხავს წიგნებს, თქვენ რომ წახვალთ, ვინ დამიწერს ხოლმე ბარათებს და სიამოვნებით ამისრულებს ჩემს სურვილს? ღმერთმანი არ ვიცი, როგორ ვიცხოვრებთ ბიჩ-ბოლეში უთქვენოდ, ქოსტანცია?

მისს ნორზს ჭკუასთან განათლებაც ჰქონდა. იმ დროს, როცა მეგი ნავით დასეირნობდა, ან თამაშობდა თავის ძალლებთან, ანა და რობინ ლეიტს ეკოხტავებოდა, ქოსტანცია იჯდა და უკითხავდა პოლკოვნიკს რომელიმე სასიამოვნო წიგნს, თუ სწერდა იმის მაგიერად ბარათებს, ან ეხმარებოდა ანგარიშების შესწორებაში, ან და ნიშნამდა გაზეთებში სხვა და სხვა ამბებს, რომელიც პოლკოვნიკს იამებოდა წასაკითხავად. ერთის სიტყვით, მიჩენილი იყო, თუ რათი ესიამოვნებინა და დაემსახურებინა მისი კეთილდღება. მისს ნორზი იმდენად ეშმაკი იყო, რომ ადვილად შეეძლო მიემბრო თავისაკენ იმისთანა პირნი, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა ჰქონდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებაში. ახლა დაჯდა და ჩვეულებრივის სიმშვიდით მიუგო:

— მეგი დაიჭერს ჩემს ალაგს.

— არაფოდეს! წამოიძახა მეგიმ. მე ჩემს დღეში არ შემიძლია ავასრულო ისა, რასაც თქვენ შვრებით, ქოსტანცია!

მისს ნორზმა გულ-გრილად გადახედა და ღიმილით შენიშნა:

— მაშ თქვენ გებრალებათ დანტოს მაულტრი? უკაცრავად, მაგრამ როცა შემოვდიოდი, ჩემდა უნებურად მოვკარი ყური თქვენს ლაპარაკს. ძალიან კეთილი გულის ყოფილხართ! დანტონი დიდს მადლობას შემოგწირავსთ მაგისათვის, რომ იცოდეს.

— ძვირფასო ქოსტანცია! ბანგებას რომ მოეხდინა და ჩემი სიცოცხლე თქვენთან გამეტარებინა, შესაბრალისი ცხოვრება მექმნებოდა სწორედ!

— მეგი, შენ არ იცი განა, რა გრძნობაა სიბრალულთან ერთად? ისეთის ღიმილით მიუგო ქოსტანციამ, რომელიც ნემსებსავით ჩხვლეტამდა ახალგაზდა ქალის გულს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მეშინია, თქვენ ერთობ ეალერსებით დანტონის სურათს; გამოტყდით, ხომ არ გეხარბებათ ჩემთვის ისა?

— მე უნდა მეხარბებოდეს თქვენი რაიმე? წამოიძახა სიანჩხლით ანთებულმა მეგიმ. შემცდარი ბრძანდებით, ეგ შეუძლებელია! პოლკოვნიკ დაიზარტის ძმის-წულს არავისი არაფერი შეეხარბება. მეც კი მყავს პატივისა და თაყვანის მცემლები... თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა არა, რობინ ლეიტი მაინც, და თუნდა ასეც-ასე იყოს, ის კაცი, რომელიც თქვენ ამოგირჩევთ, სიბრალულის მეტს სხვა გრძნობას ვერ აღძრავს ჩემში.

უსიამოვნო ლაპარაკი გააწყვეტინათ ჰოლკოვნიკმა.

— ჩემო კარგო, შენ ისე გამოდიხარ მოთმინებიდგან, რომ შენი თავი აღარ გახსოვს. წადი, თუ გიყვარდე, დასვედე ოთახები როგორი მილაგებულია. ახლა უეჭველად მზად უნდა იყოს ყველაფერი. და ამას გარდა, მინდა თავისუფლად მოველაპარაკო ქალტანციას.

ჰოლკოვნიკი ისეთი გაყვითლებული და აღელვებული იყო, რომ მეკი ველარ ეწინააღმდეგა. რამდენიმე დაცინებითი სიტყვა წაულაპარაკა მის მტერს და გავიდა ოთახიდგან. თუმცა ძალიან გაჯავრებული იყო, მაგრამ მაინც დიდს ჰონაწილეობას იღებდა საქორწილო მზადებაში. დაიარა დარბაზები, რომელთ ფრანცუზულ გემოვნებაზედ მორთულობა და ხელოვნებით გაკეთებული მცენარეები იზიდავდნენ მნახველებს. სიამოვნებით ათვალიერებდა მეგი ყველაფერს. იქედგან გავიდა პურის საჭმელ ოთახში, სადაც რამდენიმე სტოლი იყო გაწყობილი და ბრწყინავდა მათზედ ვერცხლი, ბროლი და ფორფორის საუკეთესო ჭურჭლები. ბაჩაღებული ცეკვლი ბუხრებში ანათებდა ყველა ოთახებს, რომელთ ფანჯრები ღია იყო, რომ გაწმენდილიყო მძიმე ჰაერი. მოსამსახურეების ოთახიდგან და სამზარეულოდგან ისმოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაურობა, რომელიც ამტკიცებდა, რომ იქ დიდი მზადებაა მეჯლიშისათვის. ერთი ნაწილი სახლისა თითქმის სავსე იყო სტუმრებით და დანარჩენებსაც უკანასკნელი მატარებელით მოელოდნენ. პოლკოვნიკი დაიზარტი, მოყვარული და უხვი მზრუნველი, არაფერს არ ზოგავდა მისი გაზრდილის ქორწილისათვის. მას უნდოდა, რომ ეს დღე სამახსოვროდ ყოფილიყო ბიჩ-ბოლეში.

როდესაც მეგიმ დაათვალიერა ყველაფერი, ჩაირბინა თავის ოთახში. იქ ლოგინზედ იყო გაშლილი ძვირფასად გაწყობილი ვარდის ფერი აბრეშუმის კაბა და სტოლზედ იდვა პოლკოვნიკის ნაჩუქარი მარგალიტის ყელსაბამი. მეგი ჩამოჯდა ფანჯარაზედ და სტკბებოდა ზღვის ნაპირებისა და ამწვანებულის ტყის ცქერით. დიაღ, დღეს ქოსტანციამ უნდა დაიწეროს ჯვარი თავის საყვარელ, ლამაზ საქმროზედ, წავიდეს აქედგან და მით დაამშვიდოს მეგი! თუმცა ქოსტანცია ყოველთვის აჯავრებდა ამ განებივრებულს ქალიშვილს, მაგრამ მეგი სცდილობდა დღეის დღეს დაევიწყებინა ყველაფერი და ალერსიანად ყოფილიყო მასთან. თავის დღეში მეგის თავისი შთაბეჭდილება ბოროტად არ უხმარია, და ახლა ანთებული ეკითხებოდა თავის თავს: „ნუ თუ მართლა შურს, რომ ქოსტანციას იმისთანა საქმრო ჰყავს? თითქმის, რომ შურს... იმის სურათი მაინც მშვენიერება რამ არის, ეეჭველად სასიამოვნო უნდა იყოს იმისთანა კაცის თაყვანის მცემლად ყოლა. ნე-

ტავი იმისთანა ქმარი მეყოლება თუ არა?» მისს დაიზარტს ჯერ არც კი ენახა ის კაცი, რომელზედაც ამდენს ჰფიქრობდა. ის ყმაწვილი ქოსტანციას ამ რამდენიმე წლის წინად გაეცნო წყლებზედ, როცა მეგი ერთს ახალს სასწავლებელში სწავლობდა. იმათ მოციქულობა არ დასჭირვებიათ, უეცრად გადასწყვიტეს საქმე და მეგის უამბო ბიძა-მისმა, რომ ქოსტანცია დაინიშნაო. საქმრომ მოაცილა ქოსტანცია ბიჩ-ბოლეში, რომ გასცნობოდა დაიზარტს, მაგრამ ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა პოლკოვნიკზედ, დაჰყო ერთი კვირა და შემდეგ ალარავის უნახავს აქ, რადგანაც ახალი ოლლეანი გვარიანად მოშორებითაა ბიჩ-ბოლეზედ. ორთმეტი თვის განმავლობაში მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანერთში და ახლა წერილითვე დანიშნეს ჯვარის წერის დღე. სიყვარულისაგან გაშმაგებული დანტონ მაულტრი მოფრინავდა, და მეგისაც მოელოდა ნახვა იმ კაცისა, რომლის სურათმაც ისე მიიზიდა იგი. ახალგაზდები ჰფიქრობდნენ ქორწინების პირველი თვე და დანარჩენი ზაფხული გაეტარებინათ ნიუიორკში და შემოდგომაზედ წასულიყვნენ დანტონის სამშობლოში. მეგი დასჩერებოდა საათს და ანგარიშობდა: «ნიუიორკიდგან გამოვიდოდა დილით, მაშასადამე, ხუთ საათზედ ბოსტონში უნდა მოსულიყო. ქორწილი რვა საათზეა დანიშნული.» დადგა საღამოს ექვი და შეიქმნა ფაცა-ფუცი. ამ არეულობაში მეგის სრუ-

ლებით დაიკიწყა მარტინი და მისი უცნაური ლოთობა
პარაკი ცოცხლად-მკვდრებზედ.

Oთახში შემოიხედა ქოსტანციამ და წყნარის ხმით უთხრა:

— მორისს დაუძახეთ, აწი დროა, მგონია, ტანსაამოსი ჩაიცვათ. დღეის-დღეს არ შეეშვენის უკმაყოფილება; ჩემს მზრუნველს ჰსურს, რომ მე და თქვენ მეგობრულად გავშორდეთ ერთმანერთს. ფინ იცის, როდის მოგვიხდება ერთმანერთის ნახვა!

ამ სიტყვებით გულ-გრილად გაუშვირა ხელი და მეგობ გულ-წრფელის სიხარულით ჩამოართვა. მეგი გაკვირვებული იყო ამ დროს ასეთი მისი გულ-გრილობით და ყმაწვილურის ცნობის-მოყვარეობით ჰკითხა:

— ძალიან ბედნიერი ხართ, ქოსტანცია? ვგონებ სიხარულით მიწაზედ ფეხი არ უნდა გედგათ!

— მისს ნორზმა აიწია ლამაზი მხრები და მიუგო:

— რასაკვირველია, ბედნიერი ვარ, ძალიან ბედნიერი! მხოლოდ, რაიცა შეეხება მიწაზედ ფეხის დაუდგომლობას—ეს კი ალარ მესმის. პირიქით მეჯავრება უკიდურესს მდგომარეობამდის მიხწევა. იმდენი სიკეთე მიყავით, რომ დახედეთ, გაათავა თუ არა ლიზამ ჩემი ბარგის ჩალაგება.

სალამოს ბინდმაც მოატანა. სასახლის ფანჯრები განათებულია, მოშორებით ხეივნებში ეტლი ეტლზედ ერთმანერთს ასწრებს და ბრწყინვალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრებით სავსეა კაბე და ოთახები მშვენიერი ახ-ლისა. ბალი და ტყე გაჩალეს ხხვა-და-ხხვა ფერი ფანრებით, რომლების სინათლეც ალმოჩქეფარე შადრევანებს ცის-საოტყელას შუქს აძლევდა.

თავის ოთახში იდგა საბატარძლო და მოელოდა საქმროს. უოველი ქალი სცდილობს ქორწილის დღეს ლამაზად მოაჩვენოს ყველა თავი; მისს ნიჭ-ზსაც უნაკლულოდ შეესრულებინა თავისი მოვალეობა და მართლაც გასაშტერებელი ლამაზი იყო.

ბულ-ამოჭრილი თეთრი ატლასის კაბა უმშვენებდა დედოფლურს შეხედულებას. ბრძლად გადაშვებული ლეჩაქი მქრალი ლრუბელივით ეხვია გარშემო. თავზედ ძვირფას ყვავილების გვირგვინში შიგა და შიგ ბრწყინავდა პოლკოვნიკ დაიზარტისაგან ნაჩუქარი დიდრონი ალმასის ვარსკლავები; გამომეტ ყველი თვალები სრულებით დამშვიდებული მიმოიხედებოდნენ და გაფითრებულს პირის ფერს ნაზი სიწითლე შეჰპაროდა. თავის დღეში ის ასე დამშვიდებული არ ყოფილა.

იმის ოთხს ამხანაგებში, რომლებთაც ახლობელი ნაცნობები ჰყავდა არჩეული, რასაკვირველია, ყველაზედ ლამაზი იყო მეგი. ვარდის ფერი აბრეშუმის კაბა, რომლითაც ისე ტრაბახობდა როზინთან, საუცხოოდ ადგა მშვენიერ მოყვანილს ტანზედ და ლამაზს გულზედ და მაჯებზედ შებმული მარგალიტები ამკობდა მას. ალელვებული მდგომარეობის გამო იმის სახეს შეჰპაროდა ლია ვარდის ფერი და მისი შავი თვალები

ელვარებდნენ გრძელ წამწამებს შუა. საპატარძლო ემსგავსებოდა მშვენიერს გამოქანდაკებულს სახეს და მის გვერდით მეგი ჰგვანდა ქორფა ვარდსა. ვილამაც კარებზედ დაიკაკუნა. პოლკოვნიკს ჰსურდა ენახა საპატარძლო, სანამ ის სტუმრებთან გავიდოდა. იმის ცქერით საკმაოდ დამტკბარმა პოლკოვნიკმა თითქოს მჭმუნვარებით გადახედა მეგის. იქმნება მას ეშინოდა, რომ მისტერ მარტინის მოგონების კვალი ეჩნეოდა მეგის სახეზედ? მაგრამ ის ბრწყინამდა მხიარულებით. დაიზარტმა კმაყოფილებით ამოიოხრა და წასჩურჩულა.

— მშვენიერება რამა ხარ, ჩემო კარგო! ქარგს გუნებაზედ ხარ, განა?

— ძლიერ, ჩემო ბიძია.

— არაფერია ხომ შენი მხიარულების დამაბრკოლებელი?

— სრულებით არაფერი, მხოლოდ კაბა მიჭერს ცოტათი.

— უეჭველია, ეტლი გაგზავნილი იქმნება ვოკზალზედ მისტერ მაულტრისათვის? ჰკითხა ქოსტანციამ პოლკოვნიკს.

— ერთს საათზედ მეტია, მიუგო დაიზარტმა.

ბლეკ-ზაგენიდგან მოვიდა მლვდელი. სხვა და სხვა საათებმა უკვე დაჰკრეს რვა საათი. დას-დასებად დაყოფილი სტუმრები მუსაიფს თავს ვერ აბამდნენ და მოუთმენელად იხედებოდნენ ფანჯრებში. ამდენი ხნის მოლოდინის გამო ყველანი რალაც უხეირო მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობაში იყვნენ. დედოფლის ამხანაგები შეშფოთებული ეკითხებოდნენ ერთმანერთს, მხოლოდ ერთი საპატარძლო იყო ჩვეულებრივად დამშვიდებული.

— მატარებელი ხშირად იგვიანებს ხოლმე, ბლეკ-ბაგენიდვან ბიჩ-ბოლემდის ოთხი მილია, სთქვა მან.

ბავიდა ნახევარი საათი, დაჰკრა ცხრა. ბანცვიფრებული სტუმრები თითქმის შესჩიოდნენ ერთმანერთს: «რად დაიგვიანა ამდენ ხანს სასიძომ?» წინა დღეს მიიღეს ტელეგრამმა, რომ მშვიდობით მოახწია ნიუიორკამდის, მაშასადამე, ბიჩ-ბოლეში მოდიოდა. მღვდელი, რომელიც მეორე ჯვარის წერისათვის იყო მიწვეული, ყოველს ხუთ მინუტში დახედავდა საათს, და აღელვებული ლაპარაკი სტუმრებს შორის თან-და-თან მშვიდდებოდა. ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ერთი კითხვა-ღა ისმოდა: «რა ამბავია, რომ არ მოდის?» ერთი მისს ნორზი იყო მხოლოდ დამშვიდებული. მოთმინებიდგან გამოსულმა მეგიმ ვაუფრთხილებლად წამოიძახა:

— ოჰ, ქოსტანცია, ქოსტანცია! მე დარწმუნებული ვარ, რომ იმას რალაც საშინელი რამ შეემთხვა.

— თქვენ ნუ გეშინიათ, ჩემო კარგო, მკაცრად მიუგო პატარძალმა. უეჭველად პირველ მატარებელს ველარ მოუსწრო და შემდეგით მოვა, ამელამ იმას ვერაფერი დააკავებს.—მაგრამ დაჰკრა ათი საათი, საცოლო და სტუმრები ტყუილად უცდიდნენ სასიძოს, ყველა სტუმრები სწუხდნენ. თვით ქოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანცია შეუერყეველმა გულმაც კი დაიწყო აჩქარებულად ძგერა. უკავილებმა, რომლებიც ისე აშვენებდა მას, სამოლების სიჩუქურვალისაგან ჭკნობა დაიწყეს, და სამხრეთიდგან მომავალი სასიძო კი კიდევ არსადა ჩანდა, რომ ჩრდილოეთელი საცოლო ეკლესიაში წაეყვანა.

II.

ათი საათია! ოცი საათი გაატარეს საშინელს მოლოდინში. უეკრად სახლის წინ მოისმა აჩქარებული ფეხის ხმა და კარების რაჯუნი. პოლკოვნიკი გავარდა და რამდენიმე მეგობრები გაჰყვა თან. ჯარებში იდგა დერმოტი, პოლკოვნიკის კუჩერი, საშინელი შეწუხებული, უქუდოდ, გაწეწილი თმით, გატალახიანებული და გასისხლიანებული სახით.

— ეს სულ ერთი ბრალია, ბატონო! მიაძახა პოლკოვნიკს.

— ვისი რა ბრალია? ჰკითხა დაიზარტმა.

— ცხენები დაეფეთა ტყეში და კარეტა ლუკმა-ლუკმა დაინტერა. ისეთი ბნელოდა, რომ სრულებით არაფერი ჩანდა. მინამ მე გამოვერკვეოდი, კარეტის ნაჭეჭრევების მეტი არა იყო რა. ღმერთს გეფიცებით, რომ მე თვითონ სულ ერთიანად დამტვრეული ვარ, ვკვდები!

— მისტერ მაუსტრი სადაა? შიშით ჰკითხა რამდენიმე ხმამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ძალიან იჭვი მაქვს, რომ ის ცოცხალი გადარჩეს! მიუგო დერმოტმა და წაიღლო გაწეწილს თმაში ხელი.

— მოკვდა!? შეშინებული წამოიძახეს ერთ-ხმად.

— მე კი მგონია: სულ ერთიანად დამტვრეულია, თავ გატეხილი და ცნობა დაკარგულია. ნეტავ ოლსინი მგლოვიარობაზედ არ შეკვეცვალოს! მე დავბრუნდი ქალაქში ექიმისათვის, მაგრამ სულ ყველა სადღაც უბედურებაში დაკარგულიყვნენ. ახლა ჯალავრით მოვაქვსთ რამდენიმე კაცს. სრულებით ალარა აქვს სიცოცხლის ნიშანი. მკვდარი კი ძალიან ლამაზი იქმნება სწორედ. მე წინ-და-წინ გამოგზავნეს, რომ პატარძლისათვის შემეტყობინებინა ეს ამბავი. საწყალი! დღეს ველარ დაიწერს ჯვარს!

საშინელი არეულება შეიქმნა: სტუმრები სწუხდნენ და ეკითხებოდნენ დერმოტს, პოლკოვნიკი დამლა დაცემულივით იდგა და აკანკალებული მეგი არ შორდებოდა მას. მარტო საპატარძლო ისმენდა გულ-გრილად ყველაფერს.

მიზეზად გაუხდათ ცხენების დაფრთხობა და კარეტის დამტვრევა. მის მაგიერად რომ სასიძო მოსულიყო დიდებულად და მხიარულად, მოიტანეს საშინელი დამტვრეული და იქმნება მამაკვდავიც.

ათი მინუტის შემდეგ მოისმა კაცების ფეხის ხმა, რომელთაც ჯალავრით მოეჭქონდათ დანტონ მაულტრი. გამოატარეს საქორწილოთ მორთულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზში. ყველას თვალები იმისკენ იყო მიქცეული. ქანკელის სინათლე პირ-და-პირ ჰხვდებოდა იმის სახეს. ოქროს ფერი გასისხლიანებული ხუჭუჭი თმა ჩამოწეწილი ჰქონდა შუბლზედ და სისხლის ღვარი სდიოდა მამაკვდავის ფერ სახეზედ. რა მშვენიერი იყო ამ დროს იმისი სწორი სახე! უგრძნობლად მღებარე იმისს ტანს ეტყობოდა, რომ უნაკლულო მოყვანილობის იყო. მისდა ბედად სტუმრებთ შორის იყო ექიმიც; ის მიუახლოვდა საბრალოს და მოჰკიდა ხელი, რომ გაესინჯა მაჯა.

— მომკვდარა? დამშვიდებულის სახით ჰკითხა ქოსტანციამ, თუმცა იმას უფრო ცუდი ფერი ედო, ვინემ საქმროსა.

— არა, ჯერ კიდევ ცოცხალია. უბძანეთ, ზევით ოთახში აიყვანონ, იქ გავსინჯამ კარგად. სწორედ ამ დროს მაულტრიმ გაახილა თვალები და პირ-და-პირ შეჰხედა უმანკო მეგის, რომელიც შეწუხებულის სახით დასჩერებოდა და აკანკალებული ცალის ხელით ჩაფჰრენოდა პოლკოვნიკს.

ამ გვარი მოულოდნელი შეხედვა ტყვიასავით მოჰხვდა მეგის და მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. დანტონის ტუჩებმა დაიწყო ცმაცური და წყნარად წარმოსთქვა: «საყვარელო!»

— აბოდებს, სთქვა რომელიღაც სტუმართაგანმა. ქოსტანციამ გაჯავრებით ჩამოაყენა მეგი, დაიჭირა მისი ალაგი და ჰკითხა საქმროს:

— დანტონ! მე ველარ მიცანი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიალ, მან ველარ იცნო საკოლო და ისევ დახუჭა თვალები. ავად მყოფი აიყვანეს ზევით ოთახში. ქორწილი დაიშალა, მლვდელი და სტუმრებიც წავიდნენ, დაიწყეს სანთლების ქრობა. რამდენიმე სტუმართაგანი დარჩნენ სანამ არ გაიგეს, რომ დანტონ მაულტრის თავი აქვს რამდენსამე ალაგას გატეხილი, ხელი მოტეხილი და ფეხი ნალრზობი. შემდეგ რამდენიმე თანაგრძნობის სიტყვები უთხრეს საპატარძლოს, გამოეთხოვნენ და წავიდ-წამოვიდნენ.

შუა ღამისას ბიჩ-ბოლეში საშინელი სიჩუმეა. ბლეკავენში გაგზავნეს კაცი ავად-მყოფის მომვლელის მოსაყვანად. პოლკოვნიკი და ექიმი უსხდნენ უგრძნობლად მდებიარე დანტონს. ქოსტანცია შევიდა თავის ოთახში, გაიგლიჯა ტანისამოსი, მიჰყარ-მოჰყარა და ნებაც არ მისცა მოსამსახურეს, რომ მიელაგებინა. მთელი ოთახი გაამჭორა ყვავილების სუნმა, რომლებითაც ისე შემკული იყო მისი მორთულობა. ბადიცვა შავი კაბა და გაშტერებული იდგა ფანჯარასთან. თვითოეული ფეხის ხმა დანტონის ოთახიდგან აკრთობდა მას. ვილამაც კარებზედ დაურაკუნა, მაგრამ ქალმა პასუხის მიცემა ველარ შესძლო. შემდეგ შამოვიდა ვარდის ფერი კაბით და მარგალიტებით მორთული მეგი. ეაეც ისე გაფანტული იყო მწუხარებისაგან, რომ ტანისამოსის გამოცვლა სრულებით დაეიწყნოდა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა საშინელი ამბავი მოხდა! შემოიჭახა მეგიმ. ჭეშმარიტად, მონაწილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ თქვენის მწუხარებისა. თუმცა ჩვენ არას დროს ვარ ვყოფილვართ ერთმანეთის გულის შემატკივარი, მაგრამ ახლა წრფელის გულით თანაგიგრძნობთ.

— დიდად გმადლობთ, გულ-გრილად მიუგო კოსტანციამ. ღმერთო, რა უნამუსობაა ახლა მაგ კაბით სიარული; შალი მაინც წამოისხით.

— სრულებით დამავიწყდა გამომეცვალა.— მარტო ყოფნა არ გაწუხებსთ ახლა? დავრჩები აქ თუ გინდათ? ნუ სწუხხართ, მისტერ მაულტრი მალე გამოკეთდება და ქორწილიც მალე იქმნება.

— მე მარტოობა არ მაწუხებს, მიუგო მისს ნორზმა, რომელიც უძრავად იდგა ფანჯარასთან. მე არა მიურს და არც ვსაჭიროებ თქვენთან ყოფნას. ხედავთ ამ კაბის? მე ცრუ-მორწმუნე არა ვარ, მაგრამ წინად-გრძნობა მეუბნება, რომ თავის დღეში ველარ ჩავიცვამ ამას.

— ოჰ, კოსტანცია, ნუ ლაპარაკობ მაგას! ეშმაწვილი და მრთელი აგებულების კაცი არასოდეს არ ჰკვდება ხელის მოტეხით და თავზედ რამდენიმე ჭრილობით. მისტერ მაულტრის ღმერთი დაიფარავს სიკვდილისაგან! დამშვიდდით, ყველაფერი მალე გაივლის და ხელახლად ჩაიცვამთ თქვენს საგვირგვინო კაბას. რად მოგდისთ მაგისთანა სამწუხარო ფიქრები?

— ეარ ვიცი, მე კი აგრე მგონიადა!

— რა უბედურებაა, ღმერთმანი, ბიძა-ჩემსაც გაეცვა და დაწვა. ხვალ კიდევ გაგვიხდება ვინმე ავად, უეჭველად. ჰეშმარიტად, სულითა და გულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილე ვარ თქვენის მწუხარებისა. რა უბედურად გათავდა ეს სამხიარულო დღე!

— ქმარა ამდენი სამძიმარის თუ ლმერთი გწამთ, თავიდგან მოიშორეთ, მარტო ყოფნა მირჩევნია, მიუკო მისს ნორზმა.

— მეგი უნდა დამორჩილებოდა ამ უკიამოვნო თხოვნას და თუმცა ძალიან უმძიმდა, მაგრამ მაინც წავიდა თავის ოთახში. დაქანცული მიეკვლო ქვეშსაგებზედ და ჰფიქრობდა:

— ქოსტანტიას ალაგას რომ ვიყო, აქამდის გული გამისკდებოდა. დანტონ მაულტრი არ მორჩება. ის �etი მშვენიერებაა, რომ დედა მიწისათვის არ არის გაჩენილი.

ამ ფიქრით წაეძინა და დაესიზმრა, თუ როგორ შეეხვეოდა მაულტრიმ ლურჯი თვალებით და წყნარად წამოიჩურჩულა: «საყვარელო!»

მეორე დილით მეგიმ ვერავინ ნახა სასადილო ოთახში. პოლკოვნიკს ქარები აუტდა და მძიმე ავად-მყოფი იწვა. მისს ნორზმა თავის ოთახში იაუზმა, მისტერ მაულტრი კიდევ უგრძნობლად იწვა საეჭვო მდგომარეობაში. ამას გარდა წვიმდა გასაოცრად და ნავთ-სადგური მოფარული იყო აქაფებული ტალღებით, რომელნიც ერთი ერთმანერთს ასკდებოდნენ კიდეებზედ. სახლში და გარეთ ყველაფერს სიბნელე ერტყა გარშემო. მეგი თუმცა მარტოობას ჰნატრობდა, მაგრამ მაინც მადიანად იაუზმა. შემდეგ შეირბინა პოლკოვნიკთან, რომელიც სიცხ-

ხისა და ტკივილისაგან მოუსვენებლად ტრიალებდა. ექიმი მის წინ იდგა დაწამალს აწოდებდა.

— ოხ, ბიძია! რა საცოდავი შეხედულობა გაქვს! მიაძახა შეშინებულმა მეგიმ. მე დავრჩები შენთან, გენაცვალე, და ნახავ რა კარგად მოგივლი.

— შენ უნდა მომიარო! ბაჯავრებულის ხმით უპასუხა პოლკოვნიკმა. შენისთანა ყმაწვილს ავადმყოფის ოთახში რა უნდა! შენ შენი თავისთვისაც ვერ მოგივლია, მე ქოსტანცია მომივლის.

— ქოსტანციამ თავის საქმროს უნდა მოუაროს, ბიძია.

— ვიცი, მაგრამ ის ჩემთვისაც იშოვის დროს, ისეთი ქალია. ყოველ შემთხვევაში, შენი აქ დარჩენა შეუძლებელია. წადი, ფორტოპიანო დაუკარი, ან დედოფალეები მორთე, რომ არ მოგწყინდეს.

პოლკოვნიკი დაიზარტი თუმცა ძალიან მშვიდი კაცი იყო, მაგრამ ავად-მყოფობის გამო ხასიათი გაფუჭებული ჰქონდა. ეს მეგიმაც იცოდა და ამიტომ არ შეწუხებულა, რომ გარეთ გააგდო ბიძამისმა, მაგრამ ვერ მოეფიქრნა კი, რითი შეექცია თავი ამ მოწყენილს სახლში მარტოდ-მარტო. ქითხვას ვერ დაუდო გული. ცოტა ხანს ძალლების თამაშით შეიქცია თავი, შემდეგ მძიმე ამოოხვრით სთქვა:

— ამ ნაირად უნდა გავატარო ორი თვე! რა უბედურებაა, რომ სტუმრებიც არავინ მოდის! საშინლად მეჯავრება მარტო ყოფნა. ახლა თუნდა რო-

ბინ ლეიტიც რომ შემოვიდოდეს და ან მოჩვენების მსგავსი მარტინი, მაინც კი გამეხარდება.

მაგრამ არც ერთი არ მოდიოდნენ და ეს ხელ-ახლავ ჩაჰფიქრდა თავის გაუტანელს ბედზედ. ამასობაში ძილის დროც მოაწია. მეგი წავიდა დასაძინებლად. ქარებში შეჰხვდა მისს ნორზი, ნაცრის ფერი კაბით მორთული, ის მოაგონებდა მნახველს ავად-მყოფის მომვლელს დედა-კაცს.

— თქვენი ჭირიმე, ქოსტანცია, მითხარით, რას შვრება თქვენი ავად-მყოფი? ჩემს სიცოცხლეში ასე მოწყენილად არ გამიტარებია დღე, როგორც დღეს! არ შემიძლია, რომ მოგეხმაროთ რაზედმე? რაც მძიმე საქმე იყოს, ის გამაკეთებინეთ, ოღონდ ასე ტყუილა არ ვიყო! მოვიდა გონზედ მისტერ მაულტრი? ან თუ გრძნობს რა დაემართა?

მშვენიერმა ქოსტანციამ გულ-გრილად და ამაყად გადახედა მეგის და უთხრა:

— მისტერ მაულტრი მობრუნდა და კიდეეაც მიცნო. მადლობას მოგახსენებთ, თქვენი დახმარება საჭირო არ არის. ჩემი მჯრუნველი ძლიერ ავად არის და ექიმი ამბობს, არაფერზედ გააჯავროთო. თქვენ დაიძინეთ, ყველას ის ემჯობინება.

ამაყად ჩაუარა გვერდი და დაეშო კიბეზედ. ულვლის მხრით შეურაცხყოფილი მეგი წავიდა დასაძინებლად.

ამის შემდეგაც, თუმცა ქარი ჩადგა და წვიმაც გადიოა, მაგრამ ბიჩ-ბოლეში ჩეეულებრივი მოწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყენილობა იყო. პოლკოვნიკი თან-და-თან უფრო ავად ჰხდებოდა და მეგის კიდევ არ უშვებდნენ მასთან. კოსტანციას ეჭირა უპირველესი ალაგი. მშვიდი, მარდი და ყველაფერში უზიზღარი, ის ყოველთვის ჰსცდილობდა ესიამოვნებინა პოლკოვნიკისათვის. მეგი კი ყველა ამაებს მოკლებული იყო და ამისათვის ყოველთვის მეორე ალაგი ეჭირა. დონტონ მაულტრიმ კი მოიკეთა, დამტვრეული ძვლები და ნალრზობები ცოტ-ცოტათი ურჩებოდა. თუმცა კოსტანცია ძალიან იღალებოდა ორის ავად-მყოფის მოვლით, მაგრამ ამ მოწყენილობის დროს მეგი მაინც შენატროდა მას.

ჭორწილის მოშლის სამი კვირის შემდეგ, მეგი წავიდა თავის ძალლით ნავით გასასეირნებლად. ქალმა მოუსვა ნიჩაბი და ნავი გაშორდა ნაპირს.

— აქ ცოტა სიცოცხლე მაინც ეტყობა რასმეს! არა, კასტორ? ჩაჰკითხა მეგიმ და თან ნიჩბით იღებდა წყალსა. კასტორმა კუდის ქნევით მიუგო პასუხი. თუმცა მეგი ი'ეთი ნაზი შეხედულობისა იყო, მაგრამ ნიჩბის ხმარებაში იმას ერთი მეთევზეც ვერ აჯობებდა. მზე მშვენიერად ტოტმანობდა ზღვის ტალღებში; სიამოვნებით დაქანცულმა მეგიმ წამოიძახა:

— აქ მაინც გავატაროთ მოწყენილი დრო, რომელსაც ისე ფართო ალაგი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში, ჩემო კასტორ! წყნარად, წყნარად, კასტორ, ნავი არ გადაბრუნდეს. კასტორი დაცუცქდა ისევ თავის ალაგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე თითქმის ჩასასვლელად მიეწურა, როდესაც მეგმ დააბრუნა ნავი. ამ დროს წყლის ქათამმა ისე ახლოს გაუფრინა ქასტორს, რომ კუდი წაჰკრა თავზედ და თან უცნაურის ხმით დასჩხავლა. ქასტორს დაავიწყდა თავისი მოვალეობა და პატრონის ბრძანებაც, უეცრად წამოვარდა და ისე რიგად დაასკდა ნავსა, რომ ერთ წამში გადააბრუნა. ერთ მხარეს გადავარდა მეგი და მეორეზედ-ნიჩბები. მეგის გვერდით მიცურავდა თითქო თავის დანაშაულობით შეწუხებული ქასტორი. ნაპირი იყო თითქმის ერთი მილის სიშორეზედ. თუმცა მეგი კარგი მცურავი იყო, მაგრამ გრძელი კაბა ისე შემოეხვია და შემოეწება ტანზედ, რომ უშლიდა განძრევას. პირველად ძალიან შეეშინდა, მაგრამ უეცრად წაავლო ნიჩაბს ხელი და ცოტად მოიმაგრა თავი. რამ სიშორეთ ეჩვენებოდა ახლა იმა ნაპირი! თუმცა ზაფხული იყო, მაგრამ საშინლად შესცივდა. რა საშინელებაა დახრჩობა და ნამეტურ მაშინ, როცა ქასტორის მეტი ვერავინ გხედავს! ჰფიქრობდა მეგი და მისცურავდა ნაპირისაკენ, მაგრამ მის ცურვას ხვავი არ ჰქონდა, რადგანაც შიშმა და სიცივემ ლონე წაართვა. ი. გრძნობდა, რომ შველის ლონე აღარ არის, უნდა დაიხრჩოს.

— ნუთუ მართლა უნდა მოვკვდე? ეკითხებოდა თავის-თავს. ასეთი საშინელის სიკვდილით, ასე ყმაწვილი? უნდა დავიხრჩო განა?

ამ დროს მოესმა ხანგრძლივი ხმა ნაპირიდგან.

ქალმა დაინახა, რომ მეთევზის ნავით მისცურავენ ქალაცა და ნიჩბები სისწრაფით ასრულებენ გამხეცებულის მმართველის სურვილს. ქალმა იცნო ისა და ხელი გაუშვირა.

— ღვთის გულისათვის, ნიჩაბს ხელი არ გაუშვათ, მოესმა ხმა.

ქალმა მაგრად ჩაავლო ნიჩაბს ხელი და როგორც ქარისაგან გატაცებული ფურცელი, მიჰფრინაედა მშველელისაკენ. თან-და-თან მიუახლოვდა მას და ბოლოს ლონიერმა ხელმა ასწია მეგი და ერთი მინუტის შემდეგ ის იწვა ნავში.

— ოხ, რობინ, ღმერთმა გამომიცხადა ახლა შენი თავი! წამოიძახა მეგიმ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონზედ შიშისაგან. ნაპირიდგან დამინახე განა?

— დიალ.

რობინს ნაცრის ფერი ედვა. მეგის თავის დღეში არ უნახავს ის ასე შეშინებული.

— ყველაფერში ბასტორია დანაშაული, მაგრამ მე მიპატიებია. ამოიყვანეთ, თუ ღმერთი გწამსთ, თორემ დაიხრჩობა. თქვენი ჭირიმე, მალე გამიყვანეთ ნაპირზედ.

მეგის სურვილი გადაუალი კანონი იყო რობინისათვის. ამოიყვანა ძალლი, მოიხადა თავისი დაცვეთილი მოსასხმელი, წამოასხა მეგის, ჩაუჯდა ნიჩბებს და გასწია ნაპირისაკენ. მეგი სიცივისაგან სულ კან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალობდა. რობინმა საჩქაროდ გამოიყვანა ნაპირზე და დაჩოქილი უწურავდა გარშემო კაბის კალთებს.

— რა ნაირად კანკალობთ? მწუხარებით უთხრა რობინმა. აქვე ახლოს მეთევზეს ცეცხლი უნთია, გათბით ცოტა ხანს და შემდეგ წაბრძანდით ბიჩ-ბოლეში.

— წამიყვანეთ, კბილების რაწკუნით უთხრა მეგიმ.

მკლავი მკლავს გაუყარა და, რამდენათაც სველი კაბა ნებას აძლევდა, სიჩქარით გასწია. ქოხის კარები ღია დახვდათ და დაუბრკოლებლად შეეიდნენ.

— მისტერ დაუსინი ჩემი კარგი მეგობარია და თავისუფლად შეგვიძლია აქ ყოფნა. ქოხში არავინ იყო. რობინმა დაუდგა სამფეხი სკამი მეგის და დააჯდინა.

— ოხ, რა კარგია! სთქვა მეგიმ. ჩემო ძვირფასო რობინ, თქვენ რომ არ გამჩენოდით, ხომ დამხრჩვალი ვიქმნებოდი ახლა? რით უნდა გადაგიხადოთ სამაგიერო? ცეცხლის შუქი ანათებდა მეგის ეშმაკურს სახეს. ახალ-გაზდა ვაჟი იდგა მეორე მხარეს და თვალი ვერ გაემართა მისთვის.

— ბმადლობთ, მიუგო ნალვლიანის ხმით რობინმა. თუმცა მეგის ალარ ახსოვდა, მაგრამ რობინს არ დავიწყნია მათი უკანასკვნელი შეხვედრა.

— თქვენ გაიგებდით, რასაკვირველია, რა ამბავია ბიჩ-ბოლეში.

რობინმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— მაშ, ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი მდგომარეობა: მისტერ მაულტრი კიდევ საეჭვო მდგომარეობაშია, პოლკოვნიკი სულ ავად არის, კოსტანცია მათ მოვლაში არის გართული და მე კი ღვთის ანაბარად ვარ გაშვებული. არც ერთი მოთხრობის გმირი არ ყოფილა ამისთანა საძაგელს მდგომარეობაში, როგორც მე ვარ. თუ ამ გვარი მდგომარეობა დიდ-ხანს გაგრძელდა, მეშინია ჭკუაზედ არ შევსცდე. რატომ არ შემოდიოდით ბიჩ-ბოლეში? შეგეტყოთ მაინც, ცოცხალი ვიყავი თუ არა?

ისეთი გრძნობით ჰსთქვა ეს სიტყვები და ისე ვადახედა, რომ რობინს ჭრუანტელმა დაუარა ტანში.

— დროა დავანებო თავი ბიჩ-ბოლეში სიარულს და ვერიდო თქვენს შეხვედრას, უთხრა რობინმა.

— სულელო! მერმე კარგი იქმნებოდა, რომ დღესაც არ შემხვედროდით? ახლა ხომ მკვდარი ვიქმნებოდი? დაგარწმუნებთ, რომ ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვიქმნებით ერთმანერთისა და მეგობრობა ხომ უკეთესია... თქვენ იმ დღეს სისულელე მითხარით, მაგრამ შეგიძლიათ გაასწოროთ ეგ შეცდომა. როდესაც შეიქმნებით შესანიშნავი ადვოკატი, ათასს წილად ჩემზედ უფრო ლამაზს ქალს შეირთავთ და სირცხვილით გაწითლდებით, ახლანდელი ყმაწვილური საქციელი რომ გაგახსენდებათ.

რობინი საშინლად დაილმანჭა და მიუგო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯოჯოხეთზედ უსასტიკესი ხართ, მაგრამ, თუმცა თქვენ არა გრძნობთ ამას.

— ჯოჯოხეთზედ უსასტიკესი რად ვიქმნები!? თავ-მოწონებით მიუგო ქალმა. მე შენს სასარგებლოდ გელაპარაკები, ჩემო ძველო მეგობარო! მშვენიერი შუსაიფი იცი, რომ ხანდის-ხან სისულელეს არ გამოურევდე ხოლმე. ახლა ეს მითხარით, გაიგეთ რა მოხდა ქოსტანციას ქორწილში? იცით, რომ სასიძო სულ ერთიანად დამტვრეული, ცოცხალ-მკვდარი მოიყვანეს?

— მთელს ქალაქში მეტს რაღას ლაპარაკობენ? მიუგო რობინმა.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რობინ, რა მშვენიერება რამ იყო, როცა ის შემოიტანეს ჯალავრით; შეხედვისათანავე თვალ-წინ წარმომიდგა განსვენებული მშვენიერი ფილიპეს სურათი. ნამდვილი აპოლონია! სრულებით არა ჰგავს შავ-ხუჭუჭა-თმიანს სამხრეთელს. ერთის სიტყვით ანგელოზური შეხედულობა აქვს.

ლეიტი საშინლად იტანჯებოდა: ძნელი წარმოსადგენია, რომ შეყვარებულმა ადამიანმა გულგრილად მოისმინოს თავის საყვარელის არსებისაგან სხვისი ამ გვარი ქება.

მე ვნახე მისტერ მაულტრი, როცა ის უბედურება შეემთხვა, მიუგო რომინმა. შემთხვევით მოვხვდი იმ ალაგას, როცა გადმოდიოდა მატარებლიდგან. ბითხრათ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ იმისმა სახემ? მე სილამაზეზედ არა ვსჯი და გირჩევთ თქვენც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისს ნორზსაც და ვისაც დაახლოვებით ეცნობ, რომ ნუ ენდობით იმ კაცს, ის არის მაცდური და დაუნდობელი. თავის საკუთარის სარგებლობისათვის არ გაიტანს საუკეთესო მეგობარსაც.

— როგორ გაეხარდება მისს ნორზს, რომ გაიგონოს თავის საქმროზედ მაგ გვარი სიტყვები! სთქვა მეგიმ.

— მე უბრალო კაცი ვარ, არ შემიძლია გამოზომილად ვილაპარაკო. ნუ გიჟდებით იმ კაცზედ, მეგი. მასაქეთია, რაც გავიგე, რომ ქორწილი დაიშალა და ის ავად-მყოფი წევს ბიჩ-ბოლეში, რალაც საშინელი წინად-გრძნობა მიხუთავს სულს. ნუ ხართ აგრე აღტაცებული იმის სილამაზით, ნუ ხართ აგრეთი გატაცებული, მეგი! ღვთის გულისათვის, ნუ შეიყვარებთ იმას!

მეგის სიანჩხლით სისხლი აუვარდა თავში. შავმა თვალებმა სიბრაზით გაუელვა, თითქოს შეურაცხყოფილი დედოფალი, წამოვარდა და მწარის დაცინებით დაუყვირა:

— მე შევიყვარებ იმას? მისს ნორზის საქმროს? აქამდის კიდევ მოთმინებით ვისმენდი თქვენს ლაპარაკს ციყვარულზედ, მაგ გრამ მაგვარ შეურაცხებას კი ველარ მოვითმენ. მე განა აღტაცებული და ადვილად გადამყოლი ვარ? უკაცრავად, არც ერთი მაგათგანი მე არ გახლავარ და თქვენ დიდი ბრიყვი ბრძანდებით, რომ მაგდენს ნებას აძლევთ თქვენს თავს. ამის შემდეგ ჩვენს შორის ნაცნობობაც და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგულია. ზესმისთ? დაკარგულია, დაკარგულია! და გაჯავრებული დაჰკრა მიწაზედ ფეხი.

— მეგი! ბამიგონეთ! შეწუხებულის ხმით ეხვეწებოდა რობინი.

— არ მინდა! ხმა აღარ გამცეთ! ქოსტანციას საქმროს შეიყარებო! ამისთანა სისულელე თქვენგანაც არ გამიგონია ამის მეტად. მშვიდობით, ბატონო! როცა ამ ქოხში შემოვდიოდით, თქვენგან დავალებულად ვსთვლიდი ჩემს თავს და ახლა ისიც მოისპო.

თუმცა სიცივით კიდევ კანკალებდა, მაგრამ ლოყები ანთებული ჰქონდა სიანჩხლით. ყურადღებაც არ მიუქცევია რობინისათვის, ისე გავიდა ქოხიდგან. იქმნება მართლაც ნამეტანს ყურადღებას აქცევდეს ქოსტანციას საქმროს? ახლა კი გადასწყვიტა, რომ არასოდეს არ იფიქროს იმაზედ. ყველასგან შეუმჩნეველად შევიდა თავის ოთახში, გამოიცვალა ტანისამოსი და მიუჯდა ფორტოპიანოს.

— ბიძია ვერ გაიგონებს თავის ოთახში და მისტერ მაულტრიმ, თუ უნდა, ყურები დაიცოს, სთქვა მან. მეკი ძალიან კარგად უკრავდა ფორტოპიანოს. ნაზი და მშვენიერის ხმით ისე თავისუფლად იმღეროდა, როგორც ფრინველი. ლია ფანჯრებიდგან, თუ კარებიდგან დანტონ მაულტრის ყურებამდის მიაღწია ქალის სიმღერის ხმამ. დანტონი იჯდა სავარძელში ხელ-ჩამოკიდებული და თავ-შეხვეული. პირ-და-პირ უჯდა მისს ნორზი და ჭრელი ძაფით ჰქსოვდა რალასაც. მის მაგიერად, რომ ყურები დაეცო, როდესაც

სიმღერის ხმა გაგონა, დანტონ მაულტრისთან მოვნებით შეჰკრთა და იკითხა:

— ვინ არის ეს?

კოსტანციამ დაშვიდებულის სახით შეჰხედა და ძალებით მიუგო:

— მეგი არის.

— ვინ მეგი?

— მისს დაიზარტი, ჩემი მზრუნველის ძმის-წული. თუ გაწუხებს, ვითხოვ გაჩუმდეს.

— სულაც არა, რაღაც განსხვავებული სასიამოვნო ხმა აქვს.

ავად-მყოფი გადაწვა საგარძელში და ისმენდა სიმღერას. მეგი, სანამ არ დაიქანცა, უკრავდა და იმღეროდა, შემდეგ წავიდა დასაძინებლად. მან დაჰკარგა უკანასკნელი კმაყოფილება რობინთან წაჩხუბებით და სულ მარტო დარჩა, სანამ ავად-მყოფები გამორჩებოდნენ. დაწოლამდის შეუარა პოლკოვნიკს.

— ზენაცვალე, ბიძია, ვერაფრით გიშველი რასმეს? თითქმის ხვეწნით ჰკითხა მეგიმ.

— ვერა, ჩემო კარგო! კოსტანცია არის ჩემთან და მშვენიერად მივლის.

— კოსტანცია და კოსტანცია! ღმერთმანი, მეშინია, ჩემი თავიც არ შეაძულოს ბიძიას. გაჯავრებულის სახით წაილაპარაკა მიმავალმა მეგიმ.

მეორე დღეს დანტონ მაულტრის მისცეს ნება, ფანჯარასთან დამჯდარიყო, რითაც მან ისარგებლა სტკბებოდა და მშვენიერის სურათის ცქერით.

ხეების ჩრდილში დასეირნობდა მეგი ოთარის ძალლებით. ხე ედ შემოჯდა ჩიტი და დაიწყო ჭიკჭიკი. ქალმა აიხედა ზევით და ყური დაუგდო. ამ მდგომარეობაში მშვენიერი რამ შესახედავი იყო ისა. როდესაც ჩიტმა გაათავა გალობა, ქალმაც იმავე კილოზედ, მაგრამ უფრო ნაზის ხმით მიუგო პასუხი.

ამ დროს ავად-მყოფის ოთახში ექიმი იყო.

— ვინ არის ის ქალი? ჰკითხა მას დანტონ მაულტრიმ.

— ოო, ეს მისს მეგია, ძმის-წული და მემკვიდრე პოლკოვნიკისა. ამ მხარეში ამისთანა ლამაზი ქალი ძვირად მოიპოვება და პოლკოვნიკის სიკვდილის შემდეგ გვარიანი სიმდიდრეც დარჩება.

ავად-მყოფი ყურადღებით მისჩერებოდა მეგის. ქალი მივიდა დაგუბებულ ტბასთან და შიგ საჭმელი ჩაუყარა იხვებს, რომელნიც მხიარულად ჭყვამპალობდნენ ტბაში, მაგრამ მეგი მაინც ვერ გაერთო და საშინელი მოწყენილობა ეტყობოდა.

— საცოდავი! რა მოწყენილი უნდა იყოს! სთქვა დანტონ მაულტრიმ.

— მოწყენილი ახლა თუ არის, არ ვიცი, თორემ არასოდეს არ ყოფილა, მიუგო ექიმმა. პოლკოვნიკს ისე უყვარს და ისე ანებიერებს, რომ რასაც მოისურვებს, უეჭველად უნდა აუსრულოს.

ამ დროს მეგიმ გამოიხედა სახლისაკენ, შენიშნა, რომ დანტონ მაულტრი მისჩერებოდა მას, საშინლად გაწითლდა და გაექანა დაფარულს ხეივნისაკენ.

ამ დროს ავად-მყოფის ოთახში შემოვიდა ქონსტან-ცია.

ამათი სიყვარული აღტაცებული არ ყოფილა. ლამაზმა ყმაწვილმა ძალიან ადვილად მიიზიდა ქონსტანცია და, რამდენათაც შეუძლია გულ-გრილსა და ანგარიშიანის ხასიათის ქალს, იმდენად უყვარდა და ეყვარებოდა კიდეც ამ გვარად თავის სიცოცხლეში.

დანტონ მაულტრის? იმის სისხლში ერია რამოდენიმე ნაწილი ფრანცუზების სისხლიც და გარეგანი შეხედულობა ჰქონდა გმირული. თავისი ლამაზი, გულ-გრილი საცოლო ძალიან უყვარდა... მხოლოდ დროებით. ქალს ჰქონდა გვარიანი შეძლება, სახით ლამაზი იყო, განათლებული და ამიტომ მასთან შეუღლებაში ანგარიშს ჰხედავდა. თუმცა ძალიან ქარაფშუტა ხასიათის კაცი იყო, მაგრამ ბევრი ქალი გაგიჟებულა მისთვის და ბევრის გულიც დაუღუპავს.

— როგორ არის თქვენი მეორე ავად-მყოფი? ჰკითხა მაულტრიმ თავის საცოლოს.

— ძიდევ ძალიან ავადა არის, საცოდავი. როცა მე შევდივარ, ცოტად დამშვიდდება ხოლმე.

— თქვენ ძალიან უნდა იღალებოდეთ? რატომ მისი ძმის-წული არ გეხმარებათ მოვლაში?

— საშინელი უხეირო რამ არის! როცა ბიძამისი ავად არის, არ მიიკარებს ხოლმე სიახლოვეს. მე კი მისი საყვარელი მომვლელი ვარ ყოველთვის. რა ვქმნა, რითი გაგართო, დანტონ? მგონია, მოგწყინდა?

— მართალს ამბობ, სწორედ რომ მომწყინდა. ძნელია, როცა ყმაწვილი კაცი დამტვრეული წევს მთელი კვირაობით დაკეტილში და ჰფიქრობს, რომ მის ქორწილი ჯერ კიდევ შორს არის.

— მემრეთ რა ეუყოთ?

— დავიწეროთ ჯვარი მალე, ალექსანდრია. თუ-და დღესვე გაგზავნეთ კაცი მღვდელზედ და აი აქ, ამ ოთახში დაგვწერს ჯვარს. მაშინ უფრო ბედნიერი არ ვიქმნებით? მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ავად-მყოფობაც აღარ გვეჩვენება ასე ხანგრძლივად, როცა ჩემი ცოლი იქმნები.

ალექსანდრია უეჭველად არ ჰფიქრობდა, თუ რა მნიშვნელობა ექმნებოდა ამ კითხვების გადაწყვეტილს პასუხს და გაკვირვებულის სახით მიუგო:

— ძვირფასო დანტონ! მაგ გვარ ჯვარის წერას ცუდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენთვის, მაგისთანა იშვიათს შემთხვევას მე ყოველთვის თავს ვარიდებ. რად ავალაპარაკო საზოგადოება და ჩემი მეგობრები? შენ თან-და-თან უკეთ ხარ, მალე სულ კარგად შეიქმნები და მაშინ ყველაფერი წესიერად მოხდება. ოთახში ჯვარის წერა, ავად-მყოფის, უსტუმროთ და უმხიარულოთ! — ოჰ, ეს საშინელება იქმნება! უნდა გამოგიტყდე, არ მიყვარს შემთხვევით სარგებლობა. ბინდა წაგიკითხო სამეცნიერო, ან ისე თავის შესაქცევი რამ წიგნი?

დანტონმა ველარ შეიმაგრა თავი და გულ-მოსული წამოიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არც ერთი არ მინდა, მე სრულებითაც არა ვარ კითხვის გუნებაზედ.

ქოსტანციამ გადაუსვა თავზედ ხელი და მოფერებით უთხრა:

— აბა რა გიყო, გენაცვალე, რომ არ მოგწყინდეს?

— სთხოვე მეგის, რომ დაუკრას ფორტოპიანო და მიმღეროს რამე. სწორედ ნაწამებსა ვგევარ. დანტონს ეგონა, რომ ეს სიტყვები ქოსტანციას გააჯავრებდა, მაგრამ იმან დამშვიდებულის სახით მიუგო:

— დიდის სიამოვნებით. ის ისეთი კეთილი გულისაა, რომ ახლავე აასრულებს თქვენს თხოვნას.

ქოსტანციამ დიდის ძებნის შემდეგ ნახა მეგი ფანჩანტურში, საცა დაეფურცლა ყვავილები და აყრიდა თავზედ ქასტორს.

— თუ შეიძლებოდეს, იმდენი სიკეთე ჰქენით, რომ დაუკარით ფორტოპიანო და უმღერეთ რამე მისტერ მაულტრის. საძაგელ გუნებაზეა და სიმღერის გაგონება უნდა.

— რატომ თქვენ თვითონ არ უმღერებთ? მიუგო გაწითლებულმა მეგიმ.

— თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ მე ხმა არ მივარგა. იმან პატივი გცათ, გაიგონა თქვენი სიმღერა და ძლიერ მოეწონა, ახლა კიდევ ჰსურს მოისმინოს.

— თუ ღმერთი გწამთ? ძლიერ პატივი მცა ვითომ მაგითი? წამოიძახა გაანჩხლებულმა მეგიმ, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მალე დამშვიდდა და განაგრძო: არ შემიძლია თქვენს თხოვნაზედ უარი გითხრათ...

ხუთი მინუტის შემდეგ გაღებული კარებიდგან დანტონ მაულტრის ესმოდა მშვენიერი ხმა მეგისა, რომელიც მთელი თავისი ლონის ძიებით სცდილობდა ავად-მყოფის გამხიარულებას. მეგი მშვენიერად მღეროდა. ქოსტანცია მიუჯდა სახელ-საქმო სტოლს და დაწყნარებით დაიწყო თავის ჭრელი შალის ქსოვა. სიმღერის ხმით გატაცებული დანტონი, გაჰყურებდა ზღვას.

ნახევარი საათის შემდეგ შესწყდა სიმღერის ხმა, და დანტონი, თითქოს ახლად გამოფხიზლებული, მიუბრუნდა ქოსტანციას:

— ძალიან მადლობელი ვიქმნები, თუ დაუძახებთ მისს დაიზარტს, რომ მადლობა შევსწირო.

მისს ნორზი განსაკუთრებით დღეს სცდილობდა, არაფერი ეწინააღმდეგებინა საქმროსათვის. მაშინვე გამოვიდა მეგის დასაძახებლად. ამ დროს მეგი ისევ ბალში მიდიოდა.

— რა მიშავს, რომ შევიდე? იფიქრა მეგიმ, როცა ქოსტანციამ გადასცა ახალი მინდობილობა. დანტონ მაულტრის აღზნებული თვალები არ შორდებოდა მას, როცა ქოსტანციამ გააცნო ჩვეულებისა მებრ, და მეგიმ მიაწოდა პაწაწინა ხელი.

— უსიტყვოს მადლობას შემოგწირავთ, მისს დაიზარტ! მბუურვალეს გრძნობით უთხრა დანტონმა. დანტონს ეცინებოდა ქოსტანციას ნათქვამის მოგო-

ნებაზედ, რომ მეგი უხეირო რამ არისო. იმის ამაყი, ელვარე თვალები, ჩაწუწკნული ტუჩები და მედიდურად თავის დაჭერა ნამდვილ დედოფლურს შეხედულობას აძლევდა მას.

— დიდად ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ შემთხვევა მაქვს თქვენის გაცნობისა, განაგრძო დანტონ მაულტრიმ. თქვენმა მშვენიერმა ხმამ დიდად მასიამოვნა და იმედი მაქვს, შეიბრალებთ ხოლმე დავრდომილს ავად-მყოფს და არ მოაკლებთ მაგ კმაყოფილებას.

მის დაიზარტი თავ ჩალუნული, მდუმარედ იდგა და ხმას არ იღებდა.

— არ გინდათ ჩამოჯდეთ, მეგი? ბიძა თქვენი ძალიანა სწუხს, რომ თქვენ ერთობ ხშირად დასეირნობთ რობინ ლეიტთან. ვერა გყავთ კარგი მცველი. თქვენისთანა ყმაწვილს მაგდენი თავისუფლება არ უნდა ჰქონდეს, უთხრა ქოსტანციამ.

მეგის თვალებმა სიანჩხლით გაიელვეს და მიუგო:

— თუ ღმერთი გწამსთ, ჩემი გულისათვის თქვენ ნუ შესწუხდებით. ვისთანაც მსურს, იმასთან ვისეირნებ, რობინ ლეიტი იქმნება, თუ სხვა ვინმე, ამაში ანგარიშს არავის მივსცემ და განსაკ უთრებით თქვენა. მე მოხარული ვარ, თუ ვასიამოვნე დანტონ მაულტრის და ყურადღებისათვის მადლობელიც ვარ.

ამის შემდეგ დაკინებით გადახედა ქოსტანციას და გავიდა ოთახიდგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისს ნორზი ჩვეულებრივ მშვიდობიანად ჰკითხა და ზიზღით სთქვა:

— Oოფის წამალია სწორედ.

ამას შემდეგ გავიდა ერთი თვე; დადგა გაზაფხული; ღელვა და ქარიშხალი დაწყნარდა; მზის სხივით განათლებული ტალღები წყნარად ვადად-ვადმოდიოდნენ და სასახლის ფანჯრები დაღებული იყო, რომ თავისუფლად ემუშავნა წმინდა ჰაერს და მოეფინა მშვენიერად ამწვანებული ყვავილების სუნნელება. დიდი ხის ჩრდილში, შადრევანის მახლობდად ისხდნენ მეგი და ქოსტანციას საქმრო, დანტონ მაულტრი. ქალი იჯდა დაბალს სკამზედ, წინ უწვა ქასტორი და მის გარშემო უხვად ეყარა დაფურცლული ვარდები. უმაწვილი კაცი იჯდა იმის პირ-და-პირ ხეზედ მიწოლილი და მაცდურის თვალებით მისჩერებოდა ქალსა. ხელი აღარ ჰქონდა ჩამოკიდებული და თუმცა ფერმკრთალი იყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ ჯანზედ კარგად იყო. დაიზარტის მემკვიდრესთან ერთი თვის ნაცნობობამ გამოამრთელა ისა. მისს ნორზი გართული იყო დაიზარტის მოვლაშიდ და ხშირად სტოვებდა მარტო იმათ. დანტონ მაულტრის ვისთან უნდა გაეტარებინა დრო, თუ არ მეგისთან, რომელსაც ხშირად აჯავრებდა ხოლმე.

— ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე, ვინ არის ეს რობინ ლეიტი, რომელსაც ისე არ ახსენებს ქოსტანცია, თუ თქვენი სახელიც არ მიაწეპა?

— ისეთი კარგი უმაწვილი კაცია, რომ მეტი არ შეიძლება! ბაცხარებით მიუგო მეგიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემთვის ეგ არ არის საჭირო, კარგად თუ ცუდი. მე მინდა მხოლოდ ვიცოდე, თქვენი თაყვანის მცემელია, თუ არა?

— იყო.

— იყო! მაშ ახლა აღარ არის? ეგ არ შეიძლება. ის კაცი, რომელიც ერთს დროს თქვენ გეტრფოდა, შეუძლებელია, რომ სხვას ეთაყვანოს. თქვენ გიყვარდათ ისა?

— სწორედ ახირებული კითხვაა!

— თუ ღმერთი გწამთ, მართალი მითხარით.

— არა არ მყვარებია. მე ჯერ სიყვარულის არა ვიცი-რა და არც მინდა ვიცოდე.

— საიდგან შეიძინეთ ასეთი სიბრძნე და წინდახედულობა, მისს მეგი? ღიმილით ჰკითხა მაულტრიმ და ჩამოისო ქერა წვერზედ ხელი. სიყვარული ტანჯვა და უბედურებაა, მაგრამ მასთან ზეციური ნეტარება და სამოთხეც არის, ურომლისოდ სიცოცხლე შეუძლებელია. ნუ თუ რობინ ლეიტს არ უთქვამს ეს თქვენთვის?

— არა, ის იმდენად ჭკუიანია, რომ მაგისთანა სისულელეს თავის დღეში არ იტყვის.

— ჩემო კარგო, ჯერ თქვენ დრო არ მოგსვლიათ, ღიმილით მიუგო მაულტრიმ.

ჩამოვარდა სიჩუმე, რომელსაც მარტო შადრევანის ხმაურობა არღვევდა, მის დაიზარტმა შეჰკრა თაიგული და შემდეგ იკითხა:

— სად დაიკარგა ქოსტანცია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უთუოდ მის მეზობელთან იქმნება. ბალ-გორც ეტყობა, სრულებით შეპყრობილი უნდა ჰყავდეს მას.

— ღმერთო ჩემო, ნუ თუ იჭვიანობთ იმას ბიძა-ჩემზედ? დაცინებით შენიშნა მეგიმ და გაცხარებით დაუმატა: ოჰ, ღმერთო, როდის იქმნება დაიწეროთ ჯვარი და ბარემც წაიყვანოთ კოსტანცია.

— სტუმართ-მოყვარე არ ყოფილხართ, ქალბატონო, ნუ თუ აგრე გეშურებათ ჩემი თავიდგან მოშორება? ჰკითხა მაულტრიმ და თვალი თვალში გაუყარა.

— კოსტანციას ქორწილს მოუთმენელად მოველი... იმისი მშვენიერი კაბა და ჩემიც მოდიდგან გამოვა, თუ კიდევ გადაიდო ქორწილი; მოწვეულს სტუმრებსაც მოთმინება დაეკარგებათ, მიუგო მეგიმ.

— მისს ნორზს ჰსურს უეჭველად გადიდოს ქორწილი ბიძა-თქვენის მორჩენამდის.

— სწორედ კოსტანციას ხასიათისაა ეგ სურვილი!... ვაიმე! ეკალი მეჩხვლიტა ხელში, უეცრად წამოიძახა მეგიმ.

მაულტრიმ გამოართვა ხელი და უთხრა:

— მე ცოტათი ექიმიცა ვარ, ნება მიბოძეთ ეკალი გამოგიღოთ.

ახალ-გაზდები ისე ახლოს ისხდნენ ერთმანერთთან, რომ მათი თმები ერთმანერთში აირია. მეგის პატარა ხელი თრთოდა იმის ხელში; დან-

ტონმა სიფრთხილით გამოუღო ეკალი, შემდეგ მიიკრა ტუჩებზედ პაწაწინა ხელი და მხურვალედ აკოცა.

მეგი გაყვითლდა, რაც ღონე ჰქონდა ჰკრა ხელი მაულტროს, ყვავილები გადაჰყარა და გაიქცა.

მაულტრი წამოდგა შერცხვენილი, გაჯავრებული ტუჩებს იკვნეტდა და მოლუშულის სახით წამოიძახა:

— ვფიცავ იუპიტერს, რომ მეტი აღარ შემიძლია ამ გვარად ცხოვრება! თავი ველარ დამიჭერია, უნდა წავიდე აქედგან. წყეული იყოს ის დღე, როდესაც ჩემი ქორწილი მოიშალა! ბედნიერებას მოიტანს ის, თუ უბედურებას, მაინც...

— ნუ თუ თავის გასართობად სხვა საშუალება ვერა გიპოვნიათ რა, რომ მისს დაიზარტს არ ეხუმროთ და თავი არ მოაწონოთ? ჰკითხა ვილამაც დამშვიდებულის ხმით.

დანტონმა მოიხედა და დაინახა ქოსტანცია, თეთრი კაბით და შლიაპით. მაულტრი შეშინდა, ვაი თუ შემომხედა, როცა მეგის ვაკოცე ხელზეო, მაგრამ მაინც გულ-გრილად მიუგო:

— თავი რომ არ მოვაწონო, ისე განა არ შეიძლება ვეხუმრო ქალს? მგონია ამაზედ უარს ვერ იტყვით, რომ ძალიან ხშირად მტოვებთ მარტოკა, და აქ ძალიან მოწყენილობაა.

— მოგწყინდათ!? ჩემთან?

— თქვენთან კი არა, მაგრამ თქვენ ხომ თითქმის პოლკოვნიკთანა ხართ მუდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი მეგობარი მიჩვეულია ჩემგან მოვლას, ის მიჩვეულია უკითხო სხვა-და-სხვა წიგნები და უწერო საქმის ქალალდები.

— დასწყევლოს ეშმაკმა! რატომ ცოლს არ ირთავს? ჯერ ისე მოხუცებული არაა, რომ ისეთი ქალი არ გაჰყვეს, რომელსაც შეეძლოს დაიჭიროს შენი ალაგი ყველაფერს საქმეში? რატომ არ ირთავს?

— მე რა ვიცი! ბულ-გრილად მიუგო ჰოსტანცამ. ბოველს შემთხვევაში მე მოხარული ვარ, რომ ვშველი რასმეს. ამას გარდა, ერთი შენიშვნა უნდა მოგცე, დანტონ, შენი დამოკიდებულება მისს დაიზარტთან ისეთი აშკარაა, რომ მოსამსახურეებიც კი ნაშნავენ. შენ ძალიან კარგად იცით, მე იეზუიტი არა ვარ, მაგრამ მაინც გთხოვ, რომ ქალიშვილს თავი დაანებო. იმას ჯერ არ ესმის ცხოვრების პიროობაები, არ ესმის კაცების გადაკვრით ლაპარაკი და პოლკოვნიკი არ დაგრჩება მადრიელი, რომ ყმაწვილს ქალს თვალები აუხვიო. შენთვის ეს თავის შესაქცევარია და იმისთვის კი საშიშარი.

— როგორ თუ თავის შესაქცევარი? ამ სიტყვებზედ დანტონი ცეცხლივით აენთო და უკმაყოფილოდ უთხრა:

— ბიჩ-ბოლეში სხვა-და-სხვა დროს გასატარებელი საგნებიც კმარა და ამიტომ ვეცდები დავივიწყო მისს დაიზარტი. შევსწყვეტ იმასთან ნაცნობობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები აუხვიოთ? უკაცრავად ბრძანდები, ის ისეთი მაგარი ხასიათისაა, რომ აგრე ადვილად არ გახლავს იმის თვალების ახვევა. შენს ბრძანებლობას ქვეშა ვარ, ჩემო ძვირფასო ქოსტანცია!

მიუხედველად მისა, რომ ეს გესლიანის სიტყვებით დასცინოდა, ქალმა მშვიდობიანის სახით მიუგო:

— პოლკოვნიკი დღეს ჩამოვა პურის საჭმელ ოთახში. ჩვენი ქორწილის შემდეგ ის მიდის სამგზავროთ და მისი ძმის-წულიც თან მიჰყავს. ღვერთმა ჰქმნას, ამის შემდეგ მაინც ცოტა გამოცდილება შეიძინოს მეგვიმ

ნაზად გაუყარა მკლავი მკლავს მაულტრის და უთხრა:

— ორი საათის განმავლობაში შენს განკარგულებაში ვიქმნები. ზინდა აქ და ზინდა ბალში ვისეირნოთ. ნუ ხართ აგრე მოწყენილი! მალე წავალთ ბიჩ-ზოლედგან, ერთის, ან ორის კვირის შემდეგ მზად ვიქმნები.

— მართლა! შენ მაძლევ მაგ პირობას? ეს სასიამოვნო ამბავია; მხიარულად წამოიძახა დანტონმა.

იმისთანა მშვენიერის საცოლოს პატრონი, როგორც დანტონ მაულტრი იყო, ზონზედ უნდა მოსულიყო და დასჯერებოდა თავის ბედს. მაულტრიმ დაუწყო ქოსტანციას ხელზედ კოცნა ისეთის მხურვალეს გრძნობით და ალერსიანად, როგორც ამ ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის საათის წინად ჰკოცნიდა მეგის და შემდეგ ორივე უმანკოს სახით გაემგზავრნენ სასეირნოდ.

თავ-გარეტიანებული მეგი ამ დროს ფანჩატურში იჯდა და ყველაფერს ისმენდა. იმას ეშინოდა არ მიმხვდარიყვნენ, თუ რა ცვლილება მოხდა მასში ამ ორის კვირის განმავლობაშიდ. ახლა დარწმუნებული იყო, რომ ეს ალარ იყო ის მეგი, რომელიც ამ ერთის თვის წინად უზრუნველად დახტოდ: და თამაშობდა წყლის ნაპირზედ ქასტორთან.

დანიშნულები სადილის წინ დაბრუნდნენ სეირნობიდგან; იმათ თითქოს ვერ შენიშნეს მეგი, რომელიც იჯდა ფანჩატურში და ვითომ წიგნს ჰკითხულობდა. მეგი შევიდა თავის ოთახში და ჩაიცვა განსაკუთრებით ლამაზად, რომ ჩაეჩრდილა ქოსტანცია და მართლაც იმაზედ ბევრად უფრო ლამაზად სჩნდა.

დანტონ მაულტრი ისე გართული იყო საცოლოსთან ლაპარაკით, რომ ერთი არ შეუხედავს მეგისათვის და მთელი სადილი ისე გათავდა, რომ მისთვის ხმაც არ გაუცია. ქოსტანცია აღტაცებაში იყო.

პოლკოვნიკ დეიჯარტს ყველანი ყურადღებას აქცევდნენ, რადგან ავად-მყოფობის შემდეგ პირველად სადილობდა საზოგადო სუფრაზედ. თუმცა ძლიერ სუსტად იყო, მაგრამ მუსაიფში მაინც მონაწილეობას იღებდა. დიდის პატივის-ცემით ექცეოდა მაულტრის, მეგის ეფერებოდა და მომეტებულად ეალერსებოდა ქოსტანციას. სადილზედ მეგი ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან მოწყენილი იყო, გულზედ სკდებოდა, რომ მის მოართულობას ყურადღება არავინ არ მიაქცია. მუდამ ალერსიანი ლაპარაკი მაულტრისა კოსტანციასთან გულს უკლავდა და თავის თავი უბედურად მიაჩნდა. სადილზედ ცოტა უსიამოვნობაც მოხდა:

— ჩრდილოეთში სრულებით არავინა გყავსთ ნაცნობი? ჰკითხა პოლკოვნიკმა მაულტრის ზრდილობიანის ხმით.

— როგორ არა, ერთი ნაცნობი მყავს და ისეთი, რომელმაც სიცოცხლე დამიბრუნა. ძალიან უხეიროობა მომივიდა, რომ ამდენი ხანია აქა ვარ და ვერ შევატყობინე ჩემი აქ ყოფნა.

— სად არის? აქა? ნუ თუ მოსაჩუზეტშია? ერთის ხმით ჰკითხეს პოლკოვნიკმა და კოსტანციამ.

— ის სცხოვრობს ბულონში და, რამდენათაც მახსოვს, მგონია, დაბადებულიც იქ არის.

— მერმედ ერთი ბარათი ველარ მისწერეთ? ეგ როგორ შეიძლება, ჩემო საყვარელო, წამოიძახა პოლკოვნიკმა. ხვალვე მისწერეთ ტელეგრამმა, რომ მოვიდეს ბიჩ-ბოლეში; ჩემთვის დიდი ბედნიერება იქმნება ჩემს სახლშიდ თქვენის მეგობრის ნახვა.

— დიდს მადლობას შემოგწირავთ, უნდა მოგახსენოთ, რომ ის ძალიან კარგი კაცია. ამ ხუთის წლის წინად მე ვიყავი ახალ ორლეანში და ძლიერ ავად გავხდი ყვითელი ცივებით სასტუმროში. რაღაც საქმეებისათვის ჩამოსულიყო ისიც ამ ქალაქში. ბადამდები ავად-მყოფობა იყო საშინლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაძლიერებული. Ველამ მიმატოვა ამ უცნობის კაცის მეტმა, რომელიც ისე სტუმრად იყო ამ ქალაქში, როგორც მე. Ისიც იქვე იდგა სასტუმროში. როგორც ძმას ისე მივლიდა. ჩემს სიცოცხლეში ვერ გადავიხდი იმის ამაგს.

— Ოვლად შემძლებელო ღმერთო! მემრედ მაგ კაცმა, რომელმაც მაგდენი შრომა გასწია თქვენთვის, არ იცის, რომ ჩრდილოეთში ხართ? და არც ქორწილში დაგიპატიჟნიათ? სწორედ მაკვირვებს თქვენი ქცევა. ასეთი უყურადღებლობა მისატევებელი არ არის. ახლავე უნდა მოვიწვიოთ, სთქვა პოლკოვნიკმა და უბძანა მოსამსახურეს, შეება ეტლში ცხენები, რომ მისტერ მაულტრი წასულიყო ბლეკგავენში. შემდეგ მიუბრუნდა დანტონს და უთხრა:

— ახლავე წადით და გაუგზავნეთ ტელეგრამმა. ძალიან მსურს თქვენი მეგობრის გაცნობა, მაგისთანა კაცები ძლიერ იშვიათად მოიპოვება ხოლმე.

— მეც ძლიერ მინდა ვნახო შენი მეგობარი, რომ მადლობა შევსწიროთ შენი სიკვდილისაგან დახსნისათვის; ჩვენ ორნივე ვიამაყებთ იმის სტუმრობით, უთხრა ალერსიანად ქოლტანციამ.

— თქვენ სრულებით დაგავიწყდათ გეთქვათ იმისი გვარი. Ველასა გვსურს მაგისთანა გმირის ვინაობის შეტყობა, უთხრა დანტონს მეგიმ, რომელიც აქამდის ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს.

მაულტრიმ გაუბედავად შეეხედა ქალს. მეგის ლურჯი თვალები ელვარებდა და ლოყებზედ თითქოს ცეცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლი ეკიდებოდა. რა ლამაზი შესახედავი იყო ამ დროს ის! ცხადად ეტყობოდა, რომ ყველაზედ მეტად ამას უნდოდა შეეტყო, თუ ვინ გადაარჩინა დანტონ მაულტრი სიკვდილისაგან.

— ის არის ჯერროლდ ფორტესკიუ, მიუგო დანტონმა. შესანიშნავი იურისტია და ძლიერ მდიდარიც არის.

— ჯერროლდ ფორტესკიუ! წყნარად გაიმეორა მეგიმ. ამ სახელსა და გვარს ჩემს დღეში არ დავიიწყებ. სწორედ ამ დროს პოლკოვნიკი ლეონოს სვამდა, უეცრად სტაქანი გავარდა ხელიდგან, ლეონო დაიღვარა და მეგის მშვენიერი კაბა სულ ერთიანად გააფუჭა. იმის გამბდარს სახეს გადაუარა სიკვდილის ფერმა; ნამეტანი განწირულობით, თუ გულმოსულობით დაემარცა ეგ, ეს კი ძნელი გამოსაცნობი იყო. შეჰხედა მაულტრის და საშინელის ხმით წამოიძახა:

— მომითმინეთ, მე მგონია ვერ გავიგონე კარგად? ფორტესკიუ?... თქვენ სწორედ ფორტესკიუ სთქვით?

— დიახ, ჯერროლდ ფორტესკიუ, გაკვირვებულის სახით მიუგო მაულტრიმ.

— თუ აგრეა, მე უკანვე მიმაქვს ჩემი სიტყვები, ის კაცი ვერ გადმოაბიჯებს ჩემს კარებს, ვერ შემოვა ჩემს სახლში და ვერ შეეხება ჩემს ხელს. ის არ უნდა მოვიდეს ჩემთან.

ამ გვარმა სიტყვებმა ყველა გააკვირვა; მისს ნორბი, თითქოს მიხვდაო, თუ რისათვის ლაპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობდა ეგრე, გაყვითლებული იდგა დახმას არ ილებდა. მეგიც მეხ-დაცემულივით იყო, მაულტრი გაანჩხლებული წამოვარდა და შესძახა:

— არ შეიძლება, ბატონო, ამიხსნათ ეგ ახირებული ლაპარაკი?

— საუბედურად არ შემიძლია, ცივად მიუგო პოლკოვნიკმა.

მეგი თავის ყურებს არ უჯერებდა, პოლკოვნიკი, რომელიც სამაგალითოდ მიაჩნდათ ზრდილობით და წინ დახედულობით, ისე გაანჩხლდა, რომ უშვერი სიტყვები წამოისროლა.

— თქვენ შეურაცყავით ჩემი ძვირფასი მეგობარი, გაცხარებულის ხმით წამოიძახა დანტონმა.

მისნორში უეცრად წამოვარდა, დაადო დანტონს მხარზედ ხელი, თითქოს დამამშვიდებელი აწგელოსი ყოფილიყოს და უთხრა:

— შენ ვერ გაიგებ ამას, იმიტომ რომ ეგ კერძო საქმეა. პოლკოვნიკს არ შეუძლია იმის მიღება. შეცდი, რომ პირველათვე არა სთქვი იმის სახელი და გვარი. ახლა შესწყვიტე ამაზედ ლაპარაკი; მიზეზს ვერც ერთი ვერ გეტყვით.

— ჩემს სიცოცხლეში ისე არა მეჯავრება რა, როგორც საიდუმლო, შენიშნა მაულტრიმ.

— მეც ძალიან მეჯავრება, წამოიჩურჩულა მეგიმ, რა უნდა დაეშავებია ასეთი მისტერ ფორტესკიუს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დარწმუნებული იყავით, ჩემსავით არავის სწყურს მაგას, ალელვებულის ხმით სთქვა პოლკოვნიკმა, რომ შეიძლებოდეს დიდის სიამოვნებით აგიხსნიდით, ბატონო!

პოლკოვნიკმა ძლიერ მოიწყინა, მაულტრი დიდ-გულად მისჩერებოდა მას. ქოსტანცია მოუსვენებელს მდგომარეობაში იყო, სანამ შერიგების ნიშნად პოლკოვნიკმა და მაულტრიმ ერთმანერთს ხელი არ მისცეს. მეგი ხმა გაკმენილი იჯდა და ველარ ბედავდა ეკითხნა რა. ამ შემთხვევამ საძაგელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ, თვითოეულს მათგანს იდუმლად სტანჯავდა ცნობის მოყვარეობა და ვერც ერთს ვერ გაებედნა გამოკითხვა. ეკიპაჟში ცხენები გამოახნევინეს, ამ გვარად გათავდა სადილიც.

მეგი მიჯდა კუთხეში და დალამებამდის ფეხი არ მოუცვლია; პოლკოვნიკი და მაულტრი ჭადრაკს ჩაუჯდნენ, ქოსტანცია ფორტოპიანოს უკრავდა. მეგი გავიდა ოთახიდგან, ბიძამაც კი დაივიწყა ისა: ქოსტანციამ ისე გაუგრილა მაზედ გული. დაწვა დასაძინებლად, მაგრამ ძილი არ მოდიოდა. მრავალი უბედურების შემდეგაც არ დავიწყნია მას ეს ღამე, როდესაც პირველად გამოცადა ტანჯვა და მწუხარება. გაბოროტებული ტრიალებდა ქვეშსაგებში და, თითქოს უნდოდა თავის თავს დაემალა, ხან ერთს და ხან მეორე კუთხეში მიიმალებოდა ხოლმე. ამ დროს გაიგონა ქოსტანციასა და მაულტრის ალერსიანი ლაპარაკი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო!

ამის შემდეგ მისწყდა ხმაურობა, განთიადმა წაართვა შუქი მთვარეს, რომელიც ისე უხვად ანათებდა მეგის ოთახს და მეგის, რომელიც ჯერ კიდევ ქვეშსაგებში იჯდა, თავი ასტკივდა საშინლად და სულ შეგუბებული ჩურჩულებდა:

— ოჰ, ღმერთო! რა საშინელებაა! რა საძაგლობაა! მე მიყვარს ქოსტანცია საქმრო, ის კაცი, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ ჯვარი უნდა დაიწეროს მაზედ.

დიდ-ხანს იჯდა და გაჰყურებდა გარემოს. იქმნება ქოსტანცია და მისი საქმრო ნიშნამენ ჩემში ამ საშინელებას? იქმნება იცვი აქვთ, მაგრამ ნამდვილი კი არ უნდა გაიგონ. ამ დროს მოუვიდა ერთი ახირებული აზრი: უნდა დავუმტკიცო მაულტრის, რომ მიზეზი მაქვს მისი მოძრიდების, მასთან ხუმრობით თამაში არ შემიძლია, ერთი სიტყვით, უნდოდა თავისი გრძნობა დაეფარა.

დილით ცოტა ჩაეძინა. იმ დროს გამოელვიძა, როცა საუზმე გათავებული ჰქონდათ და ღმერთს მადლობდა, რომ საუზმეზედ არ მოუხდა ქოსტანციას და მისი საქმროს ნახვა. მაშინვე შეაბმევინა ცხენი ეკიპაჟში, საჩქაროდ ჩაიცვა ტანისამოსი და შეუარა პოლკოვნიკს.

პოლკოვნიკი იჯდა საწერ სტოლთან და ჰკითხულობდა გაზეთს, მეგი შამოეხვია კისერზედ და დაუწყო კოცნა.

— ქოსტანცია და მისი საქმრო სად არიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასეირნოდ წავიდნენ, გენაცვალე.

— მეც მივდივარ სასეირნოდ და შეიძლება ძალიან ახალი ამბავი მოგიტანო. შენი ჭირიმე, ბიძია, ვინ არის ის მაულტრის მეგობარი, ჯეროლდ ფორტესკიუ, რომლის ნახვაც შენ ისე გეჯავრება? ღმერთმანი, მე მეგონა, რომ თქვენ ძალიან წაიჩხუბებოდით წუხელის.

ამ კითხვებზედ პოლკოვნიკი თითქოს გაქვავდაო, სრულებით გამოიცვალა სახიდგან და განწირულებით წამოიძახა:

— გაჩუმდი, გაჩუმდი მეთქი! მე არ შემიძლია გულ-გრილად გავიგონო ეგ სახელი შენი პირიდგან. შენი ჭირიმე, ჩემო ძვირფასო შვილო! ნუ ახსენებ იმის სახელს და გაგონებასაც ერიდე, თუ ვინმემ სთქვას შენთან.

— რატომ? გაკვირვებით ჰკითხა მეგიმ.

— იმიტომ, რომ მე, შენი მამის მაგიერი გიბრძანებ მაგას. იმ კაცის სახელის მოგონება სიცოცხლეს მიწამლავს. მაულტრის თუნდა რომ დაეპატიჟნა, მაინც ვერ მოვიდოდა ჩემთან; იმან ძალიან კარგად იცის, რომ ცოცხალი ვერ შემოვა ბიჩ-ზოლეში.

მეგიმ ხმა ვეღარ ამოიღო. პოლკოვნიკი ცოტათი დამშვიდდა და ჰკითხა:

— ქოსტანციას არიფერი უთქვამს შენთვის?

— ქოსტანციას? არა, არაფერი მე ისეთი ბედნიერი არა ვარ, რომ იმან საიდუმლო რამ მითხრას'

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკმაყოფილოს სახით მიუგო მეგიმ. რატომაა ეს, ბიძია, რომ ქოსტანციამ ყველა შენი საიდუმლო იცის და მე.... მე კი სრულებით არაფერს მეუბნები.

— როგორ გგონია შენ, რა უნდა იფარებოდეს ამ საიდუმლოში? სრულებით არაფერი, ჩემო კარგო, ქოსტანცია შენზედ უფროსია, ცოტა უფრო ჭკუიანიც არის და იმიტომ უთხარი. როცა იქმნება, შენც გიამბობ ჯერროლდ ფორტესკიუს ამბავს და ახლა კი ვერა. აბა, მაკოცე ერთი კიდევ და ფრთხილად იყავი, ცხენებმა არ გადაგიბრუნონ ეკიპაჟი.

ამ ნაირად პოლკოვნიკი და მეგი ერთმანერთს დაშორდნენ. სახლის წინ იდგა დაწნული ლამაზი ეკიპაჟი, ორი მშვენიერი პატარა ცხენებით შებმული, რომელიც პოლკოვნიკმა მეგის აჩუქა. მეგი ჩახტა შიგა, წაავლო სადავეებს ხელი და გასწია ქალაქისაკენ; ოთხი მილი უნდა გაევლო, მაშასადამე, კარგად შეეძლო აეწონა, რასაც ჰფიქრობდა. მიუახლოვდა ტყეში იმ ალაგს, სადაც ლანტონი დაიმტვრა და რომელიც გახდა ანიკი უბედურების მიზეზად. ამ ალაგმა ძალიან მიიზიდა მეგის ყურადღება, მაგრამ შეუჩერებლად, პირ-და-პირ გასწია, შევიდა ქალაქში თუ არა, გადაუხვია დიდ შარას და გაჩერდა ერთი სახლის წინ.

მეგი საჩქაროდ გადმოხტა, მიუგდო პატარა ბიჭს ცხენების სადავეები და აირბინა ტალახიანს კიბეზედ ბატონის სახით, თითქოს იმის გარდაწყვეტილებას ვერაფერი დაუდგებოდა წინა. ოთახი, რომელშიაც ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიდა, საშინელი დახუთული იყო. აქ იყო უუ. ბონდას და დიდოს კანტორა. ოთახი დიდის ხნის დაუგველი იყო, ძველი სკამები ძლივს მაგრდებოდა ფეხებზედ, კუთხეში იდგა სტოლი, რომელზედაც ეყარა სხვა-და-სხვა ქაღალდები, გაზეთები და სიგარის ნამწვავები, მეორე კუთხეში იდგა კანტორკა, რომელთანაც მიმდგარი იყო რობინ ლეიტი და სწერდა. კარების გაღებაზედ უეცრად მოიხედა და დაინახა მეგის მშვენიერი სახე.

რობინი პირველად ჰხედავდა მას იმის შემდეგ, რაც ისინი დაშორდნენ ერთმანერთს მვთევზის ქოხში. ის მისჩერებოდა მეგის, თითქოს მოჩვენება ყოფილიყოს. ფერშემკრთალი რობინი წაიწია წინ და წამოიძახა:

— მისს დაიზარტი! მეგი!

ქალმა საჩქაროდ ჩაჰკეტა კარები და მიუახლოვდა:

— უკანასკნელად რომ დავშორდით ერთმანერთს, მაშინ ძალიან გაჯავრებული ვიყავი, რობინ, გახსოვსთ? მაშინ მე ვითხარით, რომ ამის შემდეგ ჩვენში ნაცნობობა გათავებულია მეთქი, მაგრამ მე მაინც მოვედი თქვენთან, მოვედი საკითხავად. მარტო ხართ, თუ არა?

— დიალ, მარტო ვარ, მიუგო რობინმა და მიუწია სკამი.

ლეიტმა იცოდა, რა ამბებიც მოხდა ამ დღეებში ბიჩ-ბოლეში, რადგან ბოროტი ენები ხშირად ახსენებდნენ პოლკოვნიკ დაიზარტის ძმისწულს და მაულტრის ერთად. ის იდგა მეგის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნით გასვრილ ტილოს ტანისამოსით, გაწეწილი თმით, ყურს უკან გარჭობილი კალმით და გაკვირვებულის სახით მისჩერებოდა მას.

— ბინდათ თუ არა, განაგრძო **რობინმა**, მე მაინც თქვენი ერთგული მეგობარი ვარ, რითი შემიძლია გემსახუროთ, მეგი?

მეგი ცეცხლივით აენთო, შემდეგ ამაყად ასწია თავი და მიუგო:

— თქვენ ძალიან გაგიკვირდებად და იქმნება კიდეც აგაშფოთოსთ ჩემმა სიტყვებმა, არა თუ **ბლეკ**-გავენში, არამედ მთელს დედა-მიწაზედ არ მოიძებნებოდეს, მგონია, ისეთი ქალიშვილი, რომელსაც გაებედოს ამ გვარი საქმე. **მაშ** მოემზადეთ, ერთი, ორი, სამი, **რობინ**, ბინდა, ჩემი შერთვა, თუ არა?

რობინი გაკვირვებული მისჩერებოდა და თითქოს თავის ყურებს არ უჯერებდა. **მეგიმ** კი ძალა დატანებულის სიცილით განაგრძო:

— **რამდენიმე** კვირის წინათ თქვენ მომეცით ეს კითხვა. **მე** ვგრძნობ, რომ არ შეშვენის ყმაწვილს ქალს ამ გვარი სიტყვების წარმოთქმა, მაგრამ სხვა გვარი საშუალება ვერ ვიპოვე, გადმომეცა თქვენთვის ჩემი განხრახვის შეცვლა. **აგრე** კი ნუ მომჩერებიხართ, პასუხი მომეცით; ბინდათ ჩემი ცოლად წაყვანა, თუ არა?

ამ გვარს კითხვებს აძლევდა იმ კაცს, რომელსაც რამდენიმე თვე და წელიწადი გაუტარებია გაშმაგებული იმის სიყვარულით! **ახლა** იმის რიგიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა. საკმაო იყო, გაეწოდა ხელი, რომ მიეღო ის ძვირფასი საუნჯე, რომლის მოპოებასაც ის სცდილობდა. მაგრამ იმის სახემ ისეთი შეხედულობა მიიღო, თითქოს ვერც კი იცნობდა ქალსა და ალმფოთებულის ხმით ჰკითხა:

— რამ გაიძულათ გამოგეცვალათ თქვენი განზრახვა? მე მგონია ამ კითხვის უფლება მაქვს?

ქალი გაწითლდა ყურებიანათ და მწარის ღიმილით მიუგო:

— მე არ შემიძლია მაგის თქმა. თქვენ იმითაც კმაყოფილი უნდა იყოთ, რაც გითხარით.

— თქვენ მეკითხებით, მინდა თუ არა თქვენი ცოლად შერთვა? მეგი, შემომხედეთ პირ-და-პირ და პატიოსანის სიტყვით მიპასუხეთ: შეგიყვარდით ცოტად მაინც იმაზედ მეტად, ამ ექვსის კვირის წინად რომ გიყვარდით, თუ არა?

ქალმა შეხედა პირ-და-პირ და კინაღამ არ გადიხარხარა დაცინებით. რობინ ლეიტი გასვრილი ტანისამოსით და გაწეწილი თმით, მართლაც, რომ სასაცინო რამ იყო ამ დროს.

— არა, დაუფარავად მიუგო ქალმა, იმაზედ მეტად არ მიყვარხართ.

— არც იმედია, რომ შემიყვარებთ?

— არა მგონია.

— მაშ, რად დამცინით აგრე?

— სრულებითაც არ დაგცინით, მოუთმენელად წამოიძახა მეგიმ. რა სულელი რამა ხართ! სრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითაც არა ვარ დაცინების გუნებაზედ. ამას თქვენც კარგად უნდა მატყობდეთ. მე თქვენ გაძლევთ ჩემს ხელს, გინდათ, თუ არა?

— არა, ითასჯერ არა! მიუგო **რობინმა**.

მეგი კი სულ სხვა პასუხს მოელოდა; თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ისეთი შეხედულობა მიიღო და, გაბრაზებული სიანჩხლით, რომ იმის თავმოყვარეობას აგრე მოეპყრნენ, წამოვარდა და შესძახა:

— მაშ არ გინდათ ჩემი ცოლად შერთვა?

— არა, მეგი, არ მინდა. ახლა თქვენი ჩემგან შერთვა სისულელე და საზიზღარი იქმნება. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ამ საქმეში დამნაშავეა **დანტონ** მაულტრი, ძალიან მებრალებით, მაგრამ არ ვიცი როგორ დაგეხმაროთ.

— **რობინი** მონაწილეობით მიუახლოვდა მას, მაგრამ **მეგი** გულმოსულის სახით უკან დაიხია.

— **თ**ქვენ არაფრით არ შეგიძლიათ დამეხმაროთ... არც ვსაჭიროებ და არც გაძლევთ ნებას, **დ**ანტონ მაულტრის სახელი ახსენოთ ჩემთან. ახლა ჩვენ ბარ-და-ბარ ვართ. ექვსი კვირის წინათ მე გითხარი უარით და ახლა თქვენ მეუბნებით. ამის შემდეგ კიდევ მეტად მომწონხართ, ვიდრე აქამდის.

ამ სიტყვებით გამოვიდა ოთახიდგან, ჩაირბინა კიბეზედ და სახლში დაბრუნდა. **ო**როდესაც შეავიდა ტყეში, დაანება თვალთ მაქცობას თავი და მისცა თავისუფლება ცრემლებს. **თ**უმცა ასეთი დამცირება მიიღო, მაგრამ თითქოს უფრო შეუმსუბუქდა მწუხარება და ჩურჩულებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლამაზო, მდიდარი ბიძის მემკვიდრა, მარგარიტა დაიპარტო! თქვენ ვითომ დიდად ლაავალეთ და გაუწოდეთ ხელი იმ კაცს, რომელმაც ეს პატივი არ მიიღო. როგორ მოგწონსთ ეს? ქოჩალ, რობინ! როგორ შორს-გამჭვრეტელი ყოფილხარ!

იქეთობას ის ჰფიქრობდა, რომ ბიჩ-ბოლეში დავბრუნდები თუ არა, გამოუმცხადებ ქოსტანციას და მის საქმროს ჩემს ქორწინებასაო, ახლა კი ეს ყველაფერი გაუცუდდა, დაფიქრებულის წყნარის ნაბიჯით მიჰყავდა ცხენები, ბოლოს გააჩერა ეკიპაჟი ჩრდილში, გადმოხტა და დაიწყო ზღვის ნაპირზედ სიარული და თან ეკითხებოდა თავის თავს:

— დავბრუნდე ისევ ბიბ-ბოლეში, თუ გადავარდე ზღვაში და მოუღო ბოლო ჩემს ცხოვრებას.

მშვენიერი მოწმენდილი დღე იყო და მოუხერხებელი დროც თავიც დახრჩობისა. დალალული მეტის სიარულისაგან, მეგი ჩამოჯდა ძველ ნავზედ, რომელიც ნაპირზედ იყო გამოდგმული, დაიმჭყვდია გულ-ხელი და გაჰყურებდა გაცისფერებულს არე-მარეს; ამ მდგომარეობაში მოასწრო დანტონ მაულტრიმ, რომელიც ქოსტანციასთან სეირნობის შემდეგ გამოსულიყო გასავლელად; გაიგონა თუ არაფეხის ხმა, ქალმა მოიხედა, თვალები სავსე ჰქონდა ცრემლით და ტუჩები უთრთოდა, როგორც გულ-ამომჯდარს მტირალს ბავშს; ამის ეშმაკური სახის გამომეტყველება გასაოცარი მშვენიერება იყო ამ დროს. დანტონ მაულტრი, მხურვალე და მეტის-მეტი თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვარე გრძნობის პატრონი, თოვლივით დადნო ცრემლიანი ლამაზი თვალების ელვარებამ. მას დაავიწყდა ქოსტანცია დაავიწყდა მისდამი მიცემული პატიოსანი სიტყვა და ერთი თვალის დახამხებამდის მივარდა მეგის და შესძახა:

— მეგი, მარტოკა ხართ, და ტირით კიდეც?

ქალი წამოვარდა და ჰკითხა საჩქაროთ:

— ქოსტანცია სად არის?

— ქოსტანცია? არ ვიცი. ჩემთვის სულ ერთია სადაც უნდა იყოს. თქვენ რათ მკითხავთ მაგას? ახლა კი უნდა ვსთქვა დაუფარავად ყველაფერი: ისეთი დამნაშავე ვარ იმასთან, რომ მისატევებელი არ არის, ღმერთმა ნუ დამსაჯოს სამაგიეროდ, იმის სახელიც კი მეზიზღება.

ქალმა შეხედა იმის აღელვებულს და გაფითრებულს პირის სახეს და კანკალით სთხოვა:

— ღმერთო ჩემო, რას ამბობთ! მაგას ნუ იტყვით, თუ ღმერთი გწამთ?

— სანამ თქვენ გნახავდით, მეგონა, რომ ქოსტანცია მიყვარდა, მაგრამ თქვენმა სახემ იმდენად გამამხდალა, რომ მოღალატედ გამხადა. რა ვქნა.» თქვენ მიყვარხართ, მარტო თქვენ, ქოსტანციას შერთვა აღარ შემიძლია, თუნდა ფიცის გამტეხიც შევიქმნე; წყეული იყოს ის დღე, როდესაც მე თქვენ გაგიცანით. მეგი, ჩემო მშვენიერო მეგი!

მარტოდ, მარტო იდგნენ ეს ორნი ნაპირზედ, მხოლოდ ტალღები იყვნენ მოწამე ამათი საშინელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალელვებულის მდგომარეობისა. იმათ ალარ აწსოვდათ ალარაფერი. მეგიმ ძალა დაატანა თავის თავს, რომ გამოსულიყო ამ გვარს მდგომარეობიდგან და შესძახა:

— თუ ღმერთი გწამთ, თავი დამანებეთ!

— ვერა, ვერ გაგიშვებთ, სანამ ნამდვილად არ შეეიტყობ, გიყვარვართ თუ არა?

დანტონმა მოხვია ხელი და მოსწია თავისკენ. მეგი ჯერ, ვითომც, ეწინააღმდეგებოდა პაწაწინა ხელებით, მაგრამ ყმაწვილმა კაცმა მკაცრის სინაზით ჩაიკრა ის გულში.

— შენ გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე! მითხარი ერთი სიტყვა...

— თუმცა ეს დიდი დანაშაულობაა... და საძაგლობა ჩემის მხრით, მაგრამ მეც მიყვარხართ, ტირილით მიუგო მეგიმ.

— რაც ითქვა იმის დაბრუნება შეუძლებელია, წარმოსთქვა ყმაწვილმა კაცმა, ქალს მაკრათ მოხვია ხელი და გულში ჩაიკრა, თითქოს ეშინოდა არავინ წამართვასო. ბოროტი და დაუდგრომელი მამა-კაცი, რომელიც ემზადებოდა ამის წინად სხვასთან ქორწინებას, ახლა მეორე ქალს უჩურჩულებდა ამ სიტყვებს:

— მთელი დედა-მიწა მხოლოდ ჩემი შენდამი სიყვარულისათვისაა გაჩენილი

ღამდებოდა. ქოსტანცია იდგა ფანჯარასთან და გადაჰყურებდა ბაღჩას; იმას უფრო მეტი გამჭრიახობა ჰქონდა, ვინემ მისი საქმრო ჰფიქრობდა; იმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდა თითქმის ისიც, რასაც დანტონ მაულტრი გულში გაივლებდა და ცდილობდა საცოლოსთვის დაეფარა; მისი იჭვი მართლდებოდა: საეჭვო გადახედ-გადმოხედვა, მეგის ხანგრძლივი ჩურჩული და მალ-მალე ფერის ცვლა, აშკარად ამკიცებდა მის დანაშაულობას ქოსტანციასთან; დანტონ მაულტრი ღალატობდა.

თუმცა ქოსტანცია ბუნებით ცივი იყო და არ ემსგავსებოდა მეგის მხურვალესა და სიცოცხლით სავსე ბუნებას, მაგრამ რამდენათაც შეეძლო სრულის გრძნობით უყვარდა ლამაზი დანტონი, ის იდგა ფანჯარასთან, მწარის ფიქრით შეცული, იმისი ლამაზი თვალების გამომეტყველება შეაშინებდა, რომ დაენახა, მოღალატე საქმროსაც. დანტონი დასეირნობდა ბაღში და სწევდა სიგარას. ქოსტანცია სიამოვნებით მისჩერებოდა მის მშვენიერს მამაცურს მიხვრა-მოხვრას, რომელსაც მთვარის შუქი კიდევ უფრო მიმზიდველს შეხედულებას აძლევდა.

უეცრად გადააგდო სიგარა და სიმღერით გასწია არანჟერეისაკენ. დაწყნარებულს ღამეშიდ სიმღერის სიტყვები ცხადად მოესმა ქოსტანციას:

შრომა მძიმეა და დამქანცველი,
ფიქრით შეცულა სრულად გრძნობანი:
მაგივრად ჭკვიანთ არ ეძნელებათ,
რომ შორს გაჰფანტონ დაბრკოლებანი.
მაგრამ ხვალ ვიცი ტანჯვა მომელის.
მაშ, საუკუნოდ იყავ დღეის დღე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან დამანებე ისევ ამ ყოფით,
უზრუნველი ვყო ხვალინდელი დღე.

მისს ნორზი ისმენდა ამ სიტყვებს და კბილების კრაჭუნით იმეორებდა:

— ორგულო! მოლალატევ!... საჩქაროდ გამოეხვია შალში და გასწია ფეხ-აკრეფით ბუჩქებისაკენ. უეცრად მოესმა ლაპარაკი, მარდად მოეფარა ბუჩქებს და დაინახა ქალი, რომელიც შიშით ჩრდილში იმალებოდა, მაგრამ კოსტანციამ კარგად შეიცნო იგი ტანისამოსით. დანტონს კი მშვენიერად ანათებდა მთვარე. იმას მაგრად დაეჭირა ქალის ხელები და თუმცა ჩუმად, მაგრამ გარკვევით ელაპარაკებოდა:

— მეგი, ჩემო ძვირფასო, ამ გვარად ჩემი სიცოცხლე შეუძლებელია, მე მაინც არ შემიძლია. თქვენ წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში ვარ! ყოველს წამში მოველი, რომ შეგვიტყობენ და აბა მოიფიქრეთ რა საქმე დაგვემართება მაშინ. მოდით გონებას მეგი, ამ გვარს შემრხვევაში მხოლოდ ერსაშუალებაა.

მისს ნორზს ესმოდა სულ ყველაფერი, მაგრამ სრულებით არ გაჰკვირვებია სულ განაბული იდგა და ყურს უგდებდა.

— მე არ შემიძლია, ვერ გავბედავ! ჩურჩულებდა მეგი და მოინდომა ხელიდგან დაძრომოდა, მაგრამ დანტონი მაგრად იხუტებდა გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ შეგიძლიანთ გამომყვეთ? ზანა ვერა ხედამთ, ჩემო სიცოცხლეო, რომ ეს ერთად ერთი საშვალებაა დარჩენილი ჩვენი ბედნიერებისათვის? ქოსტანციას შერთვაზედ თუ უარი გამოვაცხადე, იგი ეცდება პოლკოვნიკის შეგონებას და არაფრის გულისათვის ჯვარის წერის ნებას არ მოგვცემს. არა, თვითონ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი თავისათვის. ნურაფრის გეშინიათ: ქოსტანცია დაემორჩილება აუცილებელს ბედს, ის იმისთანა ქალი არ არის, რომ მამაკაცისაგან გული დაიჩაგროს. მეგი, ხვალ საღამოს თქვენ ჩემი ცოლი უნდა გახდეთ.

მეგი შეკრთა.

— ხვალ საღამოს? ოჰ, არა... ეს ერთობ ადრეა.

— თუ ახლავე არ დავიწერეთ ჯვარი, შემდეგში სულ ველარ მოვახერხებთ. პოლკოვნიკმა რომ გაგვიგოს საუკუნოდ გაგვაშორებს ერთმანერთს და შეგიძლიანთ ამი ი ატანა? ან მე როგორ უნდა ავიტანო?

ამის პასუხად ტირილი მოისმა.

— ზონიერად განსაჯე, ჩემო სიცოცხლევ! ზღვის პირზედ ახლოს ერთი პატარა სოფელი არის საგაშინი, სადაც მე და პოლკოვნიკი ვიყავით, იქ არის ერთი სასტუმრო, სწორედ ზღვის პირზედ გადამდგარი, ხვალვე მოველაპარაკები იქაურს მღვდელს და იქ შეგვიძლია დაგვირგვინება, შენ საუკუნოდ ჩემი გახდები, ვერც პოლკოვნიკი და ვერც ქოსტან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია ველარ გადაეშორებს; შემდეგ დავბრუნდეთ ორნივემ და აუხსნათ მათ ჩვენი გარემოება.

— დარწმუნებული ხარ კი, რომ მე უფრო გიყვარვარ ქოსტანციაზედ? ტირილით ჰკითხა მეგიმ.

— სრული დარწმუნებული ვარ! მე და ქოსტანცია თავის დღეში შეხაფერი არ ვყოფილვართ და არც ბედნიერნი ვიქმნებოდით. თქვენდამი ჩემმა სიყვარულმა დიმიმტკიცა თუ რა მცირედი და საკმაო არ ყოფილა ჩემი გრძნობა ქოსტანციასადმი.

— ამ სიტყვებით ჩაიკრა გულში და დაუწყო მხურვალედ კოცნა. ქოსტანცია ბუჩქებში იდგა და იძულებული იყო ყველაფერი მოესმინა.

— ხვალ საღამოს იმედი მექმნება;,—ხომ არ მომატყუილებთ? მეშინია, იქნება კიდეც დავიგვიანეთ; ქოსტანცია ეშმაკია და მგონია თვალ-ყურს გვადევნებს. მე მოგიცდით ზღვის ნაპირზედ; საგამინში ნავით მივალთ და ამ რიგად განვთავისუფლდებით მდევარისაგან, რადგან წყალში კვალის ძებნა ამაოა

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა საძაგლობა რამა ვარ! წამოიძახა მეგიმ. თუმცა თავიდგანვე არ მყვარებია ქოსტანცია, მაგრამ თავის დღეში არ წარმოვიდგენდი იმისთვის საქმრო წამერთმია.

— მეგი, ნუ ლაპარაკობთ მაგრე! ჩვენ ერთმანერთისათვის ვართ გაჩენილი. ზანა შემეძლო ცრუფიცი მიმეცა, ჩემო სიცოცხლევ? ახლა კი წადი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ შემოგვესწრებიან, არ დაგავიწყდეს, რომ ხვალ გიცდი ზღვის ნაპირზედ.

მისს ნორზმაც მოისმინა ყველაფერი და საჩქაროდ გასწია სახლისაკენ, შევიდა თუ არა ოთახში, გაიგონა, რომ პოლკოვნიკი უძახდა. დაუყოვნებლივ გაექანა იმისაკენ: არასოდეს აქე თავ-დაჭერილი და დამშვიდებული ის არ ყოფილა ჯერ, მის შემხედავს ფიქრადაც არ მოუვიდოდა, თუ რა სიტყვები გაიგონა ამ რამდენიმე წამის წინად მოღალატე საქმროსაგან.

— როგორ გგონია, ჩემო კარგო! ბაჯავრებული ხომ არ არის დანტონ მაულტრი, რომ უარი უთხარი ფორტესკიუსის მოწვევაზედ? ახირებულია, რომ ეს ორი კაცი ისეთი მეგობრები ყოფილან ერთმანერთის. თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ შემაწუხა ამ შემთხვევამ; არაფერი უკითხავს ამის თაობაზედ თქვენთვის? ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— არაფერი, დამშვიდებით მიუგო ქოსტანციამ. დანტონ მაულტრის უყვარს თავის მეგობარი, მაგრამ თავის-თავი ურჩევნია უეჭველად. რად შეიწუხებს თავს, ნამეტურ მაშინ, როდესაც საკუთრად თავის სიამოვნებისათვის ცხოვრობს.

— როგორც გატყობთ, სიყვარული არ გაბრმავებსთ, შენიშნა პოლკოვნიკმა. მომეტებული უდარდელია, როგორც თქვენს გამოთხოვებაზედ არ უფიქრნია ბევრი, ისე არც ქორწინებაზედ ჰფიქრობს არაფერს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უდარდელობა ჩვეულებრივი ხასიათია სამხრეთელების, მაგრამ რაც უნდა გაჯავრებული იყოს დანტონ მაულტრი, ფორტესკიუს მიღება მაინც შეუძლებელი იყო თქვენს სახლშიდ. ეს მეც ვიცი.

პოლკოვნიკის სახემ ნაღვლიანი შეხედულობა მიიღო და უპასუხა:

— ჩემთვის ბევრად უმჯობესია, მარჯვენა ხელი მომკვეთონ ვინემ მას ხელი ხელში მივსცე. თქვენ როგორ გგონიათ, მეგი მახდარი ხომ არ არის? თქვენ უფრო კარგად იცნობთ იმის ხასიათს.

— სრულებით არაფერი გაეგება მაგ საქმის; იმის თავში სულ სხვა ფიქრები ტრიალებენ, ჩემის აზრით, თქვენ იმას ყველაფერი მალე უნდა აუხსნათ.

— ბაჩუმდით, ბაჩუმდით! წამოიძახა პოლკოვნიკმა. მე მსურს თავის სიცოცხლეში არ შევატყობინო და საუკუნოთაც დავფარო ეგ საქმე. საცოდავი, ჩემი საცოდავი მეგი!

მაულტრის ფეხის ხმამ დააბოლავა მათი ლაპარაკი. როგორც მისს ნორზი, ისე გულ-გრილად და და დამშვიდებულის სახით შამოვიდა ოთახში. ორივე ძალიან კარგად ფარავდა თავიანთ გრძნობას.

მეგის კი არ ჰქონდა ამდენი ეშმაკობა და ამის გამო ალარ ჩნდებოდა მათთან. მეგი თვალ-ყურს ადევნებდა დანიშნულებს, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია იმის მეტი, რომ ადრინდელზედ მომეტებულ ალერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიანად იყვნენ, ღამე გამოსალმების დროს მისს ნორზმა გაიჩერა მაულტრი და ჰკითხა:

— გიყვარვართ თუ არა?

— მიყვარხართ და მეტი არა? როგორ შეიძლება მაგისთანა კითხვის მოცემა?

«მოლალატე,» წაიჩურჩულა ქოსტანციამ და გესლიანმა ღიმილმა დაუგრიხა პირის სახე; ამ სიცილში გამოიხატებოდა საფუძვლიანი საბუთი, რომელიც მოლალატის წინააღმდეგად მზად ჰქონდა.

მეორე დილით საუზმეზედ შემოვიდა მეგი და მასთან ეშინოდა ამდენი ხნის მალვის შემდეგ მათი ყურადღება არ მიექცია და ამ გვარი პირ-ფერობა ძლიერ აწუხებდა მას. საშინელი ფერი ჰქონდა და როგორც ციებიანი ისე აკანკალდა, ერიდებოდა მაულტრის, ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, განსაკუთრებით ქოსტანციასთან. ქოსტანცია კი მშვენიერს გუნებაზედ იყო, ყველას ალერსიანად და სიყვარულით ეპყრობოდა. საღილად მოელოდნენ პოლკოვნიკის მეგობრებს და ამის გამო ქოსტანცია ლამაზად მოირთო. შემდეგ დასწერა მოკლე ბარათი, მაგრამ ამ რამდენიმე სიტყვაში ბევრი რამ გამოიხატებოდა. შეუბრალებელი ქოსტანცია ცდილობდა ალარ დაეზოგა თავის მშვენიერი მოცილე. ბაათავა წერა და დაუძახა მოსამსახურეს:

— წაიღე ეს ბარათი და ისეთ ალაგას დადე მისტერ მაულტრის სტოლზედ, რომ როგორც შეავა ოთახში, მაშინვე შეამჩნიოს. შემდეგ წაიბუტბუტა: «აბა, ვნახოთ ახლა რას იზამს.»

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მშვენიერმა სადილმა ძალიან მოწყენილად ჩაიარა. ნასადილევს მეგის სთხოვეს ემღერა და ისიც იძულებული იყო აესრულებინა მათი თხოვნა, სტუმრები შეუწყვეტლად ემუსაიფებოდნენ, მაგრამ თვითონაც არ ესმოდა რა პასუხს აძლევდა. მის გულში მთელი ჯოჯოხეთი ტრიალებდა და ამ დროს კიდეც იჭვობდა გაქცევას. Არა, ის არ უნდა დამდგარიყო ამ საშიშარს გზაზედ და არ შეეწუხებინა პოლკოვნიკი, მაგრამ ერთი მაულტრის თვალების შეხედვა კმარიდა, რომ გაეფანტა ყოველივე დაბრკოლება და აესრულებინა იმის სურვილი. მეგიმ პირველად იგრძნო სიყვარული და მისი ნამცეცი გონება სრულიად ჩანთქმული იყო ამით. სირცხვილ-ნამუსს დასძლია გრძნობამ.

ᲚᲐᲛᲓᲔᲑᲝᲓᲐ. მეგი დალონებული მიჩერებოდა ბიძა-მისს, რომელიც უდარდელად ებაასებოდა სტუმრებს. ᲖᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ დროს გადახედა გამოსათხოვარის თვალებით და თან ფიქრობდა: რამდენიმე საათის შემდეგ მოვალ ისევ ბოდიშის მოსათხოვად.

ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ მკიარულად ელაპარაკებოდა სტუმრებს. მეგი გამოეხვია დიდ შალში და გასწია ნავთ-სადგურისაკენ. Ამ დროს ᲓᲜᲢᲝᲜᲘᲪ გაძვრა თავის ოთახისკენ, მოაგროვა სტოლიდგან, რაც საჭირო ქალალდები ჰქონდა, სხვათა შორის ბარათიც ნახა, და რადგან ფოჩტის ბეჭედი არ ჰქონდა და აღარც დრო იყო წაკითხვის, ჩაიდო ჯიბეში; შეუნიშნავად დააგდო სახლი და გაეშურა პოლკოვნიკის ᲓᲐᲘ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარტის მემკვიდრისაკენ; ისეთი სიცხე და დახშული სალამო იყო, რომ ეტყობოდა ავდარს აპირებდა. მეგიმ მიასწრო მაულტრის და როცა ის მიუახლოვდა, ქალმა პირ-ბადე აიხადა და მაულტრიმ შეამჩნია გასაოცარი ფერი და აღელვება.

საზოგადოთ, როგორც ყველა ქალიშვილი, მეგიც ფიქრობდა დიდებულს ქორწინებაზედ. მშვენიერი თეთრი ატლასის კაბა და ყვავილებით შემკული გრძლათ გადაშვებული ლეჩაქი, მუდამ თვალ წინ ეხატებოდა; წარჩინებულს სტუმრებს და გაჩაღებულს სახლს, პირველი ადგილი ეჭირა მის ოცნებაში. ოავის დღეში აზრათაც არ მოუვიდოდა, თუ ამ დიდ ნაბიჯს ცხოვრებისას გადადგამდა მარტოდ-მარტო საშინელს სიბნელეში.

— ჩემო ძვირფასო! შენ კიდეც მოგისწრია? მიაძახა დანტონმა.

ქალმა შიშით უკან დაიწია და წამოიღუღლუღა:

— მეშინია... ვერ ვბედავ გადავდგა ეს უცნაური ნაბიჯი. ბამოუტყდეთ ბიძიას; იმას ძალიან უყვარვარ და, რასაკვირველია, ჩემი ბედნიერებაც სურს.

— მეკი ხომ არ გაგიჟდი? ახლა უნდა დავბრუნდეთ? ოჰ, მე უბედური, მეგონა, გიყვარდით.

ეს სიტყვები ისეთის ხმით წარმოსთქვა, რომ თითქოს დიდი შეურაცხყოფა მიეყენებინოს. იმისათვის და ხელ-ახლად განფანტა მეკისზედ იქვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანტონმა შეიგნო მეგის სისუსტე და გაუშვირა ხელები.

— თქვენ, მართლა დაბრუნება გინდათ?

— არა, არა! ტირილით მიუგო ქალმა. გამოგყვებით, წამიყვანეთ სადაც გინდათ.

იქვე ნავი იყო მიბმული, წყნარად ჩასხდნენ შიგა და გაშორდნენ ნაპირს. ჯერ მთვარე არ ამოსულიყო და ცაც ისე შეიმოსა ღრუბლებით, რომ არც უნდა ჰქონოდათ მთვარიანი ღამის იმედი.

როგორც ბევრი ფიქრებით შეპყრობილნი, ისინი ძლიერ ცოტას ლაპარაკობდნენ. მაულტრი უფრო დამშვიდებული იყო, ვინემ მეგი. სამი მილის სიშორეზედ გამოჩნდა საგამონის მაიაკი.

შორიდგან ქუხილი ისმოდა და საიდგანღაც ზარების ხმა, რომელიც მეგის აშინებდა. ღრუბლით გაკრულს ცაზედ ორი თუ სამი ვარსკლავი ძლივს მობჟუტავდა და ისინიც თითქოს მიწყრებიანო, მეგის ეჩვენებოდა. შეშინებული მაულტრი ხშირად იხედებოდა უკან არავინ მომეწიოს, მაგრამ შიში ამაო იყო. მისი ნავი ერთად-ერთი მიცურავდა. მივიდნენ ნაპირზედ. დანტონმა მეგი გადმოსვა და ნავი მიაბა.

— მლვდელი უსათუოდ დიდი ხანია გვიცდის, რადგანაც დავიგვიანეთ. ნეტავი თუ შეტყობილი აქვსთ ბიჭ-ბოლეში ჩვენი გამოპარვა? ეკითხებოდა მეგის დანტონი.

მეგი ხმას არ იღებდა, მხოლოდ შეშინებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში ეკვრებოდა მას. ამ რიგად გაიარეს ვიწრო და თევზის სუნით აყროლებული ქუჩები და შევიდნენ ერთს ღარიბს სასტუმროში, რომელიც ზღვაზედ იყო გადამდგარი. უხეირო მოსამსახურე ქალმა შეიყვანა ი.ინი საზოგადო დარბაზში, სადაც იდგა რამდენიმე გაცვეთილი ჭილობის სკამი და მქრალად ანათებდა ერთი გამჭვარტლული ლამპა. მღვდელი ჯერ კიდე არ მისულიყო.

დარწმუნებული ვიყავ, რომ მღვდელი აქ გვიცდიდა კიდეც! უკმაყოფილოს სახით სთქვა დანტონმა.

საშინლად დაღალული მეგი დაეშო სკამზედ და გადიგდო პირის სახიდგან უალი. მაულტრი მოუთმენელობით ოთახში დადიოდა.

— რა უსვინიდისობაა, ამდენს ხანს რომ გვაცდევინებს? ნამეტურ მაშინ, როცა ჩვენ მდევნელს ვერიდებით. ბავიდა ათი წამი, კიდევ ათი და მღვდელი არსაიდ ჩნდა.

— რაღაც საშინელება უნდა შემთხვეოდეს! მოთმინებიდგან გამოსულმა დანტონმა დაიძახა და გავარდა გარეედ. რამდენიმე წამის შემდეგ ისევ შემობრუნდა.

— დასწყეველა ღმერთმა, მასპინძელი ამბობს, მეთევზე ვილაც კვდებაო, მღვდელი იქ წაიყვანესო და ჯერაც არ დაბრუნებულაო. ჩვენ მოთმინების მეტი არა დაგვრჩენია რა. იმედი ვიქონიოთ, რომ ვითომც ჯერ პოკოვნიკს არ შეუტყვია ჩვენი წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლა; მოუჯდა მეგის გვერდით, მაგრამ ისევ მალე წამოხტა.

— ამის მოთმენა კი აღარ შეიძლება, უნდა მოვსძებნო სადმე მღვდელი. ცოცხლები უფრო საზრუნველი არ არის, ვინემც მკვდარი? ხომ არ გეშინიათ მარტო რომ დარჩეთ აქ ცოტა ხანს?

— არა, უპასუხა მეგიმ, თუმცა მისი გული იტანჯებოდა, თითქოს საშინელს რასმე მოელოდაო.

— მე ამ საათში დავბრუნდები და თუნდა ძალად წამოთრევაც დამჭირდეს, მღვდელსაც მოვიყვან. მშვიდობით... ოჰ, არა, არა! რა საძაგელი სიტყვაა! «მშვიდობით!» მაკოცე შენ გენაცვალე, ნახვამდის.

მათი შეწეპებული ტუჩები ძლივს დაშორდნენ ერთმანერთს. მაულტრიმ კიდე ჰკითხა მჭმუნვარებით:

— დარწმუნებული ხართ, რომ არ შეგეშინდებათ?

— არ შემეშინდება, მტკიცედ მიუგო ქალმა.

მეგი მარტო დარჩა და ფანჯარას მივარდა, რომ თვალი ედევნა დანტონის თვითეულის ნაბიჯის და მიხვრა მოხვრისათვის. მაულტრიმ გასწია მღვდელთან; გაიარა თითქმის მესამედი გზა, რომ ცხვირ-სახოცი ამოიღო ოფლის მოსაწმენდად; ცხვირსახოცს ამოჰყვა ბარათი, რომელიც წაუკითხავად ჩაიდო ჯიბეშივე, დახედა თუ არა, მაშინვე იცნო, რომ ქოსტანციას ნაწერი იყო.

მწუხარებამ და ცნობის მოყვარეობამ აიტანანუ თუ ქოსტანციას ყველაფერი შეუტყვია? რად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერს ბარათს, როდესაც შეეძლო უკანასკნელ წამში თვითონ გადაელობა მათთვის გზა? პატარა დუქანში სანთელი ენთო, დანტონმა საჩქაროთ გაგლიჯა კონვერტი და სანთლის შუქზე წაიკითხა ბარათი, რომლის შინაარსი საუკუნოდ აშორებდა მეგის.

ათმა წამმა მალე გაიარა მეგისათვის; მეორე ათი წამიც სრულდებოდა; შიშმა აიტანა: პოლკოვნიკი მოვარდება გაბრაზებულიო და სანამ მაულტრი დაბრუნდებოდეს, ისევ წამიყვანს ბიჩ-ბოლეშიო; თვითოეული ნაბიჯი კიბეზედ ამომსვლელის ფულს უწუხებდა, მაგრამ პოლკოვნიკიც ისე არსად ჩნდა, როგორც დანტონი მღვდლითი; კარგად დაბნელდა, საშინელი ქარი გასწოდა ზღვის არე მარეს; ამდროს ერთი საშინლად დაელვა და გაანათა მეგის გაყვითლებული სახე; ელვას მოჰყვა ქუხილი, რომელმაც კინალამ არ დაანგრია სახლი; ქარი თან-და-თან, ძლიერდებოდა სად არის ნეტავი, დანტონ მაულტრი?

მეგი აი რა მდგომარეობაში იყო: იდგა სულგანაბული ფანჯარასთან; იმის ლამაზს პირის სახეს გადაკვროდა მამაკვდავის ფერი და გაყინული ხელები ულონოდ ჩამოეშო. ფანჯარას საშინელი წვიმა და ქარიშხალი სცემდა, თითქოს ჩანთქმას ემუქრებოდა ყველაფერს; ოთახს მალ-მალ ანათებდა ელვა, მაგრამ მეგის არაფერი ეს არ ესმოდა: მის თავში მხოლოდ დანტონ მაულტრის მოლოდინი ტრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამსახურემ რამოდენიმეჯერ დაარაკუნა კარებზედ, მაგრამ მეგის არა გაეგონა რა; შემდეგ პასუხის გაუცემლობის გამო მოსამსახურემ შემოაღო კარები და შემოვიდა.

— ხომ არ გეშინიათ მისს? ქალბატონმა მიბძანა, თქვენთან დარჩენა სანამ სერი დაბრუნდებოდეს.

არა, არ მეშინია, მიუგო მეგიმ, და გაისტუმრა დედა-კაცი.

ერთმა საათმა გაიარა; საშინელი ქარიშხალი ატყდა, დაჰკრა ათი საათი და დანტონ მაულტრი არსად ჩნდა. საფლავამდის არ დავიწყნია მეგის ეს საშინელი წამები, რომელნიც გაატარა დანტონის მოლოდინში, ბინძურს და მყრალს ოთახში. ძიდევ დააკაკუნეს კარებზედ:

— თქვენთან ბარათია, მოახსენა მოსამსახურემ. პატარა ბიჭმა მოიტანა, ცუდი ტაროსის გამო ცოტათ დაგვიანებია.

მეგიმ საჩქაროდ გამოართვა კარანდაშით დაწერილი ბარათი და გადაიკითხა:

«ჩემო საბრალო მეგი, მომიტევე თუ შესაძლებელია, ეცადეთ დამივიწყოთ. მე ვამჯობინე ჩემთვის, რომ აღარ მენახეთ. ღმერთმა ხომ იცის, რომ გაგიჟებით მიყვარხართ, მაგრამ ახლა ეს არის შევიტყვე ერთი ისეთი გარემოება, რომლის გამოც ჩვენი ქორწინება შეუძლებელია. მე აღარა მაქვს იმდენი სულგრძელება, რომ კიდე ვნახო თქვენი მშვენიერი სახე. დაბრუნდით ბიჩ-გოლეში, უამბეთ ბიძიას, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერში მე ვარ დამნაშავე და მოგიტევებს. ეხ-
დურების მე არ მეშინია, მაგრამ სახელის გატეხა
არ შემიძლია ავიტანო, იმიტომ რომ ჩემს წინაპართ
თავის დღეში არ სცოდნიათ, რას ნიშნავენ ეგ სიტ-
ყვები. პოლკოვნიკი დიდი დამნაშავეა თქვენთან...
მე ძალიან ვაძაგებ იმ საშინელის საიდუმლოს დაფარ-
ვისათვის, რომელიც ახლა შევიტყვე, ჩემო ძვირფასო,
მე დარწმუნებული ვარ შესახედავათ შეგეჩიზღებით
ამის შემდეგ და ღირსიცა ვარ, თუმცა გამოუთქმე-
ლად ვსწუხვარ, მაგრამ საუკუნოდ უნდა დავშორ-
დეთ ერთმანერთს. დანტონ მაულტრი.

მეგი გაშტერებული იდგა და ხელში ბარათს
ჭმუჭნიდა; მისი შინაარსი ნახევარიც არ გაეგებოდა.
ეს სიტყვები, «შევიტყვე ერთი გარემოება.» «საი-
დუმლო,» «გაუპატიურება,» იმასათვის გაუგებელი
იყო. მაგიერად დასაწყისი და დასასრული ძალიან
კარგად გაიგო. როცა დარწმუნდდა, რომ დანტონმა
დააგდო ისა მარტოკა, უცნობს სასტუმროში და ამი-
სანა საძაგელს ტაროსში, ერთი საშინელის ხმით
დაიკივლა და უგრძნობლად დაეცა.

როცა გრძნობაზედ მოვიდა, ის იწვა საშინელს
დახშულს ოთახში; თავს ადგა მოსამსახურე დედა-კაცი
და სახლის პატრონი ქალი, შეწუხებულის სახით.

— უკეთა ხართ ახლა? ჰკითხა სახლის პატრონ-
მა ქალმა. ნუ თუ ქუხილის ამნაირად შეგეშინდათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგი წამოიწია და ხელ-ახლად გაახსენდა საბედნელი შემთხვევა. ბარათი, ის ბარათი, რომელმაც შეატყობინა, რომ დანტონმა დაადგა, ის კიდევ ხელში ეჭირა და მწარეო წამოიძახა:

დიაღ; უკეთა ვარ!... თითქმის სულ კარგად... თუ ღმერთი გწამთ მარტო დამტოვეთ. მარტო დარჩა თუ არა, კიდევ გადაიკითხა ბარათი სიტყვა სიტყვით; შიშის ოფლმა დაასხა: რა გარემოება უნდა იყოს მათი ქორწინების დამშლელი? რა არის ისეთი საშინელი საიდუმლო, რომელიც მან არ იცის?. ბკუაზედ ხომ არ შემცდარა? ბანა მეგი არ იყო ერთად-ერთი მემკვიდრე, საყვარელი ძმისწული საუკეთესო კეთილ შობილის შთამამავლობის, პოლკოვნიკი დაიზარტისა? ბანა ჩვიდმეტი წლის იმის არსებობა უმანკო არ იყო? ბველა ამაებს ჰფარავდა საშინელი საიდუმლო, რომლის გამოკვლევას ახლა მეგი არ ფიქრობდა; იმის მოგონებაც საკმაო იყო, რომ დანტონ მაულტრიმ მიატოვა, მეგიმ მიიღო ღირსეული სასჯელი, სწორედ იმ დროს, როცა ფიქრობდა სრულს ბედნიერებაზედ. დანტონის მოგონებაზედ და ამ ფიქრზედ, რომ ამის შემდეგ ველარ ნახავს შეუბრალებელს, მშვენიერს სახეს დანტონისას, ხელ-ახლად გული შეუწუხდა და უგრძნობელად დაეგდო.

ბნელი ნისლი ჰფარამდა არე მარეს. რიჟრაჟმა მოატანა და როდესაც პატარა ფანჯარაში შამოიჭვრიტა სინათლემ, უეცრად შეეცვალა მეგის ფიქრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გრძნობა. აქნამდის მხოლოდ დანტონ მაულტრი უტრიალებდა თავში, ახლა კი თავის თავიც კაახსენდა, უეცრად წამოხტა და ჩაიხედა სარკეში, ღმერთო ჩემო, ნუ თუ ეს მეგის სახე? თვალები ჩაცვენილი ვარდის ფერი ტუჩები ჩაყვითლებული და მოგცეული; მკრთალს პირის სახეს აღარ აჩნდა იყმაწვილის კვალი, თითქოს ექვსი წელიწადი ტირილსა და ვაი ვაგლახში გაეტარებინოს. მშვენიერი ტანისამოსი, სულ ერთიანად შემოჭმუჭმნოდა და ახლა უწყობ-დედა-კაცს დამსგავსებოდა.

— ივან მომიკლა გული, ჩურჩულებდა თავის თავად, შემარცხვინა ჩემს ნათესავებსა და ნაცნობებში... დამაგდო გაუპატიურებული და შეწუხებული. ოჰ, განგებაო... განგებაო!... ადვილი მისატევებელი არ არის ჩემი დანაშაულობა, რომ სხვის საქმროს გამოვეკიდე ბიძა ჩემის სახლიდგან, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი მისატევებელია, რომ ჩემმა შემმაცდენელმა დამაგდო აქ ჯვარ დაუწერელად. თუმცა ჯერ არ ვიცი, რამ დაგვაშორა ერთმანერთს, მაგრამ ამასაც შევიტყობ უეჭველად. ეს კი ნამდვილია, თუ იმისაც ისე ვყვარებოდი, როგორც მე სულელს მიყვარდა, ვერაფერი დაგვაშორებდა ერთმანერთს. დანტონ მაულტრი! წამოიძახა კბილების კრაჭუნით და ხელი დამუჭა, თითქოს წინ დგომოდეს მას. დანტონ მაულტრი! მე წინათ გრძნობა მეუბნება, რომ როცა იქნება შევხვდებით ჩვენ ერთმანერთს, და აბა, მაშინ გამაგრდი თუ კაცი ხარ! როგორც შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავ ჩემთან შეუბრალებელი, მეც ისე ვიქცევი, როგორც შენ დამიშხამე და მომიწამლე გული, მეც ისე გადაგიხდი. ვფიცავ ზეცას და დედა მიწას, რომ ავასრულებ ამ აღთქმას

სახლის პატრონმა შემოუტანა საუზმე და ისეთი თვალით გადახედა, რომ მეგიმ იფიქრა: ამას როგორც ვატყობ, ჩემი ამბავი გაგებული უნდა ჰქონდესო. მთელი წლის განმავლობაში, მთელს ქალაქში სალაპარაკო საგნად გახდა საბრალო მეგი.

— ბაგიგონიათ თქვენ ჩემი გვარი? ჰკითხა ამაყად მეგიმ.

— არა, ის ყმაწვილი თქვენ რომ მოგყვათ, წუხელისაც იყო აქ, მაგრამ არა უთქვამს რა.

მეგიმ მედიდური შეხედულება მიიღო და განაგრძო.

— მე ვარ მისს დაიზარტი, ძმისწული პოლკოვნიკი დაიზარტისა, ბიჩ-ბოლედგან. მგონია ამ მხარეზედ ყველანი იცნობენ იმას და მე მსურს დავრჩე აქ, სანამ ბიძა ჩემი მოვიდოდეს. არავინა გავსთ, რომ ბარათი მიმიტანოს ბიჩ-ბოლეში?

— უკაცრავად, თქვენი ჭირიმე, მდაბლად თავის დაკვრით მიუგო მასპინძელმა, მე თქვენ არასოდეს არ მინახავხართ საგამონში. ერთი საათის შემდეგ ჩვენი ბიჭი გიახლებათ ბლეკ-ბავენში და ბიჩ-ბოლეშიაც გაივლის.

მეგიმ მოითხოვა საწერ-კალამი; საუზმისათვის, ხელი არ უხლია, იმას ეგონა ყელში გამრჩება ჭას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელი და დამახრჩობსო. დასწერა გულწრფელი აღსარება მამასავით მოყვარულს პოლკოვნიკთან. მისს ნორზისაგან არ მოელოდა მოტყვეებას, თორემ პოლკოვნიკისაგან კი იჭვი არა ჰქონდა. სხვაა შორის ბარათში ეეედრებოდა:

— «მომეშველე და წამიყვანე აქედგან! თუმცა ამოდენი სირცხვილი გადამხდა, მაგრამ იმდენი სიცოცხლე კიდევ მაქვს, რომ მარტო არ შემიძლია დავბრუნდე ბიჩ-ბოლეში, ბიძა ჩემო, ჩამოვარდი ქოსტანციასა და შენის გზა დაბნეულის შვილის შუა და მიმიღე ისევ შენს მფარველობაში! მე დანაშაული ვარ, მაგრამ საკმაოთაც დავისაჯე, მოდი და მომეშველე მალე. მიტოვებული ვარ უცხო სასტუმროში და თვითეული წამი შენს მოსვლამდის საუკუნე იქმნება ჩემთვის!

შეახვია დანტონ მაულტრის ბარათიც და ერთად დაბეჭდა, შემდეგ გადასცა პატარა ბიჭს და სთხოვა: მალე გადაეცი ბიჩ-ბოლეშიო. მერმეთ შებრუნდა ოთახში და მიუჯდა ბუხარს პოლკოვნიკის მომლოდინე.

მწუხარებაში გაიარა ამ დღემაც და პოლკოვნიკი არსად ჩნდა. მეგი იდგა ფანჯარასთან და გაშტერებული გაჰყურებდა გზას, სანამ ღამის გუშაგი არ ჩამოაწვა დედა მიწას.

— ის უეჭველად ავათ არის, ან და ჩემს საძებრათ თუ წავიდა სადმე, ამბობდა მეგი. შიშითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარებით გაგიტეხული, დარბოდა მთელი ღამე თავის ოთახში.

გავიდა მეორე დღეც, და პოლკოვნიკი კიდე არსად ჩანდა. გაყვითლებულმა მეგიმ, ტუჩების თრთოლით ჰკითხა მოსამსახურეს:

— დარწმუნებული ხარ, რომ ჩემს ბარათს უეჭველად მიიტანდა ბ-ჩ-ბოლეში?

— უეჭველად, ტოვმა სთქვა: მოსამსახურეს გადავეცი რომელმაც აღმითქვა ახლავე გადავსცემო.

გავიდა მეორე დღეც, არც ბიძია და არც არავინ გამოგზავნილი მისგან არ ჩანდა, რომ პოლკოვნიკისაგან მიტეკების და ბ-ჩ-ბოლეში დაბრუნების ნება მოეტანა. საღამოზედ სრულებით ლონე მიხდილი მეგი დაეშო ლოგინზედ.

— ღმერთო, მომეკი საუკუნო ძილი, თვალ დახუჭული ჩურჩულებდა იგი.

მართლაც ახლა მისთვის, სიკვდილი სანატრელი იყო; ულონობამ ჩაგდო ღრმა ძილში; განთიადისას უეცრად გამოეღვიძა და მაშინვე დაუძახა მოსამსახურეს.

— ბიძია, ხომ არ მოსულა წუხელის?

— არა, თანაგრძნობით მიუგო გოგომ.

— რა უბედურებაა! სწორედ არ ვიცი, რა ვიფიქრო! წამოილუღლუღა მეგიმ.

რაც უნდა უბედურებაში იყოს, კაცის სხეული მაინც საზრდოებას თხოულობს. მეგიმ მოითხოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაი, და შესჭამა ერთი ნაჭერი პური. ამ დღემაც ისე უქმად ჩაიარა, როგორც წასულებმა; საშინელი წინათ გრძნობა სტანჯავდა მეგის. იქმნება მართლა ბიძა მისი არ უპირებს მიტევებას. ის შეუბრალებელი რამ იყო, როდესაც პატიოსნების დარღვევას შეეხებოდა რამ, და აქ კიდე ჰოსტანციაც შეუკიდებდა ცეცხლს. ამ შემთხვევაში რაღა დარჩენოდა მეგის! დიალ, მაულტრის აღტაცებული სიყვარული ძვირად დაუჯდა მას.

ახლა კი სრულიად იმედი დაეკარგა, ოთხი დღე ტყვილად იცადა, ამ მდგომარეობაში ყოფნა აღარ შეეძლო, რადგანაც ბიძია აგრე გაჯავრებულია, უნდა ჩაეყლაპა სიმწარე სულის სიმდაბლისა და მიუწვეველად მისულიყო ბიჩ-ბოლეში, დაჩოქილი უნდა მოეთხოვა მისგან მოტოვება, მაგრამ საშინელი წინათ გრძნობა არ ასვენებდა, რომ ბიჩ-ბოლეში რაღაც უბედურება უნდა მომხდარიყოსო. იქმნება ბიძია მოკვდა, და ჰოსტანცია იმიტომ აღარ სცემს ხმას?

მისდა ბედათ, ქისა გავსებული გამოჰყვა; დაუძახა მასპინძელს და ანგარიში გაუწმინდა. შემდეგ წამოიხსნა შალი, ჩამოიფარა პირის სახეზედ უაული ჩაჯდა დამტვრეულს დელეჟანში, რომელიც ყოველ დღე ჩამოიყვანდა და გასწია ბიბ-ბოლესაკენ.

— ღმერთო შემიწყალე! ამისთანა ჩემს დღეში არა მინახავს რა; იძახდა სახლის პატრონი. მთელი სოფელი ლაპაკობს, რომ ვითომც ის კაცი ცოლიანი

ყოფილიყოს, მაგრამ ეს რა დასაჯერებელია! ყველ-
შემთხვევაში ქალი ძალიან სწუხს.

— საკოდავი, სიბრალულით წამოილაპარაკა
გოგომ.

— მემრეთ, რა ლამაზია! ტომი ამბობს, რომ
ის კაცი, რომელმაც ეგ მოიყვანა, იმ ღამესვე, იმ
საშინელს ტაროსში ბლეკ-ბავენში წავიდა და იქ-
დგან გასწია რკინის მატარებლითაო; ეტყობა საშინ-
ლად წაჩხუბულან.

ბულის კანკალით უახლოვდებოდა მეგი ბიჩ-
ბოლის არე-მარეს, ითვლიდა თვითოეულს მეთევზის
ქოხს, ტყეებს და ბალებს, რომლის შემდეგ მოელო-
და პოლკოვნიკის შეხვედრას. რას ეტყვის ის? ან
ქოსტანცია?? რაც უნდა ეთქვათ, მაინც არ შეედრე-
ბოდა იმ ტანჯვას, რომელიც გამოიარა ამ ოთხის
დღის განმავლობაში. დილეჟანსი გაჩერდა, მეგი
გადმოხტა და გაეშურა სახლისაკენ, გული თითქოს
ამოვარდნას ექადოდა. იმის წასვლის შემდეგ, გაიარა
ოთხმა დღემ და ეს კი ასე მალე ბრუნდება გაუპატიურე-
ბული და შერცხვენილი; პირ-ქვე დამხობილს უნდა
ეთხოვა ბიძიასათვის მომიტევეო და დაივიწყე რაც
მომივიდაო.

რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მეგის გუ-
ლი უფრო-და-უფრო უწუხდებოდა. ბარშემო ყველ-
გან სამარის სიჩუმე იყო, ფანჯრები დაეკეტნათ, არსაიდ
სულდგმული არ ჭაჭანებდა, მხოლოდ დერეფანში
იწვა ერთად-ერთი ქასტორი, მეტის-მეტის სიხარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით, რომ დაინახა თავის ახალგაზდა ქალბატონი, შეახტა და კინალამ წააქცია; მეგის თან უნდოდა მოეშორებინა და თან ღვარათ ცრემლი სდიოდა, ის იმითაც ბედნიერად რაცხდა თავის-თავს, რომ ძალლს მაინც გაეხარდა იმის დაბრუნება. ბაუბედავის ნაბიჯით ავიდა კიბეზედ და დაარაწკუნა ზარი; დიდი ხნის შემდეგ გამოვიდა დედა-კაცი; მეტის-მეტის მწუხარებით მოჩვენებას დამგვანებოდა საწყალი და მეგის დანახვაზედ შიშით წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო! ეს თქვენა ხართ, მისს მეგი!? ჩემო ძვირფასო, რას დამგვანებიხართ? თქვენი ქმარი სადღაა?

მეგი შევიდა წინა ოთახში და მკაცრის ხმით უპასუხა:

— მე ქმარი არა მყავს.

მოსამსახურემ შეშინებულის სახით შეხედა.

— მაგ სიტყვებით, რასაკვირველია, იმის თქმა არ გინდათ, რომ გაუთხოვარი და მარტო დაბრუნდით.

— მე არც ქმარი მყავს და მარტოც მოვედი. ბიძიას ნახვა მინდა, ავად არის განა? ოჰ, ღმერთო ჩემო! ნუ დამიმალავ, ვერტონ! მართალი მითხარი, ძლიერ ავად არის?

— ღმერთმა დაიფაროს, ავად სულაც არაა?

— მაშ, ჩემზედ ძალიან გაჯავრებულია?

— სწორედ გაჯავრებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგი გაუბედავის ნაბიჯით გაემართა საკითხავი ოთახისაკენ.

— სად არის ის? ან მისს ნორზი? წამიყვანე მათთან ჩქარა!

— ისინი აქ არიან, ჩემო საყვარელო ქალბატონო...

— არ არიან? მაშ პოლკოვნიკს ჩემი ბარათი არ მიულია? ახლა კი მივხვდი ყველაფერს.

— ბარათი კი მიიღო, მაგრამ რა უყვეს არ ვიცი; მე მინდოდა მეკითხნა მისს ნორზისათვის, თქვენი ამბავი: დაიწერეთ ჯვარი, თუ არა, მაგრამ გაჯავრებულმა მიბრძანა, შენ იმისთანა საქმეში, სადაც არაფერს გკითვენ ნუ ერევიო. ბანა არ გაგიგია, რა საქმე ჩაიდინა წუხელისო? რა თავზარი დაგვცა ყველასაო?

მეგის სული უკუბდებოდა და ძლივს ჰკითხა.

— არა, მიამბე ვერტომ! მე ვგრძნობ, რომ უსიამოვნო ამბავს მეტყვი რაღასაც.

— მართლაც, რომ უ'იამოვნოა: მისს ნორზი გათხოვდა!

მეგის თვალები დაუბნელდა.

— გათხოვდა? წამოიძა მან. დანტონ მაულტრი შეირთო, განა? ნუ თუ იმან დაბრუნება გაბედა? ქოსტანციამაც მიუტევა?

— არა, მი'ატერ მაულტრი იმის შემდეგ აღარავის უნახავს ბიჩ-ბოლეში. ქოსტანციამ ბიძა თქვენზედ დაიწერა ჯვარი და მაშინვე გასწიეს სამგზავროთ.

მეგი გულ-შემოყრილი დაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III.

როცა მეგი გონებედ მოვიდა, პოლკოვნიკის საკითხავს ოთახში იწვა და ვერტონი ღვინოს აწოდებდა.

— მე ძრიელ მოუფიქრებლად მოვიქეცი, ასე მოუმზადებლად არ უნდა მეთქვა თქვენთვის ის საშინელი ამბავი. მოსვით ცოტა ღვინო, გენაცვალე, გაგამაგრებს, ეუბნებოდა ვესტონი.

მეგიმ ჭიქა არ მიიკარა; ამ მოულოდნელმა შემთხვევამ თავ-ზარი დასცა.

— დაწვრილებით მიამბე, ჩემო ვესტონ, როგორ მოხდა ეს, ეხვეწებოდა მეგი.

ოჰ, ჩემო ანგელოზო, მწუხარებით მიუგო მოსამსაურემ, თუმცა პოლკოვნიკი გამოცდილი მხედარი ყოფილა და ქალების მახეც ხშირად აუცდენია, მაგრამ ამ ბოროტს ქალთან ვერაფერი მოახერხა. ჩემის ფიქრით, როგორც თქვენ წახვედით, მაშინვე გადაუწყვეტია პოლკოვნიკზედ ჯვარის დაწერა, ან და იქნება უფრო ადრეც... ვინ იცის! ბოძა თქვენი კარგი შესაფერია იმისათვის! ბანა ცოტა ყმაწვილი ქალები მიჰყვებიან ახლანდელს დროში ანგარიშით მოხუცებულებს? თქვენ კარგად იცით, რომ ის ყოველთვის კარგად იყო პოლკოვნიკთან და ამიტომ არ გასჭირებია იმის მიმბრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიალ, ვიცი, ვიცი, წამოიკრუტუნა ბებერმა.

— არ გაუვლია ერთს საათს, თქვენი წასვლის შემდეგ, მთელი ოჯახი ფეხზედ დადგა და შეიქნა თქვენი ძებნა. ყველა ამბობდა, რომ თქვენ და მაულტრი ერთად გიპარავთ. პოლკოვნიკს უნდოდა მაშინვე გამოგკიდებოდათ, მაგრამ მისს ნორჩმა არ გამოუშვა. ის მელა, ისა, ამბობდა, რომ მისტერ მაულტრის და თქვენ გიყვარდათ ერთმანერთი და იმიტომაც, ვითომც თქვენთვის შესწორია თავისუბ ედნიერებასტიროდა: საუკუნოდ დავიჩაგრეო, ჩემი გული ველარაფრით გაიხარებსო, მე არავის არ უყვარვარ დედამიწაზედაო... ამ სიტყვების შემდეგ პოლკოვნიკს უფრო მიეწონა ის და უთხრა: ერთი კაცი არის, რომელსაც უყვარხართ და საუკუნოთაც ეყვარებითო. საშინელი გაბრაზებული იყო თქვენზედ მისს ნორჩი და ამბობდა: თავის დღეში არ მიუტევებო და არც მაულტრისადმი შურის ძიება დაიძინებს ჩემშიო. წუხელის ყველა ეს მანქანება დაბოლავდა ქორწილით. პოლკოვნიკი ძლიერ მოწყენილი იყო, მაგრამ მაგივრად პოსტანცია იყო აღტაცებაში. დიალაც იქმნებოდა მხიარული,—ისეთი გამოჩენილი კაცი შეერთო ქმარად და მერმედ კიდევ იმის მოლოდინი, რომ მალე შეიქმნება მდიდარი ქვრივი!... არავისთვის არ უთქვამსთ სად მიდიან და არცა რა დაუბარებიათ, თქვენ რომ დაბრუნებულიყავით სად უნდა მოგეძებნათ ისინი. სულ პოსტანციას ბრალია, თორემ პოლკოვნიკი ასე არ მოიქცეოდა. ჩემის აზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით ძალად შეართვევინა თავი პოლკოვნიკს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოსვენება ალარ გვექნება ამ ოჯახში, რადგან ის იქმნება ამის შემდეგ უფროსი.

მეგი სიბრაზით კბილებს აკრაჭუნებდა. ქოსტანციამ კარგი ოინობა იხმარა ამის წინააღმდეგ; რალა სიბრალულს უნდა მოელოდეს ამის შემდეგ პოლკოვნიკისაგან, რომელსაც ამისთანა ცოლი ჰყავს. შიშის კანკალმა აიტანა, გადასწყვიტა: პოლკოვნიკის სიყვარულსაც მოვაკლდი და თავის შესაფარებელი დიდებული ბიჩ-ბოლეს სასახლეც დავკარგეო.

— არც ის იცი, ვესტონ, როდის დაბრუნდება პოლკოვნიკი? მწუხარებით ჰკითხა მეგიმ.

— არმ, არ ვიცი.

— მე აქ უნდა მოუცადო მოსვლამდის, უნდა მოველაპარაკო, როგორი იქმნება ჩემი მდგომარეობა ამ სახლში.

— მე რაც მომელის კარგად ვიცი, მოწყენილის სახით სთქვა ვესტონმა: მე და მისს ნორზი ერთად არ ვარგვართ.

მეგი შევიდა თავის ოთახში, ისეთს გუნებაზედ იყო, რომ თითქმის სტიროდა; ამ შემთხვევამ თითქოს დაავიწყდა დანტონ მაულტრის მოქმედება; ის გრძნობდა, რომ პოლკოვნიკის ჯვარის-წერა უბედურების მეტს არას მოუტანდა, რადგან ამ შემთხვევაში ქოსტანცია შურის ძიებით ხელმძღვანელობდა, რომ გაეგდო ულუკმა პურად ის ქალი, რომელმაც მოსტაცა მას დანტონ მაულტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანტონის ბარგი იმ დღესვე გაესტუმრეთ; მთელს სასახლეში ფანჯრები დახურული და ჩამობურული იყო, ალაყაფის კარებიც დაეკეტნათ, ასე რომ მეგი თავისუფალი იყო ცნობის მოყვარე მნახველებისაგან. როგორც აჩრდილი დადიოდა ბაღში თავის ერთგულის კასტორით; ხშირად შევიდოდა ხოლმე პოლკოვნიკის საკითხავს ოთახში, აიღებდა რასმე წიგნს საკითხავად, მაგრამ მალე გადაგდებდა და მიეცემოდა ღრმა ფიქრს.

ბავიდა ერთი კვირა. ერთს ღრუბლიან დღეში, სადილის შემდეგ, მეგი შევიდა ბაღში და დაჯდა დაბურულს ხის ქვეშ; იმას ეცვა სადად შეკერილი შავი კაბა, როგორც შეეფერებოდა მის ახლანდელს მდგომარეობას; კასტორი უწვა წინ და მეგი გულხელ დაკრეფილი მიეცა ღრმა ფიქრს:

სად უნდა იყოს ნეტავი ახლა მაულტრი? ნუ თუ იმ ბოროტს სრულებით დაავიწყდა მეგი? ოჰ! რა ძნელია უარის ყოფა იმისაგან, ვისაც ვეთაყვანებით, თუნდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ის მკვიდრად არ ადგას თავის დანიშნულებას! ძნელი გამოცდილება იყო მეგისათვის სიყვარული, რომელიც თითქმის ბრძენსაც კი შეურყევს ტვინს. უეცრად მეგის მოესმა ფეხის ხმა და კაბის შრიალი. მეგიმ მოიხედა და დაინახა მისი დაუძინებელი მტერი.

— კოსტანცია, წამოიძახა მეგიმ.

დაიზარტის მეუღლემ მოხდენილის ხელის ქნევით ჩამოაყენა მეგი. იმას ეცვა მშვენიერად შეკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი ნაცრის-ფერი სამგზავრო კაბა; მკრთალი პირის სახე ადრინდელს სიმშვიდეს გამოხატავდა, თვალებმა გაულიმა, როცა შენიშნა მეგის სახეზედ უცნაური სიყვითლე და დატანჯულობა.

— თუ ღმერთი გწამსო, პირ-ფეროობას თავი დაანებეთ, გულ-გრილად შენიშნა მან. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ გნახამდით და ამიტომ მოვედი მოსალაპარაკებლად.

— ბიძა ჩემი სადღაა? მე მინდა იმას მოველაპარაკო და არა თქვენ. თქვენ უცხო ხართ ჩემთვის. ის ჩემი მზრუნველია, იმას უყვარვარ მე, ან და უყვარდი, თუ ახლა თქვენის შერთვის შემდეგ არ შემიძულა.

— ჩემი მეუღლე არ მოსულა. მე მარტო ვარ. ის უარს ამბობს თქვენს ნახვაზედ. თქვენ ბოროტად მოიხმარეთ იმისი სიყვარული, რის გამოც მას ველარ ნახავთ თქვენს სიცოცხლეში, ვერც მოელაპარაკებით და ვერც დაესწრებით ხვალ ევროპაში მის წასვლის დროს.

— ევროპაში! საშინელის ხმით წამოიძახა მეგიმ. ქოსტანცია, ღვთის გულისათვის მითხარით, ნახა თუ არა ბიძიამ ჩემი ბარათი?

— დიახ, ნახა და მაშინვე დახია, მიუგო ქოსტანციამ ლიმილით. ბიძა თქვენი ამბობს: «იმან თვითონ ამოირჩია ეს გზა და როგორც უნდა ისე გაიაროს, მე ხელი დამიბანიაო, ვეცდები ჩემს სიცოცხლეში არ შევხვდე და არც შემხვდესო.»

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიძა ჩემმა სთქვა ეგ? ნუ თუ ეგ იმისი სიტყვებია, რომელსაც ისე უყვარდი? მაგას ვერ დავიჯერებ! იმას არ შეუძლია მის სიხლსა და ხორცს აგრე მკაცრად მოეპყრას.

მისტრის დაიზარტის ტუჩებზედ გადაირბინა შეუბრალებელმა ღიმილმა და უთხრა:

— თქვენ არაფერი უფლება არა გაქვსთ იმის გვარზედ და არც ერთის შთამამავლობისა ბრძანდებით; თქვენს ძარღვებში ერთი წვეთიც არ არის იმის სისხლი, დრო არის შეიტყოთ ყველაფერი.

მის ხმაში ისმოდა აღტაცება და სიხარული. მეგი, თითქოს ვერ მიხვდა ამ სიტყვებს, გაშტერებული მისჩერებოდა მის მტერს და ეკითხებოდა:

— კოსტანცია, რას ნიშნავს ეგ სიტყვები?

— ახლავე აგიხსნით, გესლიანის ღიმილით მიუგო მან. დიდი ხანია მას შემდეგ, რაც მე გავიგე ყველაფერი. პოლკოვნიკი, თუმცა კარგად არ შვრებოდა, მაგრამ ყველაფერს გიმალავდათ. ახლა მე გიამბობთ, კარგად გამიგონეთ. თქვენც კარგათ იცით, მე არასოდეს არ მყვარებიხართ, მაგრამ პოლკოვნიკის ბრძანებით იძულებული ვიყავი თავაზიანად მოგეპყრობოდით და მომეთმინა თქვენი ჩემთან ყოფნა. ჩემდა ბედათ, მომეტებული ნაწილი თქვენ სასწავლებელში იყავით და მეც ხშირად მივდიოდი ბიჩ-ბოლედგან ჩემს ნაცნობებში, ამის გამო არ შევტაკებივართ ერთმანერთს; შემდეგ მოვიდა დანტონ მაულტრი. (ამ მოლალატის ხსენებაზედ ხმა აუკან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალდა ქოსტანციას.) თქვენმა სილამაზემ გააგიჟა ის და მომტაცეთ. ხმას არ ვიღებდი თქვენსა და იმის მოქმედებაზედ, მაგრამ იცოდედ კი, რომ თქვენი განზრახვა მე ადრიდგანვე ვიცოდი. ბავიგონე თქვენი პირობის დასკვნა, შემეძლო შემეტყობინებინა პოლკოვნიკისათვის და დამეშალა თქვენი გაპარვა, მაგრამ არ ვისურვე, ვამჯობინე ბარათით გადამეცა ერთი საიდუმლო თქვენი აღტაცებულის საყვარლისათვის, დარწმუნებული ვიყავი გავიმარჯვებდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი განუსაზღვრელი სიყვარული თქვენდამი გაქრებოდა, იმ ბარათის წაკითხვისა თანავე; არ ვიცი რამ დაუშალა იმ ბარათის უფრო ადრე წაკითხვა, მაგრამ წაუკითხავს თუ არა, ჩემი მიზანი შესრულებულა: დაგაშორეთ დანტონ მაულტრის.

ქმაწვილი ქალი ისე დამშვიდებით და გულგრილად ლაპარაკობდა, რომ თითქოს ჩვეულებრივი რამ ყოფილიყოს. მეგის ხელები აუკანკალდა და წამოიძახა:

— მაშ, ეს თქვენ იყავით? მე ეს ადრე უნდა მცოდნოდა; ქოსტანცია, ამიხსენით ის გამოცანა: რა მიწერეთ დანტონ მაულტრის? უნდა შევიტყო... უნდა ვიცოდე... მაქვს უფლება, გამოგკითხოთ? მისტრის დაიზარტმა თავი დაუქნია და ღიმილით განაგრძო:

დიახ, თქვენ გაქვთ უფლება იცოდეთ. პოლკოვნიკის მოქმედება ამ შემთხვევაში, ჩემის აზრით, ძალიან სულელური იყო. იმას უნდოდა გაემხილა თქვენთვის, მხოლოდ მაშინ, როცა უკიდურესი საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლება მოითხოვდა. ბიმეორებთ, არა ვითარ ბ ფ-ლება არა გაქვსთ იმ გვარზედ, რომელსაც თქვენ ატარებთ. თექვსმეტი წლის განმავალობაში პოლ-კოვნიკი გზრდიდათ, თავის შესაფარებელი ალაგი მოგცათ თავის სახლში, საზოგადოებაში გამოჰყავდით და ისე გეპყრობოდათ, როგორც თავის საკუთარს ძმისწულს, თექვსმეტი წელიწადი შვილსავით განე-ბერიებდათ, თქვენთვის არა დაუზოგავს რა. თქვენ არა ხართ ის, რომლის სახელითაც ყველანი გიც-ნობდნენ. აი ეს უანბე მე მოკლეთ დანტონ მაულ-ტრის, მეტი არაფერი.

მეგი გაშტერებული იდგა და არ ესმოდა რა ხდებოდა მის გარეშემო. მისტრის დაიზარტი ჩამოჯ-და ჩრდილში, ნებიერად იქნევდა მარაოს და გა-ნაგრძო:

— რა საოცარი სიცხეა! მგონია, საშინელი გაწითლებული უნდა ვიყო! თქვენი გულისათვის პირის კანი გავიფუჭე ამ სიცხეში, მაგრამ დაუბრუნ-დეთ ისევ ჩვენი ბაასის საგანს: დანტონ მაულტრის, როგორც თქვენი ისე მამი-თქვენის გარემოებაც შე-ვატყობინე:

—მამი-ჩემისაც! საშინელის ხმით წამოიძახა მე-გიმ: მამა ჩემი ხომ დიდი ხანია მოკვდა!?

— ეგ ტყვილია, ეს პოლკოვნიკმა მოიგონა. მამა-თქვენი ცოცხალია და რამოდენათაც ვიცი, ძალიან კარგათაც არის.

ცოცხალია და კარგათაც არის!? ბ ი ე ო რ ა მეგიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიალ!

— სად არის მემრეთ?

— მაგას ნუ გამოკითხავთ, გირჩევნიათ.

— სად არის მეთქი? დაჟინებით ჰკითხავდა მეგი.

მისტრის დაიზარტმა მიიფარა სახეზედ მარაო და მიუკო:

— ჩარლტოუჟნის სატუსალოშია სამუდამოთ დამწყვდეული, ლამაზი ცოლის, დედა თქვენის მკვლელობისათვის; სახელათ ჰქვიან: ფილიპე ბარმინი, ლიმილით დაასრულა ქოსტანციამ

ჩამოვარდა სამარის მსკავსი სიჩუმე: მხოლოდ ფოთლების შრიალი ისმოდა. მეგიმ წაიღლო თმაში ხელი, დაიწია უკან რამოდენიმე ნაბიჯი და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— ქოსტანცია, ეგ არ იქნება, ეგ შეუძლებელია!

— ეგ ითეული ჩემი სიტყვა ჭეშმარიტია: თექვსმეტი წლის წინათ ფილიპე ბარმინს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით; უკანასკნელს წამში მიუტევეს და სასჯელი შეუცვალეს, სამუდამოთ დატუსალებით. ამ დროს, მისმა მეგობარმა პოლკოვნიკმა აგიკვანათ თქვენ გასაზრდელათ და გიწოდათ მის ძმისწულად.

მეგი უძრავად ისმენდა.

— ახლა თქვენ ცხადად ხედავთ, რატომ არ შეგირთოთ დანტონ მაულტრიმ, ალტაცებით განაგრძო ქოსტანციამ, რატომ გაიქცა თქვენგან, როგორც გადამდები სნეულებისაგან. ია სურვილი, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავიწყა ჩემთან მოცემული პირობა და პატიოსანი სიტყვა, არ ყოფილა ისეთი ძლიერი, რომ ეწინააღმდეგნა ჩემი განზრახვისათვის. მე სრულებით დაკმაყოფილებული ვარ: ვიშოვე მდიდარი, გამოჩენილი მეუღლე და მოგაკელით იმ კმაყოფილებას, რომელთაც ამდენი ხანი სარგებლობდით და რომელზედაც არავითარი უფლება არა გქონდათ.

— მე უნდა ვნახო პოლკოვნიკი, თავ-განწირულების დაჭენებით იმეორებდა მეგი.

— ეგ შეუძლებელია, აკი გითხარით, რომ ხვალ ევროპაში მიდის და დაიფიცა აღარ გნახოთ თავის სიცოცხლეში მეთქი; ქორწილის დამეს დახია ანდერძი, რომელიც თქვენს სასარგებლოდ იყო შედგენილი. ამის შემდეგ წილი აღარა გაქვსთ იმის საცხოვრებელში, ამიტომ მე ჩემს ცდას არ მოვაკლებ.

— ჩემი სიტყვები თქვენ არ გესმისთ. მე იმას მოწყალებას არა ვსთხოვ, მე მინდა მხოლოდ, მიამბოს იმ კაცის ამბავი, რომელსაც თქვენ მამა-ჩემს ეძახით.

— მოიძებნეთ სასამართლოს ნაწარმოებს ქალალდებში და იქიდგან შეიტყობთ დაწვრილებით.

მეგიმ დაჩოქა ყმაწვილი ქალის წინ და ხელების მტვრევით დაუწყო ხვეწნა:

ქოსტანცია, შამომხედეთ, დაჩოქილი ვარ თქვენს წინ, გევედრებით მომეცით ნება მოველაპარაკებიძა ჩემს, მომეცით ნება, მადლობა შევსწირო იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრუნველობისა და ალერსისათვის, რომელზედაც მე არა ვითარი უფლება არა მქონია, მომეცით ნება ერთი კიდევ შევხედო და უთხრა: «ლმერთი გადაგიხ-დისთ სამაგიეროს, რაც თქვენ ჩემთვის იზრუნეთ»; ამაზედ მეტს მე არაფერს ვთხოულობ, ამაზედ; საუ-კუნოდ გამოთხოვებაზედ ის უარს არ მეტყვის. ნუ გგონიათ, იმიტომ ჩამედინოს ეს საქმე, რომ დამ-ვიწყოდეს ჩემი მოვალეობა! თუ ახლა ალარ უყ-ვარვარ, ეს თქვენი ბრალია, ამ საქმეში მარტო თქვენ ხართ დამნაშავე.

კოსტანცია აქნამდის თავს იმაგრებდა, ახლა კი პირბადე ჩამოიხსნა. ისეთი ცივის სახის გამო-მეტყველებამ საშინელი სიძულილის შეხედულება მიიღო და საშინელის ცივის ხმით შესძახა:

— მე გეუბნებით, რომ თქვენს სიკოცხლეში ველარ ნახავთ იმას და ნურც ელით დანაშაულება მოგიტეოსთ; ყოველთვის და ყოველგან თქვენს შუა ვიქმნები მე. დანტონ მაულტრი იყო ერთად ერთი სულდგმული, რომელიც მე მიყვარდა და ის თქვენ მოიმტაცეთ; გახსოვდესთ, რომ თავ-განწირული დედა კაცისთანა საშიშარი არა არის რა დედა მიწაზედ; რომ შემეძლოს, ამაზედ მეტათ დასჯა, სიამოვნებით ავასრულებდი ამის შემდეგ თქვენ ბინა ალარა გაქ-ვთ ბიჩ-ბოლეში, ვეტონი და სხვა მოსამართლეები დღეს-ვე მიიღებენ თავიანთ ჯამაგირებს და სახლი დრომდის ცარიელი დარჩება. წაეთრიეთ სადაც გინდათ და იზრუნეთ დღიური ლუკმისათვის; ამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, ალარ გაბედოთ დაიზარტის გვარის ტარება; შეგიძლიათ იმ გვარით ისარგებლოთ, რომელიც ამ თექვსმეტი წლის წინათ ისე შეიმკო მამა თქვენმა. გაფრთხილებთ ჩემს შეხვედრაზედ, იმიტომ რომ ჩემთვის ძვირფასი სახიამოვნო იქნება შეგამთხვიოთ რაიმე უბედურება კიდევ.

მეგი წამოდგა; იმის გაქვავებულს სახეზედ გამოუქმელი სიძულვილი გამოიხატებოდა და დამშვიდებულის ხმით მიუგო:

— თქვენი გრძნობა დიდს პატივს გაძლევთ თქვენ და აგრეთვე თქვენ ხელს, ბატონო.

თქვენ შეგიწირავთ თავი კეთილი მიზნისათვის. და ტკბილი პოლკოვნიკის სიმდიდრით და იმ ბედნიერებით, რომელიც მოიპოვეთ ჩემის ვამოგდებისგამო. მე არ მეშინიან, არც თქვენი წყრომის და არც დევნის, რაც არ მიკავია, ამაზედ უარესს თავის დღეში ვერაფერს მიამთ. ბოველ შემთხვევაში ვეცდები, რომ არ შეგხვდეთ და არც დაეარჩები იმ სახლში, რომელიც თქვენ გეკუთვნისთ მე ახლავე მივდივარ აქედან მშვიდობით!

ამაკად შეიქცია ზურგი და გასწია სახლისკენ. სიდუმლო, რომლის გაგებასაც ისე ცდილობდა შეიტყო; მაგრამ ისე გაშფოთებული იყო, რომ ალარ გაეგებოდა-რა. ბარეტიანებული ბეიდა სახლში, სადაც იმდენი უფლება ჰქონდა აქანამდის. ბარებში შეეკვეთა ვეტონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, მისს, ნახეთ ის? ჰკითხა მან. ჩვენ გვიბრ-ძანა, დღესვე ავიკრათ ჩვენი ბარგი და სახლებიც უნდა დაკეტონ. როგორც შევხედე, რომ კარეტიდ-გან გამოჰყო თავი, მაშინვე მივხვდი, კარგი ამბავი არ მოჰქონდა. სად დაუტოვებია პოლკოვნიკი? მო-ხუცებული კაცი, რომ ახალგაზდა ქალს შეირთავს იმ კაცზედ სულელი არა დაიბადება-რა დედა-მი-წაზედ.

ი'იც ვნახე და კიდეც მივდივარ ახლავე აქედგან, ათრთოლებულის ხმით მიუგო მეგიმ.

— სად მიდიხართ? ასეთი ყმაწვილი, მშვენიე-რი და ფუფუნებაში გაზრდილი, ასე უპატრონოდ სად უნდა წახვიდეთ?

— სად მივდივარ? ეგ მე თვითონაც არ ვიცი, მაგრამ სულ ერთია, სადაც არ უნდა წავიდე, მკაცრად მიუგო მეგიმ და შევარდა თავის ოთახში,

მას უნდა დაეტოვებია ის ალაგი, სადაც ამ ორი კვირა წინად განცხრომით ცხოვრებდა, რო-გორც დედოფალი. ლამდებოდა, მაშასადამე, დაგვია-ნება აღარ შეიძლებოდა. თავის ძვირფასს სამკაულსა და ფულს გარდა, რომელიც ქისაში ჰქონდა, ბევ-რის წაღება არაფრის შეეძლო; ძვიფასი ტანისამოსი და ბედნიერს დღეებზედ პოლკოვნიკისაგან ნაჩუქრები უნდა დაეტოვებია. რაც მიუცილებელი საჭირო იყო გახვია ფუთაში, წამოიხსა შალი, დაიხურა შლიაპა და ჩამოიფარა პირზედ სქელი უალი. იმდენი ღონე არ ჰქონდა, რომ გამოთხოვებოდა ვესტონს და ჩუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მად ჩამოიპარა კიბეზედ. იქნება კოსტანცია ყოფილა-ჯდებდა კიდეც, რომ შეეხედნა, თუ როგორ მიდის. წყნარად გაალო ბანის კარები და გაწია ბაღის მოაჯირისაკენ; ის თავის-თავს გრძნობდა სამოთხიდგან გამოგდებულად, მავნებელი სურვილისათვის.

(გაგრძელება შემდეგში.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან იამა, რადგანაც მას არ უნდოდა ამ ჟამად დაეკმაყოფილებია ფაბიოლას სურვილი და იმის ქრისტეს სარწმუნოებაზედ მოქცევისათვის უფრო მოხერხებულს წამს მოელოდა, რომ მაშინ უფრო მაღალი და კეთილი გრძნობა აღეძრა მის გულში, და ეს მუსაიფი არ გამხდარიყო მისთვის მუდამ შემაწუხებელის უბრალო მოწყენილობისაგან გასართობ საშვულებად.

თქვენ თვითონ შენიშნავდით, მკითხველებო, რომ ფაბიოლა და სირა ახლა სრულებით სხვა განწყობილებაში არიან, ვინემ იყვნენ ჩვენის მოთხრობის დასაწყისში. მაშინ ფაბიოლა სირას პირუტყვად, პატარა შინაურ ცხოველად ჰრაცხდა და ერთის გონიერის სიტყვისათვის ხანჯლის შემოკვრით დასაჯა; ახლა კი ამაყი ფაბიოლა იმდენად შეიცვალა, რომ მისდა შეუნიშნავად, თავისი მოახლის გულ-მოდგინე მოწაფედ შეიქმნა. სირა ფაბიოლას ჭკუასა და გრძნობაზედ დღითი-დღე უფრო მეტს გავლენას პოულობდა. თან-და-თან იმათი სხვა-და-სხვა ხარისხების მიუხედავად ამ ორმა, ერთმა მდიდარმა პატრიციის ქალმა და მეორემ—ღარიბმა მოახლემ, ორმა ჭკუიანმა, ორმა ლამაზმა, ორმა განათლებულმა, მაგრამ სხვა-და-სხვა ნაირად (ერთი იყო განათლებული, როგორც კერპთ-თაყვანის მცემელი და მეორე—როგორც ქრისტიანი) შეიყვარეს ერთმანერთი. ყოველთვის ერთმანერთს ეუბნებოდნენ თავიანთ აზრებს და ფაბიოლამ თავისდა შეუნიშნავად ბევრი რამ მიი-

ლო სირასაგან და ბევრი აზრები შეითვისა. ბანმარ-ტოებული და მყუდრო ცხოვრება ძლიერ დაეხმარა ამათ დაახლოვებას. ისინი მთელს დილას ერთად ატარებდნენ, ყოველთვის ბაასობდნენ და ჰსჯიდნენ. ფაბიოლა დიდის გულ-მოდგინებით ყურს უგდებდა და სირა კი ბევრს ლაპარაკობდა.

ერთხელ ისინი, ჩვეულებისამებრ, ფაბიოლას საწოლ ოთახში შევიდნენ; ფაბიოლა თავის მდიდრულს სკამ-ლოგინზედ წამოწვა და სირა ფეხთით დაუჯდა.

— შენ ყოველ-დღე ცოტ-ცოტად ძლიერ ბევრს ახალსა და კარგს ცნობებს მაძლევ, უთხრა ფაბიოლამ.—თან-და-თან უფრო ვგრძნობ ამას. აბა, ხომ კარგად გამიგია გუშინდელი შენი სიტყვები? შენ ამბობდი, რომ არის ყოვლად ძლიერი, ყოვლად მოწყალე და უკვდავი ღმერთი, რომელმაც ჩვენ შეგვქმნა და როდესაც მის სახელზედ ვიკრიბებით, ის ჩვენ შორის და ჩვენში იმყოფებაო. შენ ჰსთქვი, რომ ის ყოველივე ჩვენს საიდუმლო განზრახვას ჰხედავს, ყოველისფერი იცის და უტევებს ცოდვებს იმათ, ვინც თავის ცუდს აზრებსა და საქმეებს შეინანებს, რომ იმის გულ-მოწყალეობა ისეთივე დაუსრულებელია, როგორც ის თვითონ, რომ მის წინ ჩვენ ყველანი სწორნი ვართ, რომ ის ჩვენი, ყველასი, მამა არის,—და ჩვენ ყველანი იმისი შვილები ვართ. მახსოვს, რომ იმ დღესაც თითქმის ესევე მითხარი, როდესაც მე... როდესაც მე შენ... მაპატიე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო საყვარელო, სირა, მაპატივე სასტიკი საქციელი! როგორ მოხდა, რომ მაშინ ისე ცუდად, ისე დაუზოგველად მოგეპაყრი! ბანა შეგიძლია მაპატივო!

ფაბიოლამ ძლიერის მღელვარებით ხელი წაავლო სირას ხელზედ და ვედრების თვალით შესჩერებოდა თვალებში.

— ბთხოვ, იმას ნულარ გაიხსენებ! უთხრა სირამ.—მეტად ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ერთმანერთთან დაახლოების პირველი მიზეზი იყო შენი უეცარი გულის მოსვლა. ჰგავს, ყოვლად მოწყალე ღმერთს ნდომებია შენი მოქცევა და რომ დაახლოვებოდი მას და ცხონებულიყავი, ამისათვის ჩემისთანა ულირსი გამოურჩევია ულირს იარაღად.

— მაგრამ შენი ღმერთი ყოფილა იმდენად ძლიერი, იმდენად მოწყალე და კეთილი, რომ მე არ ვიცი, როგორ უნდა ვსცე თაყვანი, ან რა მსხვერპლს თხოულობს.

— იმისათვის საუკეთესო მსხვერპლი არის სული შემუსვრილი და გული დამდაბლებული, უთხრა სირამ.

— თქვენ უთუოდ გექმნებათ წიგნი, რომელიც თქვენს სარწმუნოებას გასწავლისთ და თქვენს ღმერთზედ ამბობს რასმე. ბაქვსთ ამისთანა წიგნი? მინდა წავიკითხო.

— მაგისთანა წიგნი გვაქვს. ეს სწავლა თვითონ ძემან ღვთისამ გვიანდერძა; ამ სალმრთო წიგნს ჩვენ სახარებას ვეძახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძე ღვთისაო! წამოიძახა ფაბიოლამ ალბნელები მიიფარა აღგზნებულს პირის სახეზედ.—ოხ, სირა! სირა!... რას ამბობ?... ნუ თუ შენ... თავი დამანებე... ისეთი რამ გამაგონე, მეტი აღარა ვარ... ნუ თუ შენ, სირა...

ფაბიოლამ სიტყვა ველარ დაასრულა. ია ადგა და, მღელვარებისაგან ათრთოლებული, ოთახიდგან გავიდა. იმ იჭვმა, რომ სირა ქრისტიანიაო, თავ-ზარი დასცა. ბაეგონა, რომ ქრისტიანები ღმერთსა და მის ძეს სცემენ თაყვანსო; მაგრამ მეორეს მხრით იმდენი საოცარი ამბები ეთქვათ ამისთვის ქრისტიანებზედ, ისეთი საშინელი ბრალ-დება და ცილისწამება გაეგონა, ისე შესჩვეოდა სიძულვილს ქრისტიანებისას, რომელთაც სრულიად ვერ სცნობდა, რომ სირას ქრისტიანობის იჭვმა პირველ წამში შიშის თავ-ზარი დასცა. როგორ? ეს ჭკუიანი, კეთილი და წმინდა ქალიშვილი, რომელმაც ამისი გული შეიპყრა თავისის კეთილ-მოქმედებით და მაღალი გრძნობებით, ქრისტიანი ჰყოფილა!... მაშ ქრისტიანები იმისთანები არა ჰყოფილან, როგორც მათზედ ლაპარაკობდნენ და ჰფიქრობდნენ; მაშ ისინი კეთილი და წმინდა კაცები ყოფილან, და თუ ისინი ამისთანები მისგან არიან, რომ ქრისტე ჰსწამთ, მაშინ... მაგრამ ამ დროს ფაბიოლას ამაყობით დაბნელებული ჭკუა უკუდგა. ბანა პატრიციის ქალმა, ამაყის რომაელის მოქალაქის ქალიშვილმა უნდა თავის მოახლე—ქრისტიანთან იმუსაიფოს, მისგან ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლოს რამე, დაემორჩილოს მას, დაუჯეროს?!... არა, ეს შეუძლებელია! დიდი ხანი იყო, რაც ფაბიოლას თავისი ღმერთები აღარ ჰსწამდა, ჰსურდა ეწამებინა ერთი, მოწყალე და ყოველგან მყოფი ღმერთი; გაიხსენა, რომ სოკრატსაც ესვე ღმერთი ჰსწამდა და უხილავს ეძახოდა მას, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა გაქრისტიანებას! ფაბიოლამ მთელი დღე აშფოთებით გაატარა და ძლიერ ჰსცდილობდა დაემშვიდებინა თავისი მღელვარება და დაეძლია შიში.

XI.

მეორე დღეს, ფაბიოლას ჰსურდა გართობილიყო რითმე და თავის შიშსა და მღელვარებას როგორმე დამალოდა, ამისთვის წავიდა ერთი თავისი მდიდარი მეზობლის, ხრამატოსის სანახავად. ეს ხრამატოსი უწინ პრეფექტად იყო, მერე ქრისტიანობა მიიღო, სამსახურიდგან გამოვიდა და დაესახლა თავის საზაფხულო სახლში, სადაც მასთან მოსული, სებასტიანესაგან ახლად მოქცეული ქრისტიანებიც დააყენა; სხვათა შორის მასთან ჰსცხოვრობდა ყველასაგან პატივ-ცემული მღვდელი პოლიკარპეც, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ახლად მოქცეულის ქრისტიანებისათვის სარწმუნოების დოლმატების ქადაგება და იმათში ზნეობის გამტკიცება. ფაბიოლამ, როგორც სხვა კერპთ-თაყვანის მცემლებმაც, არ იცოდა, თუ სახელდობ რას შვრებოდნენ ხრამატოსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში, მაგრამ ბევრი სხვა-და-სხვა ამბავი გაეგოთ სახლის პატრონის ახირებულს ცხოვრებაზედ. ამბობდნენ, რომ მასთან მოვიდნენ ძლიერ ბევრი სტუმრები, რომელთაც რომის მაღალ საზოგადოებაში ვერ იცნობდნენ და რომ იმათი მოსელისთვის არავითარი ლხინი და შექცევა არ ყოფილა სახლშიო; რომ ხრამატოსმა ყველა თავისი მონები გაანთავისუფლა, მაგრამ ბევრი მათგანი ისევ მასთან დარჩენილა სასამსახურად; რომ ყველა სტუმრები ერთმანერთში, როგორც ჰსჩანს, ახლო ნაცნობები და მეგობრები უნდა იყვნენო. ეველა ამ ხმებმა ფაბიოლას ცნობის მოყვარეობა აღუძრა. ქალი ძლიერ მოხარული იყო, რომ მოხუცი ხრამატოსი ბოვშობიდგანვე იცნობდა მას და უყვარდა და ეს შემთხვევას აძლევდა თვითონ წასულიყო მის სანახავად, რომ თავის თვალით დარწმუნებულიყო, ეს რა ახალი, პლატონის რესპუბლიკის მსგავსი წყობილება დაუწესებიათ მოხუცს თავის სახლში.

ფაბიოლა დილით ადრე წავიდა სახლიდგან; ძლიერ უბრალო ეტლში ორი ცხენი ჰყვანდა შებმული. გზა საუცხოვო იყო: წინა დღის წვიმას მიწა მოენამა; წვიმის წვეთები ფართე, წითელ ფურცლებზედ და ერთის ხიდგან მეორეზედ გადახლართულს მცენარეების სხვა-და-სხვა ფერ ყვავილებზედ ბრწყინავდნენ ალმასსავით. ოტა ხანს უკან, ფაბიოლამ მიაწია დაფნის ბუჩქებით დაფარულს გორაკამდის. ამ ბუჩქებს შორის მაღლად აღმოჩიდულიყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალალ-მალალი ლია მწვანე ვერხვები და მუქი მწვანე კვიპაროსები; მათი ჩრდილი ეფინებოდა სახლის თეთრს კედლებს. როცა ფაბიოლა ალიაფის-კარებში შეეიდა, მაშინვე გაკვირვებით შენიშნა, რომ სახლის კედლების ყველა ბაქნები ცარიელები იყვნენ; დიდი ხანი არ გასულიყო მას აქეთ, რომ იმ ბაქნებს მათი ლმერთების გამოსახატველი საუცხოო ანდრიანტები აშვენებდა.

ხრამატოსი თუმცა ავად იყო ნიკრისის ქარებით, მაგრამ მაინც გამოვიდა ფაბიოლას შეხვედრებლად, მხიარულად მიესალმა და ჰკითხა, რა ამბავი მოგდის მამისგანო, რომელიც, თუ ხმებს რამ დაეჯერება, აზიაში უნდა წასულიყოსო. ფაბიოლას არ იამა ეს ამბავი, რადგანაც ამაზედ არა გაეგონა რა და საწყენად დაურჩა, რომ მამა-მისის ამბავი საკუთარს შვილზედ უფრო გარეშე კაცებმა იციან. ხრამატოსმა რომ წყენა შენიშნა, უთხრა: სწორედ ჭორი იქმნებაო და სთხოვა ბაღში გავიარ-გამოვიაროთო. წავიდნენ ბაღში. ფაბიოლამ შენიშნა, რომ ეს ბაღი მშვენიერად მოვლილი იყო, უხვად იყო სხვა-და-სხვა საუცხოო ყვავილები, მაგრამ არც ერთი ანდრიანტი კი აღარსადა სჩნდა. როცა მივიდნენ მღვიმესთან, რომლიდგან გამოსდინარებდა წყარო და რომელიც ნიმფებით და წარმართების სხვა-და-სხვა ლმერთების ანდრიანტებით შემკული იყო წინათ, ფაბიოლამ დაინახა, რომ არც აქ დარჩენილა არც ერთი ანდრიანტი. მღვიმე იყო გაცრცვილი და ცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიელი და რალაც ნოტიო ორმოს უფრო ჰგავდა. ფაბიოლამ მეტი ველარ მოითმინა და უთხრა:

— რა ქინს მოუვლია შენთვის, რომ გაგიტანინებია ყველა ანდრიანტები, შენის სახლის საუკეთესო სამკაული რომ იყო?

— რა სასარგებლო იყო ის ანდრიანტები, შვილო? უთხრა მშვიდად მოხუცმა.

— მაგაზედ კი ვერ დაგეთანხმები. ყოველგან კი არ უნდა ეძებდეს კაცი მარტო სარგებლობას. მშვენიერი რამ მით არის სასარგებლო, რომ მშვენიერია. რა უყავ იმ საუცხოვო ხელოვნების ნაწარმოები?

— ის ლმერთები დაილუპნენ მჭედლების რკინის ჩაქუჩებს ქვეშ, უპასუხა ღიმილით მოხუცმა;— სულ ლუკმა-ლუკმა დაამსხვრიეს.

ფაბიოლა გაოცებული იდგა, ხელოვნების საუცხოვო ნაწარმოების ჩაქუჩით დამტვრევა ბარბაროსობად მიაჩნდა მას. ეს ჩვენც ასე მიგვაჩნია ჩვენს დროში. ფაბიოლაც თავისი შეხედულობით და ჩვენც ჩვენით მართალი ვიქმნებით; მაგრამ პირველი ქრისტიანები სულ სხვანაირ მდგომარეობაში იყვნენ და იმათ უნდა მიუტევოთ ანდრიანტების და საზოგადოდ წარმართობის ყველა სახსოვრების გაქრობის სურვილი. იუნონის, ვენერის და იუპიტერის ანდრიანტები ჩვენ მხოლოდ ძველის ხელოვნების მშვენიერს ნაწარმოებს წარმოგვიდგენენ. შევტრფიალებთ მათზედ გამოყვანილს მშვენიერს სახეს, სიკეკლუცით, მორცხვობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან დიდებულობით სავსე პოზას, და თითქოს თი-ლისმით მარმარილოზედ გადმოყვანილს სიცოცხლეს და ეს ყველა მხოლოდ ხელოვნება არის. მაგრამ ქრისტიანები, მცხოვრებნი იმ წარმართებს შორის, რომელნიც ანდრიანტებს ისე როდი უყურებდნენ, როგორც ხელოვნების ნაწარმოებს, თაყვანს ჰსცემდნენ, როგორც თავიანთ ღმერთებს, და ამასთანავე ქრისტიანებსაც აიძულებდნენ, რომ მათაც თაყვანი ეცათ, ანდრიანტებში ჰხედავდნენ მხოლოდ კერპებსა და ღვთის გმობას და რადგანაც მხოლოდ ერთს ჭეშმარიტ-ღმერთს აღიარებდნენ, ამისათვის ვენერის, იუპიტერის და იუნონის სახეებს ამტვრევდნენ, როგორც კერპებს. ამ სასტიკის ბრძოლის დროს კაცს თითქმის ყოველთვის ავიწყდება ხელოვნება და მისი ნაწარმოები. რომლისამე მქანდაკებელის ხელოვნებაზედ ფიქრის დრო აღარ იყო; პრინციპისათვის, რწმუნებისათვის და სარწმუნოებისათვის ჰბრძოდნენ, ყოველის ქრისტიანის სიცოცხლე იყო საშიშარს მდგომარეობაში. ხრამატოსს არ შეეძლო ფაბიოლასათვის ყოველისფერი აეხსნა; მხოლოდ სანახევროდ მართალს ეუბნებოდა და საზოგადო ლაპარაკით იშორებდა თავიდგან.

— სწორედ ნამდვილი ბარბაროსი შექმნილხარ, უთხრა ბოლოს ფაბიოლამ გაკვირვებით და წყენით.— რით შეგიძლია ამისთანა საოცარს მოქმედებისათვის ბოდიში მოიხადო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოვხუცდი, შვილო, და ჭკუა მომემატა. დავრწმუნდი, რომ უფალი იუპიტერი და იმისი მეუღლე იუნონა არას დროს არ ყოფილან და თუნდ რომ ყოფილიყვნენ, მაინც იმისთანავე ღმერთები ყოფილან, როგორც მე და შენ.—მაშინ საუმჯობესოდ მივიჩნიე თავიდგან მომეშორებინა ამ ღმერთების გამოხატულება.

— იუნონა და იუპიტერი მეც არა მრწამს, უთხრა ფაბიოლამ,—მაგრამ ანდრიანტებს კი შევინახავ ყოველთვის, როგორც კარგს ხელოვნების ნაწარმოებს.

— დიაღ, თუ რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმათი შენახვა, როგორც მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებისა; მაგრამ როცა კაცს აიძულებენ, რომ იმათ ღმერთსავის თაყვანი სცენ, როდესაც მოითხოვენ, მსხვერპლის შეწირვას და მათს პატივის ცემას, მაშინ კი სულ სხვაა.

— თუ მაგრეა, მაშ რათ არ გაყიდე ესინი?

— რომ სხვებს ეცათ მათთვის თაყვანი, როგორც ღმერთებისათვის? არა, ამას მე დანაშაულობად ჩავსთვლიდი.

— მაშ შენს სახლს რათ ეძახიან ახლაც ანდრიანტების სასახლეს? (AD STATUAS) დაუჟინა ფაბიოლამ.

— მინდა ახლა სახელიც გამოვუცვალო და დავარქვა ბზის სასახლე (AD PALMAS).

— საუკეთესო სახელია! უთხრა ფაბიოლამ.

ძალს არ ესმოდა ხრამატოსის სიტყვები, მარტო ქრისტიანებისათვის გასაგები. ქრისტიანები სიკვდილის დროს, ჩვეულებრივ, ბზას იჭერდნენ ხოლმე ხელში და აქამდისაც დარჩენილან ეს სიტყვები: მ ა ს მ ო წ ა მ ე ო ბ ი ს ბ ზ ა ე ლ ი რ ს ა ო. ხრამატოსის სახლი შეიქმნა ქრისტიანების სადგომად, ყველანი ევედრებოდნენ ღმერთს: მოგვეცი ძალა და მხნეობა მივეგებოთ სიკვდილს უშიშრად და უკანასკნელს ჟამს შენს სახელს მტკიცედ აღვიარებდეთო. აი ამისათვის ჰსურდა ხრამატოსს თავის სახლისათვის ბზის სასახლის დარქმევა. ხრამატოსი და ფაბიოლა ბაღში, მოშორებულს ადგილს, პატარა ხის სკამზედ ჩამოსხდნენ. ფაბიოლამ უთხრა:

— იცი, ხრამატოს, რომ შენს სახლზედ ძლიერ ახირებული ხმები დაჰყარეს?

— მართლა? რა ხმები? ჰკითხა ხრამატოსმა.

— ამბობენ, ვითომც შენთან ბევრი, ყველასაგან უცნობი კაცები სცხოვრებდნენ, ვითომც შენ სხვას არავის ღებულობდე, ფილოსოფოსურად სცხოვრებდე და შენს სახლში პლატონის რესპუბლიკის მსგავსი რალაც წყობილება დაგეარსებინოს.

— მერე რა ვუყოთ? ეგ ყველაფერი ჩემთვის ძლიერ სასიამოვნოა, უპასუხა ხრამატოსმა.

— მოიცა, ჯერ კიდევ ყველაფერი რიდი მითქვამს! ამბობენ, ვითომც თქვენ იკლებდეთ საჭმელს და ყოველ გვარს მხიარულებას, ვითომც კიდეც იმშევდეთ თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა? მაშ საზოგადოება ჩვენისაებრ იქცევა თავს... საკვირველია! სანამ ჩემს სახლში მუდამ ლხინი იყო, სადილები და ვახშმები კეთდებოდა, სანამ აქ კეკლუცი ქალები და კაცები იკრიბებოდნენ, მუზიკა, სიმღერები და ხმაურობა მთელი ღამეობით ძილს არ აძლევდნენ მეზობლებს, ჩემზედ არავინ არრას ლაპარაკობდა; ახლა კი, როცა მე ვსცხოვრებ მყუდროდ, მშვიდად და განმარტოებულად, ჩემთან დაახლოვებულს მყუდრო და მშვიდის კაცების პატარა წრეში, მაშინ მეზობლებმა დაიწყეს ჩემზედ ლაპარაკი! სწორედ, საკვირველი საქმეა!

— არა, მაინც მითხარი, როგორ ჰსცხოვრებთ? ჰკითხა ფაბიოლამ.

— მთელს დღეს ვატარებთ სწავლაში და მუშაობაში და ვსცდილობთ ჩვენში გავიხსნათ ადამიანის საუკეთესო ოვისებანი. დილით ისე ადრე ვდგებით, რომ საათს ვერც კი დაგისახელებ, რადგანაც მეშინია შენ არ შეგეშინდეს და ჩვენი სჯულის რიგს ვასრულებთ; ამას შემდეგ ყველანი საქმეს მივყობთ ხელს: ზოგი ჰკითხულობს, ზოგი ჰსწერს, და ზოგი ბაღში, ან სახლში მუშაობს. დანიშნულს საათზედ ისევ ვიკრიბებით და ვკითხულობთ იმ წიგნებს, რომელნიც ჭკუას გვინათლებს და გულს გვილმობიერებს, ან ყურს ვუგდებთ იმათ სწავლას, რომელთაც ჩვენი ხელმძღვანელობა უკისრნიათ. ვსჭამთ მარტო ხილს, თევზსა და მწვანილს, ხორცის ჭამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი თავი დავანებეთ, მაგრამ, გარწმუნებ, ამის გამო, უფრო დალვრემილნი როდი ვართ!

— მეგონა, პიფაგორისაგან დაწესებული ჩვეულება მოდაში ალარ არის თქო! მაგრამ ცუდი რამ უკარგოდ არ იქმნება, და ამ გვარის ცხოვრებით დიდ-ძალ ფულს მოუყრით თავს.

— არა მგონია; ჩვენ გარდავსწყვიტეთ, რომ საზამთროდ ყველა ლარიბებს ტანისამოსი და საჩრ მოვუმზადოთ, ასე რომ მთელს უბანში არავის არ აწუხებდეს არც შიმშილი და არც სიცივე. ჩვენი ფულები სულ ამ გვარებზედ იხარჯება.

— უნდა გამოვტყდე, რომ ეს სულ-გრძელობაც არის და ახალი აზრიც! უთხრა ფაბიოლამ.— მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ კი, რომ სასაცილოდ აგიღონ, ან ლანძღვა დაგიწყონ. თქვენ ზედ ილაპარაკებენ... დიალ, იტყვიან, რომ ყველაფერი... რომ...

— რას იტყვიან? მითხარი, ჰკითხა ხრამატოსმა.

— ნუ გაწყრები, გეთაყვა, მე შენი წყენინება კი არა, მხოლოდ შენი გაფრთხილება მინდა. ვიცი, რომ თქვენზედ კიდეც ამბობენ, რომ თქვენ... ქრისტიანები ხართ. გარწმუნებ, რომ ამაზედ ძლიერ გავჯავრდი და გულ-მხურვალედ გამოგესარჩლე.

ხრამატოსმა გაიღიმა.

— რისთვის სჯავრობდი, შვილო?

— ამისთვის რომ შენ გიცნობ, აგრეთვე ვიცნობ შენთან მოსულს ტიბურციუსს, ზოიას და ნიკოსტრატეს და დარწმუნებული ვარ, თქვენ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხართ იმ კაცების მსგავსი, რომელნიც... რომელნიც... ჰო, რომელნიც ათას ნაირ დანაშაულობას სჩადიან და მეტად ბოროტები, სასტიკები და სულ-მოკლეები არიან!

— წაგიკითხავს კი ერთი მაინც ქრისტიანული წიგნი? ჰკითხა ხრამატოსმა,—იცნობ კი ერთს ქრისტიანს მაინც? იცი, რას ასწავლის ასე ყველასაგან მოძულებულსა და ცილის-წამებით დევნილს ქრისტიანებს მათი სჯული?

— რასაკვირველია, არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე! წამოიძახა ფაბიოლამ რალაც ახირებულის სიანჩხლით, თითქოს ეშინოდა, რომ არ შეეტყო ისეთი რამ, რისაც წინააღმდეგობა არ შეეძლო. მაგდენი მოთმინება არა მაქვს და არც მინდა ვიცოდე, თუ რა ჰსწამთ აღმოსავლეთიდგან მოყვანილს მონებს. ამას გარდა, ყველამ იცის, რომ ქრისტიანები ცუდი კაცები არიან. ამის გამო ისინი ყველასა ჰსძულს.

— ვინ ყველას? ჰკითხა ხრამატოსმა.

— ყველას, სულ-ყველას! მიუგო ფაბიოლამ სიცხარით.

— დიალ, ყველას! ბაიმეორა ხრამატოსმა, ყველას იმათ, რომელთაც არც-ერთი ქრისტიანი თვალით არ უნახავსთ, არ გაუცვნიათ, არც-ერთი იმათი წიგნი არ წაუკითხავსთ და ამის მაგიერად გაუგონიათ თავის სასარგებლოდ ქრისტიანებზედ გავრცელებული ავი კაცების ნალაპარაკევი ჭორები. ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანის ტომი საოცარს ჯოგსა ჰგავს! დაუმატა მოხუცმა მწუხარებით.— იმათში ცოტაა მოაზრე კაცები; და ისეთები, რომელთაც საქმის გასჯის შემდეგ სხვების სწავლება შეეძლოთ, კიდევ უფრო ცოტანი არიან. ია სხვები კი ან ყველაფერზედ გულ-გრილები არიან, ან სულელები, ან უმეცრები და ამის გამო რაც უფრო სულელური ხმა იქმნება დაყრილი, მით უფრო სიამოვნებით ისმენენ და ცილის-წამებას უფრო მალე დაიჯერებენ, ვინემ ჭეშმარიტებას. ავი და ბოროტი კაცები დაიყვირებენ რასმე, ჯოგი იმეორებს მათ ყვირილს; და აი ეს არის უმეტესობის ხმა! ბანა კაცმა ამ ხმას პატივი უნდა ჰსცეს! არა! პატიოსანი და ჭკუიანი კაცი არ აჰყვება ხალხის ყვირილს და ხალხს არ გაეკიდება უკან! მაგრამ ამისთანები ძლიერ ცოტანი არიან! და ამ გვარს კაცებშიაც რამდენია ისეთი, რომელთაც კარგად იციან, რა არის ჭეშმარიტება, მაგრამ ეშინიათ უმეცარის უმეტესობის ყვირილისა და ვერ ჰბედავენ თქმას.

ფაბიოლა ხმა ამოუღებლად უსმენდა; მოხუცის სიტყვებში მწუხარება ისმოდა. ხრამატოსი გაჩუმდა და ჩაფიქრდა.

— მაპატივე, რომ აგაღელვე და ახლა სხვა რაზედმე ვილაპარაკოთ, უთხრა ფაბიოლამ.— შენთან, სხვათა შორის, საქმეზედაც მოვედი: მინდოდა შემეტყო, ხომ არავინ მიდის რომს? მინდა მამას ბარათი მივსწერო; ძლიერ მეწყინება, რომ ბზიაში წასვლამდის ვერა ვნახო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სწორედ ძალიან კარგს დროს მოხვედი, უპასუხა ხრამატოსმა. დღეს ერთი ყმაწვილი-კაცი მიდის რომს. ჩემს ბიბლიოთეკაში შედი და მამა-შენთან წერილი დასწერე. წერილი დაუყონებლივ მიუვა.

ისინი შევიდნენ დიდს ზალაში, სადაც წიგნებით სავსე ყუთები ეწყო. შუა ზალაში ერთი დიდი სტოლი იდგა, სტოლთან იჯდა ყმაწვილი-კაცი და რაღასაც ჰსწერდა; როცა ქალი დაინახა ქალალდები შეჰხვია და წამოდგა.

— ტორკვატოს, უთხრა მას ხრამატოსმა,—ამ ყმაწვილ-ქალს ჰსურს წერილი გაუგზავნოს თავის მამას რომში.

— ძლიერ მოხარული ვარ, რომ შემიძლია კეთილ-შობილის ფაბიოლას მონდობილების შესრულება და კეთილ-შობილ ფაბიუსთან მისვლა.

— განა შენ იცნობ ფაბიოლასა და მამა-მისს? წამოიძახა ხრამატოსმა გაკვირვებით.

— კეთილ-შობილის ფაბიუსის ხელქვეითად ვმსახურებდი აზიაში, მიუგო ტორკვატოსმა,—ჩემმა ავად-მყოფობამ მიმატოვებინა ის თანამდებობა.

სტოლზედ რამდენიმე ფურცელი ქალალდი ეწყო, მოხუცმა აიღო ერთი იმათგანი და ფაბიოლას წინ დასდვა. აგრეთვე მიართვა საწერელი და ლელწმის კალამიც. ფაბიოლამ საჩქაროდ დაჰსწერა რამდენიმე სტრიქონი; შემდეგ დაკეცა, აბრეშუმის ძაფი შემოახვია და დაბეჭდა ბეჭდით, რომელიც ყოველგან დაჰქონდა თავისის ოქრომკედითა და აბრეშუმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერადებით მოქარგულის ქისით. ფაბიოლას ჰსურდა ყმაწვილი-კაცი როდესმე დაეჯილდოებინა ამ საჰსახურისათვის და ამისათვის აიღო მეორე ფურცელი ქალალდი, ყმაწვილ-კაცს ჰკითხა სახელი და სადგომი ალაგი, დასწერა და სარტყელში ჩაირჭო. საუზმის გათავების შემდეგ, ქალი სახლის პატრონს გამოეთხოვა და შენიშნა, რომ მოხუცი მამობრივის სიყვარულით უყურებდა მას, თუმც ამ სიყვარულში მწუხარების გრძნობა გამოსჭვირდა. ფაბიოლა რომ მიდიოდა, მოხუცმა უკან მისძახა: „მშვიდობით, შვილო! კურთხეულ იყავ, როცა შეუდგები იმ გზას, რომელიც ჯერ არ იცი!“ ფაბიოლას გული აუჩჩვილდა და ჩაფიქრდა; ეს სიტყვები ეჩვენა გამოცანად. ფიქრისაგან ის გამოაფხიზლა ტორკვატოსის ხმამ, რომელმაც ეტლი შეაჩერებინა ალაყაფის კარებთან.

— მოგიტევე, რომ გავბედე შენი შეჩერება! ბნებავს, რომ შენი წერილი, რაც შეიძლება, ჩქარა მიუვიდეს მამა-შენს? ჰკითხა ტორკვატოსმა.

— დიალ, დიალ, რასაკვირველია! უპასუხა ფაბიოლამ.

— მაშ, შენი სურვილის ასრულება ჩემთვის ძნელი იქმნება, რადგან ქვეითად მივდივარ.

— ფაბიოლამ ცხენების საქირავებლად ფული შეაძლია; ტორკვატოსმა მაშინვე გამოართვა ფული თავ-შეუპატიჟებლად და შეუკრთომლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბიოლას მიცემული ფული არა თუ მარტო-
რომამდის მისასვლელად, ტორკვატოსის სამსახური-
სათვის დასაჯილდოებლათაც საკმაო იყო. ქალმა მისცა
თავისი ოქროებით გატენილი ქისა. ტორკვატოსმა
ისეთის სიხარულით გამოართვა, რომ ფაბიოლას არ
მოეწონა და იფიქრა: ეს ყმაწვილი ხრამატოსისთანა
კაცის მეგობრობის ღირსი არ არისო. «თუ ყველა
იმისი მეგობრები ამისთანები არიანო, ჰფიქრობდა
ფაბიოლა,—მაშ ისინი ჰსცარცვენ გულ-კეთილ მო-
ხუცს და კეთილ-მოქმედ კაცებად აჩვენებენ თავს
და ატყუილებენო.» ამ ფიქრის შემდეგ სარტყლიდ-
ან ქაღალდი გამოიღო, რომ მამა-მისთან წერილის
წამღები კაცის სახელი გაეხსენებინა და როცა ხსნი-
და, მეორე გვერდზედ დაინახა რამდენიმე, სრულიად
უკნობის ხელით დაწერილი სტრიქონი: «გეტყვი
თქვენ: გიყვარდესთ მტერნი თქვენნი, ლოცავდეთ
მაწყევართა თქვენთა, იყვნეთ კეთილის-მყოფელ
მოძულეთა თქვენთა და ილოცდეთ შეურაცხ-მყო-
ფელთა და მდევნელთა თქვენთათვის და იქმნებით
ძენი ზეციერისა მამისა თქვენისა, რამეთუ იგი უბრძა-
ნებს მზეს ბოროტთა და კეთილთა ერთ-გვარად გა-
ნათლებას და წვიმას გზავნის ღირსთა და უღირსთა-
თვის».

ფაბიოლას გაკვირვებას სამზღვარი აღარ ჰქონ-
და; ის არ უჯეროდა თავის თვალებს. წარმართე-
ბის აზრით, ყოველს კაცს შეეძლო შურის ძიება და
კანონიერადაც მიაჩნდათ; წარმართებს შურის-ძიების

ლმერთებიც ჰყვანდათ, ჰყავდათ ავრეთვე ბოროტების ღმერთებიც და მსხვერპლებს ჰსწირავდნენ მათ. ფაბიოლას უყვარდა ფილოსოფოსების თხზულებების კითხვა, იმათ დაწერილს წიგნებში ბევრს ჰკუიანურს, კარგსა და ღრმა აზრებს ჰპოულობდა, მაგრამ ამ გვარი კი ჯერ არას დროს არა წაეკითხა რა. ეა რა ნაირი წესია, ჰფიქრობდა ის,—ეს ან უმაღლესი დიდება უნდა იყოს და ან მეტის-მეტი სულის სიმდაბლე! მტრების სიყვარულია! ვისაც ჰსძულხარ, მისთვის სიკეთე ჰქმენო! რამდენი სიყვარული უნდა იყოს კაცის გულში და რა დიდი სულ-გრძელობაა მისთვის საჭირო, რომ ასე გულ-წრფელად იმოქმედოს! და თუ ამას ფარისევლობით შვრებიან, ეს კი მეტის-მეტი სულის სიმდაბლე არის. ზანა არიან ქვეყანაზედ იმისთანა კაცები, რომელთაც შეეძლოსთ წყენინებისა და სიავის პატივება და მათ სამაგიეროდ სიკეთით გადახდა? სად არიან ისინი? ვინ არიან? სირას ვკითხავ, ხომ არ იცნობს იმათ, ან ხომ არა გაუგონია-რა მათზედ... და ეს რომ... შესაძლებელი არ არის!... არა, უმჯობესია, სირას არა ვუთხრა-რა; ის მეტად აღტაცებული რამ არის და მეც საშინლად მაშფოთებს, მე კი ვგრძნობ, რომ ჩემთვის მოსვენებაა საჭირო. რალაც აღელვებული ვარ; რიღასიც მეშინია, რალაც მსურს! ყოველთვის ამ გვარი ლაპარაკი და ამ გვარი ამბები თან-და-თან უფრო ცუდ გუნებაზედ მაყენებენ. არ მინდა ეს ქალალდი... დაე ამან სხვები ააშფოთოს—მე მოსვენება მინდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფაბიოლამ გადააგდო გზაზედ ის ქალალდი, ხელში რომ ეჭირა.

— ბაჩერდი, გაჩერდი! დაუყვირა მან უეცრად, ვითომ შეშინებით, მედროშკეს.—ჩამოჩტი და აიღე ეი ის ქალალდი, რომელიც უეცრად გამივარდა ხელიდგან.

მედროშკემ აიღო ქალალდი და მიართვა; ქალმა გამოართვა, ფრთხილად დაკეცა და ისევ სარტყელში ჩაირჭო. ასე ცოდვილობდა საბრალო, იჭვნეულობით და ჭეშმარიტების შეტყობის სურვილით შეპყრობილი ფაბიოლა. მკთოლვარე სხივი ჭეშმარიტებისა აწინებდა საბრალოს და ის ხშირად თავზარ-დაცემით უკუნიქცეოდა. მაგრამ ცოტა-ხანს იქით გულ-გამობრუნებული ისევ წინ მირბოდა,—მას ჰკლავდა წყურვილი განეცადა ჭეშმარიტება, განებრწყინვებინა გონება და გამოსულიყო იმ ზნეობითის არარაობისაგან და სიცხლ-გამშრობის ურწმუნოებისაგან, რომელიც მას აგრე სტანჯავდა.

XII.

მეორე დღეს, დილით, ჯორის ტომრებს ჰკიდებდნენ; ტორკვატოსი რომის ქალაქში მიემგზავრებოდა. ქველა იმ სახლში მცხოვრებლებმა და თვითონ ხრამატოსმაც ალაყაფის კარებამდის გააცილეს მგზავრი და მეგობრულად, ალერსიანად გამოეთხოვენ. ზოგიერთებმა ფულებიც მისცეს, მისი სიღარიბე რომ იცოდნენ. მლვდელმა პოლიკარპემ განზედ გაიხმო და თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლიანი სთხოვდა:—შენს თავს ყური უგდეო მეგობრების გამორჩევაში ფრთხილად იყავ, ქალაქის ათას გვარ მაცდურებას ნუ გაჰყვები, დიდს ლხინებსა და მეჯლიშებს ერიდე, შენს ძალასა და ღონეზედ ნამეტანს იმედს ნუ იქონიებ და ამით ნუ იტრაბახებ და ღმერთს ეეედრე, რომ მამაცობაში და ღვთის სიყვარულში განგამტკიცოს. ის გულ-დაგულ არიგებდა ყმაწვილ—კაცს, რადგანაც მას მომეტებულს თავ-ქარიანობას, თავ-მომწონეობას და ყოველისფერს მოქმედებაში სხვების გადაჭარბების სურვილს ატყობდა.

— ამ უკანასკნელს დღეებშიდ, უთხრა მღვდელმა,—ჩვენ შეგნიშნეთ, რომ მოწყენილი იყავი, ჩვენი უბრალო, შრომის მოყვარული ცხოვრება არ გაკმაყოფილებდა.

ტორკვატოსს გული მოულბა, მღვდლის წინ დაიჩოქა, ნანობდა და ლოცვა-კურთხევას სთხოვდა. შემდეგ ყველას გამოეთხოვა, ჯორზედ შეჯდა და ნელა წავიდა შარა გზისაკენ იმ ხეივნით, რომელიც ამ აგარიდგან მიდიოდა. პატივ-ცემული და გულ-კეთილი მოხუცი დიდ-ხანს, სანამ ყმაწვილი თვალიდგან არ მიეფარა, ადევნებდა თვალს, თითქოს ძლიერ მოყვარული მამა საყვარელს შვილს აცილებსო.

ტორკვატოსს დიდ-ხანს როდი უფიქრნია მღვდლის დარიგებაზედ. მალე შეეცვალა სულის მდგომარეობა და სხვა-და-სხვა ფიქრებს მიეცა. წარმოიდგინა, ვითომც რომში კიდეც მივიდა; აი წარმოუდგნენ ხალხით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსე ნაცნობი ქუჩები; აი, აბანოები, სადაც ბევრი მხიარული და ხმოვანი საზოგადოება იკრიბება; აი, სტოლი, რომელზედაც კამათობას თამაშობენ. ტორკვარტოსს მოქრისტიანებამდის მეტად უყვარდა კამათობა და ძალიან ენანებოდა და გაუჭირდა ამ სათამაშოსაგან ხელის აღება. ახლა სტოლს გარშემო მსხდომს მოთამაშეებს რომ წარმოიდგენდა, თუმცა თვითონ კი ალარ აპირებდა თამაშს, მაგრამ მაინც ეხალისებოდა იმისი ნახვა, რითაც დროს გატარება მას დიდ-ხანს უყვარდა და წინ-და-წინვე სიამოვნებდა სხვების თამაშის თვალის დევნებით... არა, ტორკვატოსი თავის-თავს არ უღალატებს, ის ქრისტიანია და წარმართებივით ბევრს ღვინოს არ დალევს, არც მდიდრულს მეჯლიშებს დაესწრება და არც კამათობას ითამაშებს!... მკტიცედ ემახსოვრება მამა პოლიკარპეს დარიგება...

ფონდს რომ მივიდა ტორკვატოს, ჯორი დაასვენა და თვითონ წავიდა კასიანესთან, რომელთანაც ხრამატოსისაგან ჰქონდა გამოტანებული გასაცნობელი წერილი. კასიანეს შკოლის მასწავლებლობაზედ ხელი აეღო და აგარაზედ სცხოვრებდა; ტორკვატოსი ძმურად მიიღო და თავის უბრალო სადილზედ მიიპატიჟა. კასიანე ძმად სახავდა ყოველს ქრისტიანს, ამიტომ დაწვრილებით უამბო ტორკვატოსს თავისის უწინდელობა და ახლანდელის ცხოვრების, თავის გაქრისტიანების და მომავალში თავისი იმედების ამბავი. შემდეგ დაუმატა:—რამდენიმე ყვაწვილის მობარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამპირდნენ საზაფხულოდ და იმათს გაქრისტიანებენ ვეცდები ყოველის ღონისძიებითო. «რამდენი ფულის აღება შეიძლება, ეს რომ გაამხილოს კაცმა!» იფიქრა ტორკვატოსმა, მაგრამ საჩქაროდ დაიხშო გულში ეს ბოროტი აზრები. კასიანეს რომ ვამოეთხოვა, ტორკვატოსმა კარგი ტანისამოსი იყიდა, კაი ცხენი იქირავა, რომ ფაბიოლას წერილი უფრო მალე მიეტანა და რომის ქალაქისაკენ გასწია, თავის ჯორი კი ფონდს დასტოვა.

რომში რომ მივიდა, ტანისამოსი გამოიცვალა და მაშინვე ფაბიუსსთან წავიდა; ქალიშვილის წერილი მიართვა, ყველა კითხვებზედ რიგიანი პასუხი მისცა, და ფაბიუსმა სთხოვა საღამოს ვახშმად ჩემთან მოდიო. ფაბიუსის სახლიდგან ის წავიდა თავის შესაფერი სადგომის მოსაძებნად. ფაბიოლას და ქრისტიანების წყალობით ჯიბეები სავსე ჰქონდა და შეეძლო სიამოვნებით ეცხოვრა და ფულის გამოლევაზედ არ ედარდა. ტიტოსის აბანოდგან სახლში მიმავალმა ტორკვატოსმა გზაზედ გაიგონა ორის, საყდრის კარებთან მდგომის კაცის მუსაიფი.

— დიაღ, გარწმუნებ, რომ ეს სწორედ ნამდვილია. ნიკომიდიაში ხალხი აჯანყებულა და ქრისტიანების ეკკლესია დაუწვავსთ. ეს ამბავი თვითონ იმპერატორისაგან გაიგონა მამა-ჩემმა.

— რაში მოჰგონებიათ იმ უგნურებს სასახლის მახლობლად საყდრის აშენება? ბანა წინ-და-წინვე ვერ ჰხედავდნენ, რომ ამ გვარი მეზობლობა, ადრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნებოდათუ გვიან, ააშფოთებდა თავისის სარწმუ-ნოების მოყვარულს ხალხს და რომ ეს ხალხი დას ჯიდა ყველას, ვინც კი მისს სარწმუნოებას არ აღიარებს!

— ეს ქრისტიანები მეტად უტვინოები არიან! არ შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, თუ სადამდის მიაწევს მათი კადნიერობა. უნდა იმალებოდნენ და მადლობელი იყვნენ, თუ მთავრობა მათ ყურადღებას არ აქცევს; ის კი არა და როგორც დევნულობა მისუსტდება, მაშინვე მოჰყვებიან თავიანთის საყდრების ხელ-ახლავ შენებას! ამბობენ, მალე დაიწყებენო იმათ წინააღმდეგ მკაცრის ლონისძიების ხმარებას. მე ძლიერ მოხარული ვიქმნები, მაშინ შეიძლება შესანიშნავი ადგილი ჩაიგდოს კაცმა ხელში და გამდიდრდეს კიდეც.

— მაშ კარგი, პირობა შევკრათ: თუ ჩვენ ორს ერთად მოგვიხდეს მდიდარი ქრისტიანის დაჭერა, იმისი საცხოვრებელი შუაზედ გავიყოთ; და თუ ერთ-ერთმა ჩვენგანმა მეორის დაუხმარებლად დაიჭიროს, იმ შემთხვევაში, იმ მეორეს არ ექმნეს არა ვითარი ნება საცხოვრებელის გაყოფაზედ.

— თანახმა ვარ, მიუგო მეორემ.

ამ დროს მათთან ფაბიუსი მივიდა და ალერსიანად მიესალმა.

— რასა იქ, ფულვიუს? ჰკითხა მან.—დიდი-ხანია ალარ მინახავხარ; ამ სალამოს ვახშმად ჩემი ნაც-

ნობები იკრიბებიან ჩემთან, არა გსურს შენ ამ-ხვიდე, აგრეთვე შენც ქორვინი?

— მომიტევე, ბატონო, უთხრა ფულვიუსმა,— სხვაგან ვარ დაპატიჟებული.

— სკრუობ! უპასუხა ფაბიუსმა;—ახლა ქალაქი დაცარიელებულია, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ; სად უნდა იყო დაპატიჟებული? ბანა ჩემს სახლში მოსვლა უსიამოვნოდ მიგაჩნია? შენ და სებასტიანე რომ ერთად იყავით ერთხელ ჩემთან, მასუკან ალარ მინახავხარ. ხომ არ წაჩხუბებულხართ? ან რამე ჯადოქრობას ხომ არ შეუპყრიხარ? უფრო უბრალოდ გეტყვი: მე ვფიქრობ, რომ შენ ჩემი ახალ-გაზდა ნათესავი ქალი, აგნესა, მოგწონს.

ფულვიუსმა გაკვირვებით შეხედა მას.

— მერე რაო, თუგინდ მაგრეც იყოს! უპასუხა მან.—მაგრამ მე ძლიერ კარგად შევნიშნე, რომ ეგ შენს ქალი-შვილს არ ესიამოვნება.

— არა, არა! ჩემი ფაბიოლა ფილოსოფოსია და მაგისთანებზედ სულაც არა ჰფიქრობს. მე დიდად მოხარული ვიქმნებოდი, რომ მას თავისი წიგნები მიეტოვებინა და თავის დაბინავებაზედ ეფიქრნა გულდამჯდარად; სხვების ხელის შეშლას ეს ემჯობინებოდა. მე კი მგონია, რომ აგნესა სულ უმოწყალო თვალით როდი გიყურებს.

— რათა გგონია მაგრე? ცქვიტად ჰკითხა ფულვიუსმა.

— ამიტომ რომ ლამაზი დამდიდარი ხარ. ამაზე წინად გაკვრით სთქვა რაღაც, და მე ვიფიქრე, იქმნება ფულვიუსზედ ლაპარაკობდესმეთქი. ეარგია, კმარ თავპატიჟი! ვახშმად მოდი, ამ საქმეზედაც მოვილაპარაკოთ და იქმნება, ფაბიოლას მიუხედავად, მოახერხო აგნესასთვის თავის მოწონება. ჩემი ქალი ყველა თავის მოახლეებიანად წავიდა საზაფხულო სახლში და ამისთვის იმისი ოთახები დაკეტილია. ჩემს სადგომში შემოსასვლელად სახლის განის კარი გააღე. შენცა და ეორვინსაც უთუოდ გელით.

ფაბიუსი, როგორც ხედავთ, თავისი თავ-ქარიანობის გამო, სტუმრების დაპატიჟებაში გამრჩევი არ იყო; მისთვის სულ-ერთი იყო, ვინც უნდა შეკრებილიყვნენ ვახშმად, ოღონდ კი მხიარული სტუმრები, გემბრიელი საჭმელები და საქები ღვინოები ყოფილიყო. სუფრაზედ მარტო ჯდომა არ უყვარდა და ყოველ-დილას, ვახშმისათვის სტუმრებს უყრიდა თავს. ჩვენ არ ავსწყრეთ იმ საღამოს ფაბიუსის სახლში გამართულს მეჯლიშს; საკმაოა ვსთქვათ, რომ სუფრაზედ იმდენი ღვინო მოიტანეს, რომ ყველა სტუმრები ძლიერ დაოვრნენ; მხოლოდ ფულვიუსს არ დაულევია და თავის გონებაზედვე დარჩა. სხვათა შორის, ნიკომიდიის უკანასკვნელს შემთხვევაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი. ქრისტიანების საყდრის დაწვის შემდეგ დაეწყოთ ქალაქში აქა-იქ ცეცხლის გაჩენა; ამას ქრისტიანებს აბრალებდნენ; დიოკლიტიანემ ისარგებლა ხალხის დრ ტვინვით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო ქრისტიანების დევნა. ყოველს კაცს წინ-და-წინვე უნდა სიკვდილზედ დარწმუნებით, რომ მაქსიმიანეც მისს მაგალითს შეუდგებოდა. ფაბიუსის ყველა სტუმრები ერთმანერთის წინ-წასწრებით აგინებდნენ ქრისტიანებს, დასცინოდნენ და დიდს ხიძულვილს იჩენდნენ მათდამი. იმათში ყველაზედ უფრო გულ-კეთილებიც კი ამბობდნენ, ქრისტიანები შეწყალების ღირსნი არ არიანო. ზოგი ამბობდა, რომ ყველა ქრისტიანები ცრუები და საძაგლები არიანო, ზოგი—რომ ისინი ყოველს შეთხვევაში სულ მდაბალი კაცები არიანო. სხვები—რომ ისინი სახელმწიფოს ძირს უთხრიან და რომის სახელმწიფოს დაუძინარი მტრები არიანო, ყველანი ერთად—რომ იმათი სწავლა საზიზღარი, ბიწიერი და საძაგელი რამ არის, რომ თვითონ ქრისტიანებიც კეთილ-საიმედო კაცები არ არიანო. მარტო ფულვიუსი იყო ჩუმად, მხოლოდ სტუმრებს ათვალიერებდა იჭვიანის თვალით და სცდილობდა იმათს პირის სახეზედ მღელვარების, ან წყენის ნიშანი შეემჩნია.

ტორკვატოსი ჩუმად იჯდა, მაგრამ ხან წითლდებოდა და ხან ყვითლდებოდა; ბევრი ღვინის სმა ნერვები აღუძრა ამ საბრალოს და კიდევ უფრო მოუთმენელად გახადა; ის ხელებს მუჭავდა, ტუჩებს იკვნეტდა და ნამდვილს ბოვშურს უჭკუო ჯავრ ღვინის სმით იკლავდა.

— ქრისტიანებს ჩვენ ვსძულვართ და, რო შეეძლოსთ, ყველას ამოგვჟლეტდნენ, სთქვა ერთმ სტუმარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაგვხოცდნენ, რასაკვირველია, ყველას დაგვხოცდნენ! ვინ დასწვა რომი ნერონის დროს? იმათ! აზიაში ვინ დასწვა სასახლე? იმათ!

ტორკვატოსი წამოდგა სკამიდგან, ხელი გაიშვირა, თითქოს რილასიც თქმა სურსო, მაგრამ გონზედ მოვიდა და არც-ერთი სიტყვა აღარ უთქვამს.

— ჯიდევ უარესსაც შვრებიან ისინი: ბოვშებს კვლენ და იმათს სისხლსა სმენ, სთქვა ფულვიუსმა ძზაკვრულად და ტორკვატოსის შეუხედავად.

ღვინისაგან და ამ სიტყვებისაგან აღელვებულმა ტორკვატოსმა უეცრად სტოლს მუჭი დაჰკრა და მხეკურის ხმით დაიყვირა:

— ეგ სიცრუვეა! საზიზღარი და მეტად უსინდისო სიცრუვე არის!

— შენ საიდგან იცი? ჰკითხა ფულვიუსმა წყნარად.

— იქიდგან, რომ მეც თვითონ ქრისტიანი ვარ, დაიყვირა ტორკვატოსმა,-დამზათა ვარ ჩემის სარწმუნოებისათვის მოვკვდე!

ყველანი ისე გაშტერდნენ, თითქო გაქვავდნენო; ერთ-ერთელი სიჩუმე ჩამოვარდა. ფაბიუსს შერცხვა, რომ ის სუფრაზედ ქრისტიანი აღმოჩნდა და თავი ჩაღუნა. ვილაც ყმაწვილი-კაცი პირ-დაღებული და თვალ-გამოშტერებული შესჩერებოდა ტორკვატოსს; ორვინს შარის მომგებსავით უხაროდა. მაგრამ ამაედ უფრო საშიშარი კი ფულვიუსი იყო: სწორედ, ველურის თვალით უყურებდა ტორკვატოსს, ჰგრძ-

ნობდა, რომ ეს ალაფი ხელიდგან ვერ წაუვა-და თავისის მსხვერპლის ტანჯვით წინ-და-წინვე სტკბებოდა. Თავისებურის მცბიერობით და მოხერხებულობით შეისწავლა Ტორკვატოსის ხასიათი და იცოდა, რომ, რაკი იმას მოჰკიდებდა ხელს, მასთან ბევრს სხვა ქრისტიანებსაც ერთიანად ჩაიგდებდა ხელში. Იცოდა, რომ ისეთი კაცი, რომელმაც თავის დაჭერა არ იცის, ბოლომდის ვერ შეასრულებს თავის თავზედ აღებულს როლს და გატაცების ჟამს, ღვინისაგან გაბრუებული, განაცხადებს ყველაფერს, რაც კი იცის და გასცემს ყველას, ვისაც კი იცნობს. Იცოდა; რომ თავისი სარწმუნოების გულმოდგინედ აღმსარებელი ქრისტიანი იმდენად არ დაიმდაბლებდა თავს, რომ დამთვრალიყო და სიმთვრალეში გამოეცხადებინა თავისი სარწმუნოება. Ფულვიუსს მრავალი ქრისტიანი ენახა აღმოსავლეთში; ენახა, თუ როგორ გულადად, როგორ გაბედულებით აცხადებდნენ თავის სარწმუნოებას, მაგრამ ის ქრისტიანები სულ სხვაფრივ იქცეოდნენ: ლოცვა აძლევდა მათ მხნეობას, მათს სიტყვებში ჩანდა სიხარულით აღტაცება, ღმერთზედ სასოება იყო მათი სულის ჩამდგმელი. თავ-ქარიანობა, ლხინი და სიმთვრალე ვერ წამოაცდენდა მათ ვერც ერთს სიტყვას, ისინი აღიარებდნენ თავის სარწმუნოებას მხოლოდ სამსაჯულოში და ან როცა მათ კერპების თაყვანის-ცემას აიძულებდნენ. ზამოტეხის დროს სრულად ჰგრძნობდნენ თავის საშიშარს მდგომარეობას და თავის სიცოცხლეს სწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავდნენ. ისინი მტკიცე ხალიათის კაცები იყვნენ და არა ტორკვატოსსავით ტრაბახები და თავ-ცარიელები.

სტუმრები სუფრიდგან ადგნენ და საჩქაროდ წავიდნენ თავიანთს სახლებში, რადგანაც ყველას ეშინოდათ, არავინ დაგვაბმინოს და არაფერს ხიფათში გავებათო. ცოტა-ხანს შემდეგ ტორკვატოს მარტო დარჩა. ფულვიუს ფაბიუსს და კორვინს რამოდენიმე სიტყვა ჩაუჩურჩულა, მერე ტორკვატოსთან მივიდა და ფარისევლური, შემპარავის სიბრალულით უთხრა:

— მეშინია, ვაი თუ ჩემმა უადგილო სიტყვებმა გათქმევინეს, რომ შენ მეტად საფრთხილო და საშიშარს საქმეში მონაწილე ხარ.

— მე არაფრის არ მეშინია, უპასუხა ტორკვატოსმა ტრაბახობით.—და მზათ ვარ ჩემის სარწმუნოებისათვის მოვკვდე.

— ჩუ...ჩუ...თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი! მოსამსახურეებს შეუძლიათ ყური დაუგდონ შენს ლაპარაკს. უმჯობესი იქმნება, მეორე ოთახში გავიდეთ და იქ თავისუფლად მოვილაპარაკოთ.

ამ სიტყვების შემდეგ წაიყვანა მეორე, მდიდრულად მორთულს ზალაში, სადაც, ფაბიუსის ბრძანებით, ფალერნოს ღვინით სავსე თასები ეწყო. კორვინიც თან შეჰყავთ. მშვენიერად ნახელავს და ჩუქურთმით შემკულს სტოლზედ ეწყო საკამათო ძვლები. ფულვიუსმა ტორკვატოსს მიართვა ღვინით სავსე თასი, რომელიც ამან სულ-მოუთქმელად დას-

ეროვნული

ცალა და შემდეგ მეორე და მესამე თაბიც მიაყოლა. ამასობაში ფულვიუსი ვითომ ხუმრობით აგორებდა კამათლებს. ზააგორებდა, დაითვლიდა და ისევ გააგორებდა.

— რა უბედურად ვთამაშობ! ამბობდა ის, — სულ ვაგებ! ძიდევ კარგი, რომ არავისთან არა ვთამაშობ, თორემ ყოველისფერს წავაგებდი. არ გინდა ვსინჯოთ, ტორკვატოს?

ჩვენ წინათაც ვსთქვით, რომ ტორკვატოსს კამათობა ძლიერ უყვარდა; ერთხელ საპყრობილეშიაც დაიჭირეს, რადგანაც იმდენი წააგო, რომ გარდახდა არ შეეძლო. იქიდგან სებასტიანემ გამოიხსნა და აი, მაშინ გააქრისტიანა. სრულიად დამთვრალს ტორკვატოსს თითქმის აღარ ახსოვდა, თუ რას ამბობდა ამ ერთის წამის წინად; თვალები უბრწყინავდა, ტუჩები და ხელები უკანკალებდა.

კამათლებს სტაცა ხელი და საშინელის მღელვარებით დაიწყო თამაში. პირველად იგებდა, მაგრამ ბოლოს ბედმა ულალატა და წააგო; მერე ისევ მოიგო; თან-და-თან უფრო-და-უფრო ცხარდებოდა. ფულვიუსი ღვინოს უსხამდა; ტორკვატოსი ნამეტნავად აუბედდა.

— კორვინი... კორვინი... იმეორებდა ის ხშირად, თან კორვინს უყურებდა და უნდა რალაც გაეხსენებინა... ნეტა ეს რა სახელი უნდა იყოს? კასიანე ლაპარაკობდა ამაზედ, ამ სახელს ახსენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ ქასიანე? ჰკითხა ფულვიუსმა.

— ჰო, ჰო, მახსოვს! ბრიყვი და ავი ქორვინიო,—ეს შენ ხომ არა ხარ? შენ წაეჩხუბე პანკრატს?

ქორვინმა მოინდომა თავისი თავის გამოსარჩლება და უნდოდა ტორკვატოსს სცემოდა, მაგრამ ფულვიუსმა ხელის ნიშნებით შეაჩერა და ტორკვატოსს უთხრა:

— ეგ ქასიანე, ვგონებ, შკოლის მასწავლებელი არის. ახლა სად სცხოვრობს?

— ის სცხოვრებს... მაგრამ არა, არა! ეს იმის გაცემა იქმნება. დაე მაწამონ, მტანჯონ, მომკლან და მე კი არავის არ ვუღალატებ, არც არავის არ გავსცემ?!...

— სტოლზედ კი კამათლები გორაობდნენ და თამაშობა თან-და-თან უფრო ახურვებდა ტორკვატოსს. ორნივ მოთამაშეები გაჩუმდნენ და სრული თავისი ყურადღება თამაშს მიაქციეს. პირველად ისინი, რიგ-რიგად, ხან იგებდნენ და ხან აგებდნენ; მაგრამ ფულვიუსი უფრო გულ-გრილი იყო, თავის დაჭერა იცოდა და ღვინოს არა სვამდა; ბედიც, ეტყობოდა მისკენ იხრებოდა. ტორკვატოსმა რომ შეატყო ვაგებო, ღვინის სმას მიჰყო ხელი და თან-და-თან უფრო ჰკარგავდა გონებას, კამათლებს ათრთოლებულის ხელით ჰყრიდა სტოლზედ, მერე იმათ ისე უყურებდა, რომ კაცს ეგონებოდა, ვერაფერს ვერ ჰხედავსო და, რასაკვირველია, თავისის